

# შრომითი დავალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2021, №1

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2021, №1

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2021, №1

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2021, №1

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეპელი

- 1. ძალოვანი სტრუქტურიდან გათავისუფლება, განაცდურის ანაზღაურება და კვების კომპენსაცია**

სამსახურიდან გათავისუფლება მოსარჩელის მიერ ტოლფას თანამდებობაზე უარის თქმის გამო ..... 4

სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით სარჩელის ხანდაზმულობა ..... 23

არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ბრძანებების არარად ცნობა, ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის დავალება, განაცდურის ანაზღაურება ..... 36

კვების კომპენსაციის თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობა ..... 62

პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება ..... 73
- 2. სხვადასხვა ადმინისტრაციული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან გათავისუფლება**

მიუღებელი შრომითი გასამრჯელოს დაკისრება; პრემიის სახით გაცემული თანხის ხელფასის დანამატად მიჩნევა და მისი იძულებითი წესით ამოღება ..... 95

შტატის შემცირების პირობებში განხორციელებული მობილობის პროცედურის კანონიერება ..... 110

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კანონიერება ..... 150

**1. ქალოვანი სტრუქტურიდან გათავისუფლება,  
ბანაცდურის ანაზღაურება და კვების  
კომპენსაცია**

**სამსახურიდან გათავისუფლება მოსარჩელის მიერ  
ტოლფას თანამდებობაზე უარის თქმის გამო**

**ბანჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-32(კ-20)

9 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; ქმედების განხორციელების დავალეგა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 20 აპრილს რ. ს-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 თებერვლის №12 და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 მარტის MOD... ბრძანებების ბათილად ცნობა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეგა მოითხოვა, რომლის საფუძველზეც რ. ს-ე აღდგებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... .. დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ...ის სამშტატო კატეგორიაში (საიდანაც იგი გათავისუფლდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 5 იანვრის MOD ... და 2018 წლის 23 მარტის MOD... ბრძანებებით).

მოსარჩელემ, ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის რ. ს-ის სასარგებლოდ დაკავებული თანხის 13 643,64 ლარის (წოდებრივი სარგო – 1396,75; წელთა ნამსახურობის დანამატი – 9046,31; საიდუმლო დანამატი – 5218.27; კვების კომპენსაცია

– 1393,23 (დარიცხული) 2016 წლის 5 სექტემბრიდან 2018 წლის 23 მარტის ჩათვლით პერიოდისათვის და იძულებითი განაცდურის, ყოველთვიურად დარიცხული ხელფასის (ხელფასის ყველა კომპონენტის გათვალისწინებით) 2018 წლის 23 მარტიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდზე ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 იანვრის განჩინებით რ. ს-ის სარჩელი, მოპასუხე – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის რ. ს-ის სასარგებლოდ დაკავებული თანხის 13 643,64 ლარის (წოდებრივი სარგო – 1396,75; წელთა ნამსახურობის დანამატი – 9046,31; საიდუმლო დანამატი – 5218,27; კვების კომპენსაცია – 1393,23 (დარიცხული)) 2016 წლის 5 სექტემბრიდან 2018 წლის 23 მარტის ჩათვლით პერიოდისათვის ანაზღაურების თაობაზე, დარჩა განუხილველი, მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 თებერვლის №12 ბრძანება; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 მარტის MOD... ბრძანება, რომლითაც რ. ს-ე განთავისუფლდა თანამდებობიდან; დაევალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა რ. ს-ს იმ საშუალო კატეგორიაში აღდგენის შესახებ, რომლიდანაც იგი განთავისუფლდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 5 იანვრის MOD... და 2018 წლის 23 მარტის MOD... ბრძანებებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...-ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ...-ის თანამდებობაზე; დაევალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რ. ს-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ყოველთვიურად დარიცხული ხელფასის (ხელფასის ყველა კომპონენტის გათვალისწინებით) ანაზღაურება, 2018 წლის 23 მარტიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდისათვის სრულად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით საქართვე-

ლოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის განხილვის დროს შეიცვლა იმ პოზიციის სახელწოდება, რომელზედაც რ. ს-ე აღდგენილ იქნა სასამართლო გადაწყვეტილებით. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... ..ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ...ის თანამდებობის სახელწოდება გახდა – საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ... ..ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ...ი.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში არ შეცვლილა რ. ს-ის საშტატო ერთეულის ფუნქციები, ასევე არ შეცვლილა დაქვემდებარება, არამედ განხორციელდა ცვლილება დასახელებაში, რაც სასამართლო სხდომაზე ასევე დაადასტურა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ სადავო საკითხზე მსჯელობა გაგრძელებულიყო თანამდებობის დასახელების იმ ფორმულირებით, როგორც იგი არსებობდა დღევანდელი მდგომარეობით – საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ... ..ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ...ის თანამდებობა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 მარტის MOD ... ბრძანების გამოცემის წინაპირობა და საფუძველი გახდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 5 იანვრის MOD ... ბრძანება რ. ს-ის მიმართ და საქართველოს თავდაცვის მინისტრს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა რ. ს-ის იმ თანამდებობაზე და იმ საშტატო კატეგორიაში აღდგენის შესახებ, რომლიდანაც იგი გათავისუფლდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში იგი აღდგენილ უნდა ყოფილიყო ტოლფას თანამდებობაზე, ტოლფასი სახელფასო განაკვეთის განსაზღვრით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ს-ეს სამსახურიდან გათავისუფლების დროს დაკავებული ჰქონდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... ..ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ...ის თანამდებობა, რომელიც ვაკანტური არ იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ივლისის გადაწ-

ყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების დროს. სააპელაციო სასამართლოს მითითებით სადავო გარემოებას არ წარმოადგენდა რ. ს-ის გათავისუფლებამდე მის მიერ დაკავებული თანამდებობის არსებობის ფაქტი. მითითებული საშტატო ერთეული ფაქტობრივად არსებობდა, მაგრამ არ იყო ვაკანტური და მოსარჩელეს შეეთავაზა მისი ტოლფასი თანამდებობა, ტოლფასი სახელფასო განაკვეთით (საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... ..ის ... ..ის სამმართველოს უფროსის მოადგილის (საშტატო კატეგორია „...ი“, შტატი ნომერი №...)).

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ს-ემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შეთავაზებულ თანამდებობაზე დანიშვნაზე უარი განაცხადა 2018 წლის 14 თებერვალს წერილობით და 2018 წლის 20 მარტს, ზეპირსიტყვიერად. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 მარტის MOD ... ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... ..ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ყოფილი ...ის, თავდაცვის ... ..ის პოლკოვნიკი რ. ქ-ს ძე ს-ე კვლავ გათავისუფლდა სამსახურიდან.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოსარჩელე კვლავ გაათავისუფლა სამსახურიდან, იმ საფუძველზე, რომ სადავო საშტატო ერთეულზე სხვა პირი იყო დანიშნული და რ. ს-ემ შეთავაზებულ ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნაზე უარი განაცხადა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის როგორც სადავო პერიოდში მოქმედი, ასევე განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი რედაქციის თანახმად, სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულო იყო ყველასთვის. საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა ასახული იყო ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომლის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულო იყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულებულიყო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის ანალიზი ცხადყოფდა, რომ კანონი იმპე-

რატიულად აღგენდა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში მის აღდგენას იმავე თანამდებობაზე და მხოლოდ მისი არარსებობისას ითვალისწინებდა მოხელისათვის ტოლფასი თანამდებობის შეთავაზებას. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, აღსასრულებელი სასამართლო გადაწყვეტილება, ისევე, როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ აძლევდა შესაძლებლობას დამატებით გამოეკვლია საკითხი – მითითებული საშტატო ერთეული არსებობდა ვაკანტური თუ დაკავებული სახით, რამდენადაც მას სასამართლო გადაწყვეტილებით დავალებული ჰქონდა რ. ს-ის აღდგენა მის გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე იმ საშტატო ერთეულის არსებობის პირობებში, რაც ასევე გათვალისწინებული იყო კანონმდებლობით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული საკანონმდებლო აქტის ჩანაწერი არ შეიძლება ისე ყოფილიყო გაგებულნი, თითქოს სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელის აღდგენა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე შესაძლებელი იყო მხოლოდ ამ უკანასკნელის ვაკანტური სახით არსებობის დროს, არამედ სასამართლოს შეფასებით ეს უნდა განხორციელებულიყო ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ეს საშტატო ერთეული ფაქტობრივად არსებობდა და არ იყო გაუქმებული, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სამსახურში უნდა აღდგენილიყო.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ იყო დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომლებზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, კანონმდებლობა ითვალისწინებდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისგან განსხვავებულად დარეგულირებულიყო საქართველოს თავდაცვის სისტემაში დასაქმებულ პირებთან დაკავშირებული სამსახურებრივი ურთიერთობები, მათ შორის, სამსახურიდან გათავისუფლება, მაგრამ ეს არ უნდა განხორციელებულიყო მათი უფლებების დარღვევის ხარჯზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ სპეციალური კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა ყო-



ფილიყო ზოგად სამართლებრივ ნორმებთან და მიზანთან.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის 13<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, უკანონოდ გათავისუფლებული მოსამსახურის თანამდებობაზე აღდგენისას, თუ შტატის შემცირების გამო აღარ არსებობდა ან უკვე დაკომპლექტებული იყო უკანონოდ გათავისუფლებამდე არსებული თანამდებობა, პირი, მისი კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ინიშნებოდა შესაბამის (ტოლფას) ან მისი თანხმობით – სხვა თანამდებობაზე, ხოლო თუ მოსამსახურე შესაბამის (ტოლფას) თანამდებობაზე დანიშნვასთან დაკავშირებით განაცხადებდა უარს, იგი გათავისუფლდებოდა სამსახურიდან.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის 13<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტი ენიხაღმდეგებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლს, რომელიც უზრუნველყოფდა მოხელის დაცვას და მე-3 პუნქტი პირდაპირ აღგენდა, რომ ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, საჯარო დანესებულებას მოხელე დაუყოვნებლივ უნდა აღედგინა იმავე თანამდებობაზე და მხოლოდ ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე, იმავე საჯარო დანესებულების სისტემაში. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გასათვალისწინებელი იყო, რომ მითითებული ჩანაწერი ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლებლობას არ აძლევდა, მოხელე იმავე თანამდებობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში აღედგინა, თუ ასეთი თანამდებობა თავისუფალი სახით იარსებებდა. ამასთან, პირის იმავე თანამდებობაზე აღდგენაში შეიძლებოდა იგულისხმებოდა ამ თანამდებობაზე უკვე დანიშნული სხვა მოხელის სამსახურებრივ გადაადგილება ტოლფას ან სხვა თანამდებობაზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ თუ უკანონოდ განთავისუფლებული მოხელის აღდგენა განთავისუფლებამდე არსებულ თანამდებობაზე, რომელზეც უკვე სხვა პირი იყო დასაქმებული, გამოიწვევდა ამ პირის განთავისუფლებას და ერთმანეთს დაუპირისპირდებოდა ორი პატივსაღები ინტერესი: პირველი – უკანონოდ განთავისუფლებული და აღდგენილი პირის ინტერესი, დაეკავებინა უკანონოდ განთავისუფლებამდე არსებული თანამდე-

ბოზა და მეორე – მის ადგილას დანიშნული პირის ინტერესი, შეენარჩუნებინა ის ადგილი, რომელზეც იგი კანონიერი გზით დაინიშნა, ინტერესთა ამგვარი კონფლიქტი უნდა გადაწყვეტილიყო იმ მოხელის სასარგებლოდ, ვინც პირველად დაინიშნა ამ საშტატო ერთეულზე და ვინც უკანონოდ იქნა განთავისუფლებული და შემდგომში კანონიერად აღდგენილი. ინტერესთა კონფლიქტის ამგვარი გადაწყვეტა თანხვედრაში იყო როგორც სამართლებრივ დოქტრინაში დამკვიდრებულ პრინციპთან – დროში პირველი, უფლებაშიც პირველია (ე.წ. first come principle), ასევე ეხმიანებოდა ჩვეულებით სამართალს და სამართლიანობის გაგებას. აქვე, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა უფლებას არ ართმევდა მოხელის აღდგენის მოტივით სამსახურიდან განთავისუფლებულ მოხელეს, ადმინისტრაციული ორგანოსაგან მოეთხოვა თავისი უფლებების დაცვა, სხვა საშტატო ერთეულზე გადაყვანა, ფულადი ანაზღაურება და სხვა, თუმცა სასურველი იყო, რომ ამგვარი საკითხი კანონმდებლობით პირდაპირ ყოფილიყო მოწესრიგებული.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებზე მითითებით განმარტა, რომ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ვალდებულება პირდაპირ კავშირში იყო სამსახურში აღდგენასთან. ვინაიდან, მოცემული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი რ. ს-ის გათავისუფლების შესახებ მიღებული ბრძანება და ამავე დროს, საჯარო დაწესებულებას დაევალა მისი კონკრეტულ თანამდებობაზე აღდგენა, სახეზე იყო მოსარჩელის სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდის განმავლობაში იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად განმარტა იძულებითი განაცდურის ცნება, რომელიც მოიცავდა ხელფასის ისეთ განაკვეთებს, რომლის მიღება გარანტირებული იყო საჯარო მოხელის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში და არ იყო დამოკიდებული შრომის შედეგებზე, სხვა ფაქტორებზე. საჯარო მოხელის ხელფასი იყო გასაცემელი, რომელსაც სახელმწიფო გასცემდა საჯარო მოხელის ინდივიდუალური მახასიათებლების ან/და კვალიფიკაციის მიუხედავად.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართებულად დაევალა რ. ს-ის სასარგებლოდ ყოველთვიურად დარიცხული ხელფასის (ხელფასის ყველა კომპონენტის გათვალისწინებით) ანაზღაურება, 2018 წლის 23 მარტიდან სამსახურში აღ-

დგენამდე პერიოდისათვის სრულად.

თბილისის სააკველიციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... ..ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ...ის თანამდებობა არ წარმოადგენს ვაკანტურ თანამდებობას, რ. ს-ეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ, 2018 წლის 2 თებერვლის წერილით შეეთავაზა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ეროვნული გვარდიის ... ..ის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... ..ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ...ის ტოლფასი თანამდებობა, ტოლფასი სახელფასო განაკვეთის განსაზღვრით.

კასატორი მიუთითებს, რომ ვინაიდან რ. ს-ე 2018 წლის 14 თებერვლის პასუხით არ დაეთანხმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეთავაზებას, მას კიდევ ერთხელ 2018 წლის 1 მარტის წერილით შეეთავაზა ზემოაღნიშნულ პოზიციაზე დანიშვნა და განემარტა, რომ მისი უარის შემთხვევაში იგი განთავისუფლდებოდა სამსახურიდან და 2016 წლის 5 სექტემბრიდან განთავისუფლების დღემდე მას აუნაზღაურდებოდა განაცდური ხელფასი (თანამდებობრივი სარგო), იმ თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით, რასაც ლეზულობდა განთავისუფლებული თანამდებობიდან კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ფულადი თანხის გამოკლებით.

კასატორი აღნიშნავს, რომ ვინაიდან რ. ს-ე წარმოადგენდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სპეციალური ნოდების მქონე მოსამსახურეს, მასზე ვრცელდება როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, ასევე „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ შესახებ თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგულაციები. კასატორის მითითებით, ვინაიდან, რ. ს-ემ უარი განაცხადა შეთავაზებულ ტოლფას თანამდებობაზე, მისი საჯარო მოხელეთა რეზერვში გადაყვანა ვერ განხორციელდებოდა, რადგან მასზე, კასატორის მოსაზრებით, ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონისაგან განსხვავებული სპეციალური რეგულაციები.

საკასაციო საჩივარში კასატორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 დეკემბრის №ბს-376-376(2კ-18) გადაწყვეტილებაზე და სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ მოთხოვნაზე განმარტავს, რომ ვინაიდან სადავო პოზიციაზე უკვე დანიშნული იყო ფ. დე და ... ..ის დეპარტამენტის ...ი მთავარი სამმართველოს ...ის თანამდებობა არ წარმოადგენდა ვაკანტურ თანამდებობას, შესაბამისად, რ. ს-ეს შეეთავაზა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ეროვნული გვარდიის ... ..ის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... ..ის დეპარტამენტის ...ი მთავარი სამმართველოს ...ის ტოლფასი თანამდებობა, ტოლფასი სახელფასო განაკვეთის განსაზღვრით.

კასატორი იძულებით განაცდურის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით ასევე მიუთითებს, რომ აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს მეორე სასარჩელო მოთხოვნის თანმდევ სამართლებრივ შედეგს და რამდენადაც არ არსებობდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 მარტის MOD ... ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები, შესაბამისად არ არსებობდა განაცდურის თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების სამართლებრივი საფუძველიც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა – განმარტებების მოსმენის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქ-

ტობრივ გარემოებებს:

რ. ს-ე 2015 წლის 12 სექტემბრიდან დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... ..ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ...ის თანამდებობაზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის ბრძანებით, რ. ს-ე განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილი იქნა კადრების განკარგულებაში, ხოლო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 5 იანვრის MOD ... ბრძანებით რ. ს-ე განთავისუფლდა სამსახურიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ივლისის (საქმე №33/1492-176.) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 5 იანვრის MOD ... ბრძანება რ. ს-ის მიმართ და საქართველოს თავდაცვის მინისტრს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა რ. ს-ის იმ თანამდებობაზე და იმ სამტატო კატეგორიაში აღდგენის შესახებ, რომლიდანაც იგი განთავისუფლდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის MOD ... ბრძანებით, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, ტოლფასი სახელფასო განაკვეთის განსაზღვრით. ამავე გადაწყვეტილებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა რ. ს-ის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2016 წლის 5 სექტემბრიდან, მის შესაბამის თანამდებობაზე აღდგენამდე იმ თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით, რასაც იგი გათავისუფლებული თანამდებობიდან ღებულობდა კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ფულადი თანხის გამოკლებით.

დადგენილია, რომ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ... სამმართველოს ...ის თანამდებობა ვაკანტური იყო 2016 წლის 22 დეკემბრიდან 2017 წლის 16 მაისამდე, ხოლო ... ..ის დეპარტამენტის ... ..ოს ...ის თანამდებობა – 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2017 წლის 4 ოქტომბრამდე.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში, რ. ს-ეს 2018 წლის 2 თებერვლის MOD ... წერილით შესთავაზა ვაკანტურ თანამდებობაზე – საქართველოს შეიარაღებული ძალებს

ბის გენერალური შტაბის ეროვნული გვარდიის ... ..ის სამმართველოს ... ..ის (საშტატო კატეგორია „თავდაცვის პოლკოვნიკი“, შტატი ნომერი №...) შტატზე დანიშნა. აღნიშნული წერილით, მოსარჩელეს განემარტა, რომ ... ..ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ...ის თანამდებობა არ იყო ვაკანტური, ხოლო მითითებულ თანამდებობაზე დანიშნული სხვა მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლებას არ ითვალისწინებდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ივნისის საქართველოს კანონი. ამავე წერილით, რ. ს-ეს ეცნობა, რომ შეთავაზებულ თანამდებობაზე (რომელიც არის ტოლფასი საშტატო კატეგორია, ტოლფასი სახელფასო განაკვეთით) დანიშვნაზე თანხმობის შესახებ წერილობით ეცნობებინა ადმინისტრაციული ორგანოსათვის, წერილის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 თებერვლის №12 ბრძანებით ცვლილება შევიდა „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებაში, კერძოდ, მითითებული წესის 13<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „უკანონოდ განთავისუფლებული მოსამსახურის თანამდებობაზე აღდგენისას, თუ შტატის შემცირების გამო აღარ არსებობს ან უკვე დაკომპლექტებულია უკანონოდ განთავისუფლებამდე არსებული თანამდებობა, პირი, მისი კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ინიშნება შესაბამის (ტოლფას) ან მისი თანხმობით – სხვა თანამდებობაზე, ხოლო თუ მოსამსახურე შესაბამის (ტოლფას) თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით განაცხადებს უარს, იგი განთავისუფლდება სამსახურიდან“.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2018 წლის 1 მარტის MOD ... წერილით რ. ს-ეს განემარტა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ 13<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეთავაზებულ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, განმეორებით უარის თქმის შემთხვევაში იგი განთავისუფლდებოდა სამსახურიდან და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2016 წლის 5 სექტემბრიდან განთავისუფლების დღემდე აუნაზღაურდებოდა განაცდური ხელფასი (თანამდებობრივი სარგო), იმ თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით, რასაც იგი ლებულობდა გათავისუფლებული თანამდებობიდან კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ფულადი თანხის გამოკლებით. ამა-

ვე წერილით, რ. ს-ეს ეთხოვა, რომ წერილის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის წერილობით ეცნობებინა მისი გადაწყვეტილება.

2018 წლის 20 მარტს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსსა და რ. ს-ეს შორის შედგა სატელეფონო საუბარი. სატელეფონო საუბრისას რ. ს-ემ უარი განაცხადა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შეთავაზებულ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 მარტის MOD ... ბრძანებით, კადრების განკარგულებაში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... ..ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ყოფილი ...ი, თავდაცვის ... პოლიციის პოლკოვნიკი რ. ქ-ს ძე ს-ე განთავისუფლდა სამსახურიდან. მითითებული ბრძანებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტს დაევალა რ. ქ-ის ძე ს-თვის 2016 წლის 5 სექტემბრიდან ამავე ბრძანების პირველი პუნქტის ძალაში შესვლის დღემდე განაცდური ხელფასის (თანამდებობრივი სარგოს) ანაზღაურება, იმ თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით, რასაც იგი განთავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობიდან ლეზულობდა, კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ფულადი თანხის გამოკლებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2018 წლის 6 თებერვალს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რ. ს-ის თანამდებობაზე აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში დაიწყო სააღსრულებო წარმოება. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოვალეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაეგზავნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2018 წლის 13 თებერვლის №... წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2018 წლის 10 აპრილის MOD ... წერილით, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 6 თებერვლის №3ბ/1492-17 სააღსრულებო ფურცელი აღსრულდა, კერძოდ, ვინაიდან, რ. ს-ემ უარი განაცხადა შეთავაზებულ ტოლფას თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით, კანონმდებლობის გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 მარტის MOD ... ბრძანებით იგი განთავისუფლდა სამსახურიდან. ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ განაცდური ხელ-

ფასი (თანამდებობრივი სარგო) სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სს „...ის“ ანგარიშზე ჩარიცხვის გზით აანაზღაურა იმ თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით, რასაც იგი განთავისუფლებაზე დაკავებული თანამდებობიდან ღებულობდა, კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ფულადი თანხის გამოკლებით. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2018 წლის 12 აპრილის A... ნერილით, რ. ს-ეს ეცნობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მოძიებული ინფორმაცია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რ. ს-ეს სამსახურიდან განთავისუფლების დროს დაკავებული ჰქონდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... ..ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ...ის თანამდებობა, რომელიც ვაკანტური არ იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების დროს, რის გამოც მოსარჩელეს როგორც ტოლფასი თანამდებობა შეეთავაზა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ეროვნული გვარდიის ... ..ის სამმართველოს ... ..ის თანამდებობა (საშტატო კატეგორია „თავდაცვის პოლკოვნიკი“, შტატი ნომერი №...).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი დავის არსებითად სწორად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს და სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცეს რამდენიმე გარემოებას, კერძოდ: 1) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული საკანონმდებლო ჩანაწერი „ასეთი თანამდებობის არარსებობა“ გულისხმობს მხოლოდ შესაბამისი შტატის არ არსებობას თუ მოიცავს ასევე მის არავაკანტურობასაც; 2) არსებობს თუ არა „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 თებერვლის №12 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძვლები; 3) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 თებერვლის №12 ბრძანების კანონიერად მიჩნევის შემთხვევაში, არსებობდა თუ არა რ. ს-ის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომ-



ლის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში (მსგავსი რეგულირება გვხვდება „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გაფლის წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანების მე-13<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტში). თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა დასაშვებია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისა და ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 დეკემბრის №ბს-376-376(2კ-18) გადაწყვეტილებაზე, სადაც განიმარტა, რომ: „მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, იმ შემთხვევაში თუ არსებობს ასეთი თანამდებობა და ის ვაკანტურია, რა დროსაც საჯარო სფეროში დასაქმებულთა უფლებები საჭიროებს ეფექტურ სასამართლო კონტროლს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებათა შესრულების კუთხით. პალატა მიუთითებს, რომ მოხელის სამუშაოზე აღდგენაში არ შეიძლება მოიაზრობდეს სადავო პოზიციაზე დანიშნული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობა, რადგან დაუშვებელია მოხელის უფლების დაცვა მოხდეს მეორე მოხელის უფლების დარღვევის ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში, უნდა მოხდეს სამსახურში აღდგენილი მოხელის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნა იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. სამსახურიდან უკა-

ნონოდ გათავისუფლებული მოხელის სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა დასაშვებია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისა და ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით.“ ამავე საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ: „ბ.ჭ-ს გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის არსებობის შემთხვევაში, თუ ის თავისუფალია და არ არის დანიშნული სხვა პირი მოსარჩელე ექვემდებარება აღდგენას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე დანიშნულია სხვა პირი, ბ.ჭ. ექვემდებარება ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას“.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტებები ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს მიერ უკვე დადგენილ პრაქტიკას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკანონდებლო ჩანაწერი „თანამდებობის არარსებობა“ მოიცავს ასევე თანამდებობის არავაკანტურობასაც, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის როგორც სადავო პერიოდში, ისე დღეს მოქმედი რედაქცია, აღარ ითვალისწინებს ნორმას, რომელიც მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენის შესაძლებლობას მიუთითებდა, რა საფუძველსაც, მაგალითად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რედაქცია (97.1 მუხლი) ითვალისწინებდა.

ამდენად, ზემოაღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც რ. ს-ის სამსახურში აღდგენის ეტაპზე ვაკანტური არ იყო ... ..ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ...ის თანამდებობა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მისთვის უნდა შეეთავაზებინა მისი თანამდებობის ტოლფასი თანამდებობა, ხოლო ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის ან მოსამსახურის თანხმობის არ არსებობის პირობებში განეხორციელებინა კანონით გათვალისწინებული ქმედებები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების პოზიციას განსახილველ შემთხვევაში სადავოდ ქცეული საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 თებერვლის №12 ბრძანების „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან შეუსაბამობის და ამ საფუძვლით მისი ბათილად ცნობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შე-

სახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეზე, საქართველოს თავდაცვის ძალების თანამშრომელზე.

„სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესი და მათი სოციალური დაცვის გარანტიები რეგულირდება ამ კანონით და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესი“ მტკიცდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესით“ განისაზღვრება სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურებრივი ურთიერთობების საკითხები, მათ შორის, თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან განთავისუფლების, სამსახურის გავლის, ატესტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, წახალისების ფორმებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების წესი და საფუძველი.

განსახილველ შემთხვევაში სადავოდ ქცეული საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედი რედაქციის თანახმად, უკანონოდ განთავისუფლებული მოსამსახურის თანამდებობაზე აღდგენისას, თუ შტატის შემცირების გამო აღარ არსებობს ან უკვე დაკომპლექტებულია უკანონოდ გათავისუფლებამდე არსებული თანამდებობა, პირი, მისი კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ინიშნება შესაბამის (ტოლფას) ან მისი თანხმობით – სხვა თანამდებობაზე, ხოლო თუ მოსამსახურე შესაბამის (ტოლფას) თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით განაცხადებს უარს, იგი გათავისუფლდება სამსახურიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას განსახილველ შემთხვევაში გამოყენებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ 13<sup>1</sup>.4 მუხლის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან (118.3 მუხლი) წინააღმდეგობრიობაზე, ვინაიდან, ერთი მხრივ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი მიუთითებს, რომ სპეციალური კანონმდებლო-

ბის არსებობის პირობებში მოცემული კანონი არ ვრცელდება საქართველოს თავდაცვის ძალების თანამშრომელზე, ხოლო მეორე მხრივ, „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები პირდაპირ მიუთითებენ, რომ სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურებრივი ურთიერთობების საკითხები, მათ შორის, თანამდებობაზე დანიშნვისა და თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხები განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესით“.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშნვისა თუ განთავისუფლების საკითხის, სპეციალური კანონმდებლობის ფარგლებში განსხვავებული რეგულირება (ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნაზე პირის მიერ უარის თქმის შემთხვევაში მისი განთავისუფლების შესახებ), თავად ამ სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, ასევე, დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის საერთაშორისო აქტებთან, ვინაიდან, შესაბამისი სადავო ბრძანება განთავისუფლების აუცილებელ წინაპირობად ასახელებს პირის მიერ ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმას, რაც რეალურად სწორედ დასაქმებულის ნების ავტონომიურობის პრინციპის აბსოლუტურ გამოვლინებას უკავშირდება, რაც თავისთავად ვერ აქცევს ამ დანაწესს დასაქმებულის უფლების დამრღვევ ნორმად, ვინაიდან, იგი დასაქმებულის განთავისუფლებას მის მიერ შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმას უკავშირებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23 თებერვლის №12 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი, შესაფასებელია, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად რამდენად არსებობდა, რ. ს-ის მიერ ტოლფას თანამდებობაზე უარის თქმის გამო მისი თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხის სწორად გადასაწყვეტად არსებითად მნიშვნელოვანია დადგინდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ რ. ს-თვის შეთავაზებული თანამდებობა იყო თუ არა მოსარჩელის თანამდებობის ტოლფასი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017

ნლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებულ პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესზე, რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ტოლფასი თანამდებობა განიმარტა, როგორც იმავე რანგისა და კატეგორიის თანამდებობა, რომლის სამუშაო აღწერილობა/ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები იდენტურია ან უმეტესწილად მსგავსია. ამასთან, „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესი“ ტოლფას თანამდებობას უკავშირებს უკანონოდ განთავისუფლებული პირის კვალიფიკაციას და პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის რ. ს-ის მიერ სადავოდ იყო გამხდარი შეთავაზებული თანამდებობის მის თანამდებობასთან ტოლფასობის საკითხიც, რაც რ. ს-ის წარმომადგენელმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2020 წლის 25 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზეც მიუთითა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ეროვნული გვარდიის სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს ...ის ...ის თანამდებობის (სამტატო კატეგორია „თავდაცვის პოლკოვნიკი“, შტატი ნომერი №...) სამუშაო აღწერილობა/ფუნქცია მოვალეობები, რაც საკასაციო სასამართლოს ამ თანამდებობის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...ის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს ...ის თანამდებობასთან (ამჟამად საქართველოს თავდაცვის ძალების) შედარების საშუალებას და მათი ტოლფასობის საკითხის შეფასების შესაძლებლობას მისცემდა. ამასთან, აღნიშნული თანამდებობის ტოლფასობის ან არატოლფასობის საკითხზე მსჯელობა არც სააპელაციო სასამართლოს განუხორციელებია. ამდენად, საკასაციო სასამართლო, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ რ. ს-თვის შეთავაზებული თანამდებობის ტოლფასობის საკითხზე ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობისა და შესაბამისი სამართლებრივი მსჯელობის არ არსებობის პირობებში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლიდან გამომდინარე, მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს რ. ს-ის თანამდებობიდან განთავისუფლების კანონიერების საკითხზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ რ. ს-თვის შეთავაზებული თანამდებობის ძველი თანამდებობის არატოლფას პოზიციად მიჩნევის შემთხვევაში, ცალსახად იარსებებს რ. ს-ის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 23

მარტის MOD ... ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან, „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტი პირის სამსახურიდან განთავისუფლების წინაპირობად მიიჩნევს ორი კუმულატიური პირობის თანაარსებობას, კერძოდ, პირისათვის ტოლფასი თანამდებობის შეთავაზებას და მის მიერ ამ თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმას. ამდენად, სადავო აქტის კანონიერების შესაფასებლად არსებითი მნიშვნელობა სწორედ შეთავაზებული თანამდებობის ძველ თანამდებობასთან ტოლფასობის საკითხის დადგენას გააჩნია. ამასთან, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ვალდებულების საკითხის დადგენაც, სწორედ, სადავო აქტის კანონიერების საკითხის დადგენასთან არის დაკავშირებული.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი და დამატებით მოძიებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, რ. ს-თვის შეთავაზებული თანამდებობის ტოლფასობის საკითხი, შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს მას და საბოლოოდ საქმეზე მიიღოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით  
სარჩელის სანდაზმულობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-52(კ-20)

22 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. ქადაგიძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, განაც-  
დურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. კ. წ-ემ 2017 წლის 18 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2014 წლის 16 მაისის №1659 ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის კ. წ-ის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და კ. წ-ის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის (მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდზე, ყოველთვიურად – ... ლარის ოდენობით) ანაზღაურების დაკისრება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით კ. წ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2014 წლის 16 მაისის №1659 ბრძანება „კ. წ-ის საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ“; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კ. წ-ის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ; საქართველოს

თავდაცვის სამინისტროს ასევე დაევალა კ. წ-ისთვის მიუღებელი იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისთვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება, კ. წ-ის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 13 თებერვლის განჩინებით, მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლო საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

3.1. კ. წ-ის სამსახურიდან გათავისუფლებამდე ეკავა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...ის ...ის (საშტატო კატეგორია „უფროსი სერჟანტი“, შტატი №...) თანამდებობა;

3.2. 2014 წლის თებერვალში ...ში სწავლების დროს, ...ის ... სამხედრო მოსამსახურემ არ შეასრულა ბატალიონის მეთაურის ბრძანება ...ის ჩაბარების თაობაზე და პროტესტის ნიშნად ...ეს ისინი;

3.3. ...ის მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის 2014 წლის 28 აპრილის №11 ოქმის თანახმად, კომისიაზე განხილულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...ის მოსამსახურეთა შეიარაღებული ძალების რიგებიდან, პირადი განცხადების საფუძველზე, დათხოვნის საკითხი. მათ შორის, განხილულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...ის ...ის, უმცროსი სერჟანტის – კ. წ-ის პირადი განცხადებაც. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში დათხოვნასთან დაკავშირებით განმცხადებლებს შუამდგომლობა გასწეოდათ გენერალური შტაბის ხელმძღვანელობასთან;

3.4. 2014 წლის 30 აპრილის პატაკის თანახმად, ...მა – კ. წ-ემ განცხადებით მიმართა ...ის მეთაურს და სთხოვა, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებასა და შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნასთან დაკავშირებით ეშუამდგომლა ზემდგომ ხელმძღვანელობასთან;

3.5. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2014 წლის 16 მაისის №1659 ბრძანებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...ის ...ის (საშტატო კატეგორია „უფროსი სერჟანტი“, შტატი №...), უმცროსი სერჟანტი – კ. წ-ე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის (მხა-



რეთა შეთანხმების საფუძველზე) თანახმად; საფუძველი – ...ის მე-  
თაურის 2014 წლის 3 მაისის შუამდგომლობა №271303;

3.6. 2014 წლის 16 მაისს, გენერალური შტაბის უფროსის ბრძა-  
ნების საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით, ... სამხედრო მოსამ-  
სახურე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათ-  
ხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალებიდან;

3.7. 2014 წლის გაზაფხულზე, კ. ნ-ისა და მისი თანამოსამსახუ-  
რეების მიერ დაწერილი – თანამდებობიდან გათავისუფლებისა და  
შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ პატაკები ატვირ-  
თულ იქნა შიდა ელექტრონულ პროგრამაში, (ე.წ. „eflow“-ში), რის  
შემდეგაც პატაკების დედნები ...ის ... განყოფილების უფროსმა – ი.  
ყ-ამ გაანადგურა;

3.8. გამოძიების პროცესში საქართველოს შსს საექსპერტო-კრი-  
მინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტიდან და სსიპ ლევან  
სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული  
ბიუროდან მიღებულ იქნა წერილობითი განმარტება, რომლის მი-  
ხედვითაც, ელექტრონული ფორმატით წარდგენილ დოკუმენტებ-  
ზე (ე.წ. სკანერით გამოყენებით დამზადებულ საბუთებზე) ხელ-  
წერის ექსპერტიზა არ ტარდება, ხოლო იმის გამო, რომ სამხედრო  
მოსამსახურეების მიერ დაწერილი პატაკების დედნები გაანადგუ-  
რებული იყო და გამოძიებას გააჩნდა მხოლოდ მათი ასლები, ვერ  
მოხდა პატაკებზე ხელმოწერებისა და სხვა რეკვიზიტების იდენ-  
ტიფიკაციის მიზნით ექსპერტიზის ჩატარება;

3.9. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტა-  
ბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის 2017 წლის 30 მაისის წე-  
რილის თანახმად, იმასთან დაკავშირებით, რომ ...ის ... განყოფილე-  
ბის უფროსმა – ი. ყ-ამ დადგინილი წესების უხეში უგულებელყო-  
ფით გაანადგურა ... სამხედრო მოსამსახურის პატაკების დედნე-  
ბი, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტთან დაკავშირებით, საპ-  
როცესო ხელმძღვანელი პროკურორის მიერ იგი 2016 წლის 5 ოქ-  
ტომბერს განრიდებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლო-  
ბისაგან და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაევალა 3 000  
ლარის გადახდა. ამავე წერილით დგინდება, რომ საქმეზე მიმდი-  
ნარეობს;

3.10. 2015 წლის 23 თებერვალს მოწმის სახით დაკითხული ა. ბ-  
ის ჩვენებაში მითითებულია, რომ 2014 წლის 16 მაისამდე (სამსა-  
ხურიდან დათხოვნამდე) მსახურობდა შეიარაღებული ძალების ...ის  
...ის თანამდებობაზე, ...ის წოდებით. მოწმემ მიუთითა, რომ შეი-  
არაღებული ძალებიდან დათხოვნის თაობაზე პატაკი თავად დაწე-  
რა და ხელი მოაწერა. აღნიშნული პატაკი დაწერა 2014 წლის მარ-  
ტის შუა რიცხვებში, სამანდატო კომისიის ჩატარების შემდეგ, და-

ახლოებით, 2 კვირაში, ბატალიონის მეთაურის – ტ-ის, ასმეთაურის – მ-ის და სერჟანტ – ბ-ის მხრიდან იძულების, მუქარისა და შანტაჟის გამო, რომ თუ ამას არ გააკეთებდა, მეთაურის ბრძანების შეუსრულებლობის გამო თავისუფლება შეეზღუდებოდა;

3.11. 2015 წლის 29 მაისს მონმის სახით დაკითხული – კ. ნ-ის ჩვენებაში მითითებულია, რომ შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის თაობაზე პატაკზე თარიღი მას არ დაუსვამს. პატაკი მისი ხელით არის დანერილი და ხელიც პირადად მოაწერა 2014 წლის 10 მაისს, როდესაც, დაახლოებით, ერთ თვეზე მეტი ხნით ადრე იყო ჩატარებული სამანდატო კომისია. ამასთან, აღნიშნული პატაკი მან დაწერა ბატალიონის მეთაურის მოადგილის – გ. კ-ის მხრიდან იძულების, მუქარისა და შანტაჟის გამო, რომ თუ ამას არ გააკეთებდა, მეთაურის ბრძანების შეუსრულებლობის გამო თავისუფლება შეეზღუდებოდა. მისი აზრით, საფრთხე, რომ ხელმძღვანელობა შეასრულებდა მუქარას და სრულიად უმიზეზოდ „გაუფუჭებდნენ საბუთებს“, რეალური იყო;

3.12. 2015 წლის 30 ოქტომბერს მონმის სახით დაკითხული შეიარაღებული ძალების ...ის მხარდამჭერი ბატალიონის მეთაურის – ი. ს-ას ჩვენებაში მითითებულია, რომ 50-მდე ჯარისკაცი, 2014 წლის თებერვალში, ...ის ...ა ბატალიონის შემადგენლობაში იმყოფებოდა სწავლებაზე ...ში მდებარე სამხედრო ბაზაზე და ემზადებოდა ავღანეთში სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის მისაღებად. სწავლების დროს, მითითებულმა ჯარისკაცებმა არ შეასრულეს ბატალიონის მეთაურის ბრძანება ...ის ჩაბარებასთან დაკავშირებით და პროტესტის ნიშნად ...ეს საკუთარი ...ი. მონმემ მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა სამანდატო კომისიის სხდომაზე, თუმცა სხდომაზე ჯარისკაცების პატაკები, ახსნა-განმარტებები და რაიმე სახის დოკუმენტაცია წარდგენილი არ ყოფილა. მონმემ ასევე მიუთითა, რომ სხდომის პერიოდში მას ჯარისკაცების პატაკები არ უნახავს და არ იცის, რა ვითარებაში და როდის მოხდა მათი დაწერა.

4. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან პატაკის დაწერისას არ ყოფილა გამოვლენილი მისი რეალური ნება შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ და პატაკი დაწერილ იქნა მუქარის, დაშინებისა და შანტაჟის შედეგად. იმ დროს, როდესაც სამანდატო კომისიის მიერ მოხდა მითითებული საკითხის განხილვა, სამხედრო მოსამსახურეებს არ ჰქონდათ დაწერილი პატაკები, რის გამოც ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ამ მხრივაც დარღვეული იყო აქტის გამოცემისთვის სავალდებულო ადმინისტრაციული წარმოების პირობები.

სასამართლომ განმარტა, რომ უტყუარად დგინდებოდა მოსარჩელის მიმართ განცხადების (პატაკის) დაწერის იძულება, რამეთუ იძულება არ არის ფაქტი, იძულება არის სამართლებრივი შეფასება ფაქტებისა, რაზეც მიუთითებს მოსარჩელე და საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები. სასამართლოს მოსაზრებით, მოწმეთა ჩვენებები მიუთითებდა ხელმძღვანელობის მხრიდან იძულების განხორციელებაზე, ხოლო მოსარჩელის განმარტებიდან გამომდინარე, მან ეს მუქარა რეალურად ჩათვალა და ამ მოტივით დაწერა სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნით პატაკი. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასტურდებოდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობა, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. ადმინისტრაციულმა ორგანომ ასევე გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 13 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივნისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 13 თებერვლის განჩინება.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება.

8. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული დასაბუთება. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, მიუთითა პატაკების განადგურების ფაქტზე, მოწმეთა ჩვენებებზე და დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან პატაკის დაწერისას არ ყოფილა გამოვლენილი მისი ნამდვილი ნება – პატაკი დაიწერა მუქარის, დაშინებისა და შანტაჟის შედეგად. სამანდატო კომისიის მიერ საკითხის განხილვისას მოსამსახურებს არ ჰქონდათ დაწერილი პატაკები, შესაბამისად, ამ მხრივაც დარღვეული იყო აქტის გამოცემის წესები. პალატამ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის განმარტებაზე ხელმძღვანელობის მხრიდან მუქარის რეალურობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მხოლოდ ამ მოტივით დაწერა მო-

სარჩელემ პატაკი, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო სამსახურიდან მისი გათავისუფლების ბრძანების გამოცემას.

9. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო სამსახურში მუშაობა დაკავშირებულია დიდ პასუხისმგებლობასთან, რომელსაც მოსამსახურე უნდა იაზრებდეს და დამსაქმებელი ადმინისტრაციული ორგანო სათანადოდ უნდა იცავდეს დასაქმებულის შრომით ინტერესს, უფრო მეტიც, იგი უნდა ითვალისწინებდეს იმ შრომასა და ძალისხმევას, რასაც პირი სწევს სახელმწიფო/საჯარო ინტერესისთვის. ადმინისტრაციული ორგანო, მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, სამართლიანად და კეთილსინდისიერად უნდა მოქმედებდეს, უნდა იკვლევდეს საქმის გარემოებებს და ამის შემდეგ უნდა ირჩევდეს საკითხის გადასაწყვეტად საუკეთესო გზას. დისკრეციულობა არ არის ის უფლებამოსილება, რომელიც შესაძლებელია ზედაპირულად დასაბუთდეს. სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული ვალდებულება ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

11. კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2014 წლის ბრძანება გასაჩივრებულია 2017 წელს, მიუხედავად იმისა, რომ კ. ნ-ისთვის ცნობილი იყო გათავისუფლების ბრძანების არსებობის თაობაზე. სამსახურიდან დათხოვნის შესახებ მხარის ინფორმირების ფაქტი, კასატორის განმარტებით, სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე გამოიკვეთა, რაც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ დარღვეულია აქტის გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა.

12. კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში დაეყრდნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს. თუმცა, კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს არ უნდა გაეთვალისწინებინა ჯერ კიდევ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც გამოძიება დასრულებული არ არის.

13. კასატორი მიიჩნევს, რომ სადავო აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის (მხარეთა შეთანხმების საფუძველზე) შესაბამისად და მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არ-

სებობს.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

15. კ. ნ-ის წარმომადგენელმა 2020 წლის 10 ივნისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივართან დაკავშირებით წერილობითი პოზიცია წარმოადგინა. მხარე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 130-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ მოცემული საქმე დაკავშირებულია ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელზეც უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრებით, ხანდაზმულობის ვადები დაცულია, რადგან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტად მიჩნეულია 2014 წლის 16 მაისი, ხოლო სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2017 წლის 18 აპრილს.

16. მონინალმდევე მხარე წერილობით პოზიციაში მიუთითებს, რომ დაუშვებელია აქტის გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო ასეთი აქტის მხარისთვის ჩაბარებამდე. მოსარჩელეს კი გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებია და მისთვის უცნობი იყო სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი. ამასთანავე, სადავო აქტი მისი გასაჩივრების წესის განმარტებას არ შეიცავს. ამდენად, მონინალმდევე მხარე არ ეთანხმება საკასაციო საჩივარში დაფიქსირებულ პოზიციას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე.

17. მონინალმდევე მხარე დამატებით აღნიშნავს, რომ სასამართლოებმა მართებულად გაითვალისწინეს სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი გარემოებები. იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ კანონის მოთხოვნათა დაცვით გამოითხოვა და დაურთო საქმეს სისხლის სამართლის საქმის მასალები, იგი ასევე უფლება-მოიხილი იყო, შეეფასებინა დასახელებული მტკიცებულებები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

18. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს სააპე-

ლაციო სასამართლოს.

19. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს კ. ნ-ის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება. შესაბამისად, მოცემული დავის გადაწყვეტისთვის უნდა შეფასდეს, რამდენად არსებობდა დასაქმებულის გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული საფუძველი, რამდენად იქნა დაცული ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული წესები და მიღებულ იქნა თუ არა დასაბუთებული გადაწყვეტილება. თუმცა, მოცემული გარემოებების დადგენამდე და შეფასებამდე, პირველ ყოვლისა, უნდა შემოწმდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, რამეთუ, ზოგადად, „ვადის უფლებანარმომშობი და უფლებააღმკვეთი თვისება გამოკვეთილია არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, არამედ იგი დამახასიათებელია მთელი სამართლისათვის. დრო ინვესს სამართლებრივი სინამდვილის ტრანსფორმაციას, უფლების წარმოშობას, შეწყვეტას, უფლების სუბიექტის შეცვლას. მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული... სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ვერ იქნება გაგებული აბსოლუტური სახით, პროცესუალურსამართლებრივი წესრიგის გარეშე, რაც უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის №1/3/161 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

20. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი სამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობა შეზღუდულია ნორმატიულად იმპერატიულად განსაზღვრული ვადებით. კანონმდებლობით გათვალისწინებულია დროის ის მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც უნდა მიმართოს მხარემ სასამართლოს თავისი დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად. სასარჩელო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადების შემოღების ერთ-ერთ მიზანს საქმის სწორად გადაწყვეტა წარმოადგენს. კერძოდ, „გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, გაართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საი-

მედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მონმეთა მესხიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისგან..“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები – „თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21, 23).

21. ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ინსტიტუტის შემოღება მიზნად ისახავს უფლების დაცვის ვადების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას, რათა უფლება დაუსრულებლად, განუსაზღვრელად არ იყოს საექსპოზიციის ხასიათის მატარებელი. ამასთანავე, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების დროული განხორციელება ემსახურება ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. თავის მხრივ, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არაჯეროვანი გამოყენება, სასამართლოსათვის ვადის დარღვევით მიმართვა წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს. კერძოდ, მოთხოვნის უფლება აგრძელებს არსებობას, მაგრამ, მისი საფუძვლიანობისა და დასაბუთებულობის დადასტურების შემთხვევაშიც კი, ვერ დაექვემდებარება იძულებით აღსრულებას და დარღვეული უფლების აღდგენა მხოლოდ დამრღვევის მიხედვლებზე იქნება დამოკიდებული. უფრო მეტიც, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 23-ე მუხლებით გათვალისწინებული შეცვლებითი და მავალდებულებელი სარჩელის წარდგენისას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცვა წარმოადგენს სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ კრიტერიუმს და ასეთი ვადის დაუცველობა საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობას ქმნის. სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს მითითებული ვადების მხარეთა მიერ დაცვის ფაქტი.

22. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამსახურიდან უკანონო გათავისუფლების შემთხვევაშიც, მხარემ კანონით დადგენილ ვადაში უნდა მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების და-

საცავად. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი) 127-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება. იმავე მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტის მიხედვით, სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა აითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით აქტის გაცნობიდან. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში.

23. ამრიგად, კანონმდებლობით იმპერატიულად არის განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისი გაცნობიდან მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში გასაჩივრების შესაძლებლობა. გამონაკლისის სახით, თუკი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს მის აუცილებელ რეკვიზიტს გასაჩივრების წესის განმარტების თაობაზე, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი და ასეთი აქტის გასაჩივრება შეიძლება აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში. ამასთანავე, საკასაციო პალატა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ კ. წ-ე იყო საჯარო მოსამსახურე და მასზე ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა რეგულირდებოდა სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე და მოსარჩელის როგორც დანიშვნა, ისე გათავისუფლება მოხდა შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემით. სწორედ ამიტომ, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას, რომ სადავო ურთიერთობა წარმოიშვა ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, სადავო ურთიერთობის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს არა ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადები.

24. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის დაცვის საკითხის შესწავლისას, საკასაციო სასამართლო მიუ-



თითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული ბრძანების მოსარჩელისთვის კანონით დადგენილი წესით ჩაბარების დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა მოპასუხემ ვერ უზრუნველყო. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 ოქტომბრის სხდომაზე კი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბრძანების მხარისთვის ოფიციალურად ჩაბარების დასტური არ აქვთ. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2014 წლის 16 მაისის №1659 ბრძანება არ შეიცავს მისი გასაჩივრების წესის განმარტებას. დამატებით საყურადღებოა მოსარჩელის განმარტება, რომ აქტი ჩაბარდა 2016 წლის 18 აპრილს, ხოლო სარჩელი სასამართლოში შემოტანილია 2017 წლის 18 აპრილს, გასაჩივრების ერთწლიანი ვადის დაცვით.

25. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ უზრუნველყო აქტის მხარისთვის სათანადო წესით ჩაბარება და ვერ დაძლია აქტის მხარისთვის ჩაბარების მტკიცების ტვირთი, გასაჩივრების ვადის ათვლის დაწყების მომენტის განსაზღვრისთვის, გასათვალისწინებელია სადავო სამართალური თეორიის სპეციფიკაც. კერძოდ, „ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის ათვლის დასაწყისს კანონმდებლობა უსაფუძვლოდ არ უკავშირებს დაინტერესებული მხარის მიერ აქტის გაცნობის ფაქტს. ბუნებრივია, შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი აქტის გასაჩივრება. აქტის არცოდნა მისი გასაჩივრების შესაძლებლობას გამორიცხავს. თუმცა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაინტერესებული მხარისათვის გაცნობა უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ამ აქტით მიღებული გადაწყვეტილების მიღების ფაქტისა და გადაწყვეტილების შინაარსის მხარისათვის გაცნობას და არა მარტო იმას, რომ პირმა მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურად ჩაიბაროს გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ აქტის ოფიციალური გაცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მხარე ადასტურებს მისი შინაარსის გაცნობას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ბს-312-308(კ-14)). შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისთვის სათანადოდ წესის ჩაბარების მნიშვნელობა გამოიხატება, ერთი მხრივ, ადრესატის მიერ აქტის შესრულების შესაძლებლობის უზრუნველყოფაში, მეორე მხრივ, გასაჩივრების უფლების ჯეროვანი რეალიზაციის მიზნის მიღწევაში. ამასთან, შრომითი ურთიერთობების თავისებურებების გათვალისწინებით, სამსახურებრივი მოვალეობე-

ბის განუხორციელებლობა, სამსახურში გამოუცხადებლობა და ხელფასის მიუღებლობა ცალსახად მიუთითებს და ადასტურებს, რომ დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილია, რის თაობაზეც ცნობილია დასაქმებულისთვისაც.

26. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მასზე, რომ სადავო შემთხვევაში მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა შეწყდა 2014 წელს. ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცედურებისა (სამანდატო კომისიის სხდომის ჩატარება, პატიკების დაწერა) და მოსარჩელის მიერ საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად დასახელებული გარემოების (იძულება) გათვალისწინებით კი, ცალსახაა, რომ კ. ნ-ისთვის 2014 წლიდან ცნობილი იყო არა მხოლოდ მისი სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტი, არამედ სამუშაოდან დათხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებიც. მაშასადამე, მიუხედავად ადრესატისთვის აქტის არჩაბარებისა, მას შეეძლო, საკუთარი დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვა და საკუთარი პოზიციის სათანადოდ ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს და მიუთითებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისთვის ჩაბარების სავალდებულოობაზე, იმავდროულად განმარტავს, რომ გასაჩივრების ვადის ათვლისთვის აქტის მხარისთვის ჩაუბარებლობა ავტომატურად არ უნდა გახდეს ხანდაზმულობის ვადების დაცვისგან თავის არიდების საშუალება, ასეთი ვითარება ხელყოფს სამართლიანი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისა და სტაბილური მართლწესრიგის შენარჩუნების მიზნებს. ამდენად, აქტის გასაჩივრების ვადის დენის დაწყება უნდა დაუკავშირდეს არა კ. ნ-ისთვის აქტის მატერიალური სახით გადაცემას, არამედ იმ მომენტს, როდესაც მან შეიტყო საკუთარი უფლების დარღვევისა და იმ კონკრეტული ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების თაობაზე, რაც მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილია 2014 წელს, ხოლო სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილია მხოლოდ 2017 წლის 18 აპრილს, უნდა შეფასდეს, მოსარჩელე 2014 წლიდან იყო თუ არა უკვე აღჭურვილი დარღვეული უფლების ჯეროვნად დაცვის, დასაბუთებული სარჩელის წარდგენის შესაძლებლობით.

27. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა გამოიკვლიეს რა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, მიუთითეს გასაჩივრებული აქტის მხარისთვის სათანადო წესით ჩაუბარებლობაზე, რის გამოც მიიჩნიეს, რომ არ არსებობდა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები. ამასთან,

სასამართლოებმა ყურადღება არ გაამახვილეს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე, სადავო შემთხვევის ბუნებაზე. ამრიგად, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი სათანადო წესით შესწავლილი და გამოკვლეული არ არის. მათ შორის, გამოკვლეული არ არის, ხომ არ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერების/შენწყვეტის წინაპირობები.

28. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე მიუთითებს მის მიმართ იძულების განხორციელებასა და შედეგად სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე პატაკის, რეალური ნების საწინააღმდეგოდ, დაწერაზე. აღნიშნულის გამო, პალატა, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის შეფასებისას, მნიშვნელოვნად მიიჩნევს, დადგინდეს 2014 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში განხორციელა თუ არა კ. ნ-ემ საკუთარი უფლებების დაცვა არა სასამართლოსთვის, არამედ სხვა სახელმწიფო, სამართალდამცავი, მათ შორის, საგამოძიებო, ორგანოებისათვის მიმართვის გზით. ასეთი მიმართვის არარსებობის პირობებში კი, გამოკვლეულ უნდა იქნეს, ხომ არ არსებობდა ობიექტური გარემოება, რაც გამორიცხავდა მოსარჩელის მიერ საკუთარი უფლებების დასაცავად სათანადო ორგანოებისათვის მიმართვას, ან იყო თუ არა ეს იძულების გაგრძელებით განპირობებული. საყურადღებოა, რომ თუკი მოსარჩელე სასამართლოსათვის დროულად მომართვის შესაძლებლობას გამორიცხავს იძულებაზე მითითებით, სწორედ მან უნდა უზრუნველყოს იმ კონკრეტულ გარემოებებზე მითითება, რაც დაადასტურებს მის მიმართ იძულების განხორციელებას.

29. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებელი გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ იმსჯელა სარჩელის დასაშვებობის წინაპირობებზე, არ შეაფასა სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი, სადავო ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე ზუსტად არ განსაზღვრა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის მომენტი და არ გამოიკვლია ვადის შეჩერების/შენწყვეტის კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობა. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო

სასამართლოს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები განანილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**არაუშლავამოსილი პირის მიერ გამოცემული  
პრკანაბების არარად ცნობა, ტოლფას თანამდებობაზე  
აღდგენის დავალება, განაცდურის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1037(კ-18)

23 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ქ. ცინცაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარად აღიარება, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ქმედების განხორციელების დავალება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ხ-ძე 1991 წლიდან მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის 1995 წლიდან სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში, ხოლო 2006 წლიდან შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში. საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 11.03.146. №... ბრძანებით, მ. ხ-ძე დაინიშნა საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციის ...ის (მთავარი სამმართველოს ...ის) თანამდებობაზე. შს მინისტრის მ.შ. 26.11.2016წ. №... ბრძანებით, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციის (მთავარი სამმართველოს) ...ე (მთავარი სამმართველოს ...ე), სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკი მ. ხ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შსს კადრების განკარგულებაში. შს მინისტრის 27.03.176. №... ბრძანებით, შსს კადრების განკარგულებაში მყოფი სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციის (მთავარი სამმართველოს) ...ე, პოლკოვნიკი მ. ხ-ძე დათხოვნილ იქნა საქართველოს შს სამინისტროდან, კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო.

მ. ხ-ძემ სარჩელი აღძრა მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 26.11.2016წ. №... და 27.03.2017წ. №... ბრძანებების არარად აღიარება, საქართველოს შსს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციისათვის მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.12.2017წ. გადაწყვეტილებით მ. ხ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. ხ-ძის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.04.2018წ. განჩინებით მ. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სადავო აქტების არარად აღიარების სამართლებრივი საფუძველი, შს მინისტრი არის სადავო საკითხის გადაწყვეტაზე უფლებამოსილი პირი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება არის სამინისტროს გამგებლობაში არსებული აღმასრულებელი ხელი-სუფლების დაწესებულება, რომელიც იქმნება, გარდაიქმნება და

საქმიანობას წყვეტს კანონით ან მთავრობის დადგენილებით. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების“ 2.3 მუხლის შესაბამისად, სამინისტრო ეფუძნება ერთმმართველობის პრინციპს, სამინისტროს ერთიანი სისტემის შემადგენლობაშია: სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, ტერიტორიული ორგანოები, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები. დებულების 6.2 მუხლის შესაბამისად საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსი იმავდროულად არის მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ 33-ე და 34-ე მუხლების თანახმად, სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ იქნეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო, სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასაზღვრო პოლიციის უფროსი ან სხვა უფლებამოსილი პირი. პალატამ მიიჩნია, რომ 34.4 მუხლის ჩანაწერში სხვა უფლებამოსილ პირში იგულისხმება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც კანონმდებლობის ფარგლებში ერთმმართველობის პრინციპზე დაყრდნობით უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მის დაქვემდებარებაში არსებული პირების დაკავებულთა თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა მ. ხ-ძის მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, შს მინისტრის მ.შ. 26.11.2016წ. №... და შს მინისტრის 27.03.17წ. №... ბრძანებების არარად აღიარება, სასაზღვრო პოლიციისათვის გათავისუფლებამდე მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის დავალება და მისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება (ბრძანებების გამოცემის დღიდან აღდგენამდე პერიოდისთვის).

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატამ ერთმმართველობის პრინციპზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება, ამასთანავე, სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა თავად მინისტრის უფლებამოსილების საკითხი. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის მე-7 თავის მიხედვით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მი-

ნისტრი (25.6 მუხ.), სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელსა და მის მოადგილეს დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების მე-5 მუხლის თანახმად შს მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და სხვა თანამშრომლებს, განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს, დასანიშნად წარუდგენს პრემიერ-მინისტრს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელს. სხვა სახის კომპეტენცია საქვეუწყებო დაწესებულების თანამშრომლების დანიშვნასთან დაკავშირებით მინისტრს არ გააჩნია. „სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ 34.4 მუხლში სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის სასაზღვრო პოლიციის უფროსის გარდა მითითება სხვა უფლებამოსილ პირზე გულისხმობს ისეთ პირს, რომელსაც უფლებამოსილება გათანაბრებული ექნება სასაზღვრო პოლიციის უფროსთან. სასაზღვრო პოლიციის დებულების მე-7 მუხლის თანახმად, საზღვრის დაცვის პოლიციის უფროსს აქვს უფლებამოსილების დელეგირების განხორციელების შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში უფროსის უფლებამოსილებათა დელეგირებას ახორციელებს შს მინისტრი. მუხლში ნათლადაა გაწერილი, რომ მინისტრი აუცილებლად დელეგირებით გადასცემს სხვას ფუნქციას. დელეგირების ფარგლებში პირი შეიძლება იყოს პოლიციის უფროსთან დაქვემდებარებული პირი.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 25.11.2016წ. საქართველოს პარლამენტის წარედგინა მთავრობის შემადგენლობა ნდობის მისაღებად, საქართველოს პრეზიდენტის 18.11.2016წ. განკარგულებით საქართველოს მთავრობას დაეკისრა მოვალეობის შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე. მინისტრს არ ჰქონია 25.11.2016წ. სასაზღვრო პოლიციის დებულებაში ცვლილების შეტანის, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების რეორგანიზაციის ერთპიროვნულად განხორციელების შესაძლებლობა. შს სამინისტროს დებულების 5.2 მუხლის შესაბამისად, შს მინისტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების რეორგანიზაციას, ხოლო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია კანონმდებლობის მიხედვით არის არა სტრუქტურული ქვედანაყოფი, არამედ საქვეუწყებო დაწესებულება. კასატორი აღნიშნავს, რომ მის სამსა-

ხურის გავლის ნუსხაში, სადავო აქტების გამოცემამდე, არ არის არც ერთი ჩანაწერი შს მინისტრის მიერ მისი დანიშვნა-გადაადგილებაზე, კადრების განკარგულებაში აყვანა ხორციელდება მხოლოდ შსს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მიერ. ნამსახურების წლების განმავლობაში მიღებული არაერთი მედლის, ორდენის, ჯილდოების მიუხედავად, 2015 წლის 3 სექტემბრიდან სამსახურის ვადის ზღვრულ ასაკს ზევით 5 წლის ვადით გაგრძელების მიუხედავად, შს მინისტრის მ.შ. 25.11.2016წ. №644 ბრძანებით, რაიმე სხვა თანამდებობის შეთავაზების გარეშე, შტატის შემცირების გამო გათავისუფლდა თანამდებობიდან. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებულ განჩინებაში მოყვანილ მოსაზრებას მოთხოვნის დაუსაბუთებლობის შესახებ და თვლის, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოები შემოიფარგლნენ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ზოგადი ნორმებით, არ მიუთითეს თუ რომელი ნორმის თანახმად ჰქონდა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს მისი კადრების განკარგულებაში აყვანის და შემდგომ დათხოვნის უფლება.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას შესაგებელი საკასაციო საჩივარზე არ წარუდგენიათ. შს სამინისტროს და სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნეს და მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება საკასაციო საჩივრის უსაფუძვლობის გამო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო სახელმწიფო სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელია. ეს უფლებამოსილება გამოვლინებას პოულობს უპირველეს ყოვლისა აღმასრულებელი ორგანოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი აქტების გამოცემაში. მინისტრი არის პასუხისმგებელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველყოფაზე. მინის-



ტრი ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს. მინისტრს უფლება არ აქვს სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებებს გადასცეს თავისი უფლება-მოვალეობანი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული („საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 15.5 მუხ.). სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება წარმოადგენს სამინისტროს გამგებლობაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას, ის იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს კანონით ან მთავრობის დადგენილებით (კანონის 25-ე მუხ.). საქვეუწყებო დაწესებულება არის ორგანიზაციული მონაცემების საჯარო სამართლებრივი ფორმა, რომლის მეშვეობით ხორციელდება საჯარო მმართველობა.

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება შეიძლება შეიქმნას თავდაცვის, სამართალდამცავ, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურის ან სხვა სფეროში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და საჯარო ფუნქციების შესასრულებლად („საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 25-ე მუხ.). სტრუქტურული ერთეული და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება არიან საჯარო სამართლებრივი ფორმის მქონე ორგანიზაციები (ორგანიზაციული წარმონაქმნები), რომლებიც ახორციელებენ საჯარო მმართველობას, მათ შორის განსხვავება მდგომარეობს უფლებაუნარიანობის მოცულობაში. საჯარო მმართველობის წინაპირობაა მისი განმახორციელებლის უფლება და ქმედუნარიანობა. სახელმწიფო, სამინისტრო, მისი სტრუქტურული ერთეულით, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება განსხვავდებიან უფლებაუნარიანობის მოცულობით. სკ-ის 1509-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეუწყების თანახმად, სახელმწიფო ითვლება საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. სახელმწიფო უპირველესი საჯარო სუბიექტია. სახელმწიფო არის რა იურიდიული პირი ურთიერთობებში გამოდის მისი ორგანოების, კერძოდ, სამინისტროების, სახელმწიფო დეპარტამენტების და სხვა ორგანოების მეშვეობით, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები და ახორციელებენ სახელმწიფოს საქმიანობას კონკრეტულ სფეროებში. ორგანო ქმედუნარიანია მხოლოდ ფიზიკური პირის მეშვეობით, რომელიც მისი სახელით მოქმედებს. ნაწილობრივი უფლებაუნარიანობის დროს საჯარო სამართლით დაფუძნებულ ორგანიზაციებს არ აქვთ სრულად უფლებაუნარიანი იურიდიული პირის სტატუსი, ისინი იქმნებიან

მმართველობითი ამოცანების საკუთარი პასუხისმგებლობით განსახორციელებლად და მათ მიენიჭებათ უფლებები და ეკისრებათ ვალდებულებები. ეს ორგანიზაციები არიან საჯარო მმართველობით აღჭურვილი პირები მათი უფლებაუნარიანობის ფარგლებში. ნაწილობრივი უფლებაუნარიანობა გამოიხატება იმაში, რომ ორგანიზაციას შეუძლია სამართლებრივად დამოუკიდებლად გამოვიდეს/იმოქმედოს მხოლოდ მისთვის მინიჭებული სამართლის სფეროს ნაწილში. „საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 4.1 მუხლის თანახმად მთავრობა აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს სამინისტროების, მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულებების, სახელმწიფო მინისტრის აპარატის, მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულების, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით. ამდენად, სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულება ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებად გამოდიან, თუმცა სხვადასხვა სუბიექტებს წარმოადგენენ. მათ შორის არსებობს იერარქიული ურთიერთდაქვემდებარებაც, „საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 4.1 მუხლის თანახმად, მინისტრი ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულების საქმიანობის კანონიერებას და მიზანშეწონილობას.

შს მინისტრი კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სამინისტროს თანამდებობის პირთა და სხვა თანამშრომელთა გადამწყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას (საქართველოს მთავრობის 13.12.13წ. №337 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების“ 5.2 მუხ. „დ“ ქვ.პ.). სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო აქტის კანონიერების შესახებ სააპელაციო პალატის დასკვნას არ ადასტურებს მინისტრის მიერ სამსახურებრივი ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელება საქვეუნეებო დაწესებულების მიმართ. სამსახურებრივი ზედამხედველობა არის საჯარო მმართველობის შიდა კონტროლის მექანიზმი, რომლის მიზანია სამინისტროების, მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულებების, სპეციალური დაწესებულებების საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფა („საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 30-ე მუხ.). სამსახურებრივი ზედამხედველობა ხორციელდება ქვემდებარეობის წესით, რაც გუ-

ლისხმობს ზემდგომის მიერ ქვემდგომის მიმართ ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილებას. სამსახურებრივი ზედამხედველობის სისტემა აგებულია საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის სისტემის ვერტიკალური დაქვემდებარების შესაბამისად. მინისტრი ზედამხედველობს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კანონიერებას და მიზანშეწონილობას. სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია: გასცეს წერილობითი მითითებები გამოცემულ აქტში ან შესრულებულ მოქმედებაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ; შეაჩეროს აქტის აღსრულება ან მოქმედების შესრულება; ცნოს აქტი ძალადაკარგულად (30.2, 32-ე მუხ.). მინისტრი უფლებამოსილია ძალადაკარგულად ცნოს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა აქტები და მოქმედებები მათი მიზანშეწონილობის მოტივით (32.3 მუხ.). ამასთანავე, სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი, საქართველოს მთავრობის 13.12.13წ. №337 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების“ 5.2 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებდა მინისტრის უფლებამოსილებას ძალადაკარგულად გამოაცხადოს პირველი მოადგილის, მოადგილეებისა და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამდებობის პირების აქტები და მოქმედებები, როგორც კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, აგრეთვე მათი მიზანშეწონილობის მოტივით. ის გარემოება, რომ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება არის სამინისტროს წინაშე ანგარიშვალდებული, მინისტრი ამტკიცებს საქვეუწყებო დაწესებულების დებულებას, „საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის თანახმად სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე (20.1 მუხ.), თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და ტერიტორიული ორგანოების მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულების მიმდინარეობას და ამ კანონით დადგენილი წე-

სით ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა გადანყვეტილებებსა და საქმიანობაზე (20.1 მუხ. „გ“ ქვ.პ.), მინისტრი უფლებამოსილია განიოს ზედამხედველობა, განიხილოს ადმინისტრაციული საჩივარი, გააუქმოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების აქტები – არ აღჭურავს მინისტრს საქვეუწყებო დაწესებულების ნაცვლად აქტის გამოცემის უფლებამოსილებით. ზემდგომი ორგანოს მიერ ქვემდგომი ორგანოების აქტების კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე კონტროლის განხორციელების უფლება არ ადასტურებს ზემდგომის მიერ ქვემდგომის სანაცვლოდ აქტის გამოცემის უფლებამოსილებას. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია თავად გადანყვიტოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების სფეროში მოქცეული საკითხები უკეთუ ამას პირდაპირ ითვალისწინებს კანონი, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ქვემდგომი ორგანოს მიერ ზემდგომის მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნული დასტურდება „საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონით, რომლის მე-5 მუხლის თანახმად მთავრობა კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს სამინისტროების, მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების საქმიანობას, უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელთა სამართლებრივი აქტები. ხსენებული არ ანიჭებს მთავრობას უფლებამოსილებას სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების ნაცვლად გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, კანონის 16.2 მუხლის თანახმად აღმასრულებელი ხელისუფლების გამგებლობის საკითხზე მთავრობა გადანყვეტილებას იღებს იმ შემთხვევაში უკეთუ საკითხი არ მიეკუთვნება არცერთი სამინისტროს გამგებლობის სფეროს, მთავრობა უფლებამოსილია მიიღოს გადანყვეტილება შესაბამისი სამინისტროს მმართველობის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხზე, თუ შესაბამისი სამინისტრო აღნიშნულ საკითხზე (გარდა ქვეყნის უსაფრთხოების, თავდაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხებისა) გადანყვეტილებას არ იღებს ან გადანყვეტილების მიღებას აყოვნებს. განსახილველ შემთხვევაში აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია, ყოველ შემთხვევაში სააპელაციო პალატა ვერ უთითებს ასეთი გარემოების არსებობაზე.

„პოლიციის შესახებ“ კანონის 4.2 მუხლის შესაბამისად, პოლი-

ციის სამსახურები შს სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებენ სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, შს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით. სადავო აქტების გამოცემის პერიოდში მოქმედი, საქართველოს მთავრობის 13.12.13წ. №337 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების“ 2.3 მუხლის თანახმად, სამინისტროს ერთიანი სისტემის შემადგენლობაში არის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია. სადავო აქტების კანონიერებას არ ადასტურებს ის გარემოება, რომ საქვეუწყებო დაწესებულება შს სამინისტროს სისტემის შემადგენელი ნაწილია. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს მინისტრის უფლებამოსილებას თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების სფეროში. კანონის 20.2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მინისტრი საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს სამტატო ნუსხით განსაზღვრულ მოხელეებს, სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოთა მოხელეებს, რაც შეეხება მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირებს, ხსენებული ნორმა ადგენს მინისტრის უფლებამოსილებას მხოლოდ მათი ხელმძღვანელების დანიშვნის საკითხის მიმართ. ამავე კანონის მე-7 თავი („სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები“) დამატებით ითვალისწინებს მინისტრის უფლებამოსილებას დანიშნოს თანამდებობაზე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელის წარდგინებით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე. საქვეუწყებო დაწესებულების მიმართ შს მინისტრის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონით დადგენილი დანაწესისაგან რაიმე განსხვავებულ დასკვნას სპეციალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს (სპეციალური კანონმდებლობით დადგენილია მხოლოდ სასაზღვრო პოლიციის უფროსის არა მინისტრის, არამედ პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშვნა). საქართველოს მთავრობის 13.12.13წ. №337 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების“ 5.2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, შს

მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამინისტროს ქვედანაყოფის ხელმძღვანელებს და სხვა თანამშრომლებს. სწორედ ზემოაღნიშნული პირების დანიშვნის გამო ხსენებული ნორმა სამინისტროს ქვედანაყოფის ხელმძღვანელებთან დანიშვნასთან ერთად უთითებს სხვა პირებსაც.

„პოლიციის შესახებ“ კანონის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი ზოგადად უთითებს პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ასეთ პირებს შორის ნორმა ასახელებს მინისტრს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს, აღნიშნული ნორმა ასეთ გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის უთითებს არაორივეს („ან/და“), არამედ ერთ-ერთს („ან“), წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება პარალელიზმს, დუბლირებას ან ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ერთი და იმავე მოხელის მიმართ. ის თუ კონკრეტულად ვის აქვს „პოლიციის შესახებ“ კანონის 41.2 მუხლით გათვალისწინებული სასაზღვრო პოლიციის მუშაკის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება, განსაზღვრავს სასაზღვრო პოლიციის დებულება და სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესი („პოლიციის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს შს სამინისტროში სამსახურის გავლის წესის და შს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის დამტკიცებას (60.2 მუხ.)). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ორივე სადავო აქტის საფუძველად მითითებულია შს მინისტრის 31.12.13წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი“ და საქართველოს მთავრობის 13.12.13წ. №337 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შს სამინისტროს დებულება“, არ არის გამოყენებული სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობა.

სასაზღვრო სამსახური ჩამოყალიბდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. 08.08.1992წ. გამოიცა სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესახებ. 1992წ. თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა საქართველოს სასაზღვრო სამსახური, რომელიც თავდაცვის სამინისტროს გამოეყო „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შექმნის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 05.07.1994წ. №220 ბრძანებულებით (თავდაცვის სამინისტროს გამოეყო სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველო და მის ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი). „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურ-

რისა და საქმიანობის წესის შესახებ“ 15.04.1997წ. საქართველოს კანონით აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთ სახელმწიფო უწყებად ჩამოყალიბდა სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი (23.3 მუხ. „პ“ ქვ.პ.), კანონი ადგენდა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტები სამინისტროებთან ერთად იყო აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამთავრობო დაწესებულება (მე-4 მუხ.), სახელმწიფო დეპარტამენტი იყო კანონით განსაზღვრული, აღმასრულებელ ხელისუფლებაში დამოუკიდებლად მოქმედი სამთავრობო დაწესებულება, ის ახორციელებდა მმართველობით ფუნქციებს (23-ე მუხ.). 1996 წლის მარტში შეიქმნა საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი. საქართველოს პრეზიდენტის 25.03.1997წ. №156 ბრძანებულებით დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულება და სტრუქტურა“, განისაზღვრა, რომ დეპარტამენტი ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებულ ორგანოთა სისტემას (2 პ.). საქართველოს პრეზიდენტის 08.08.1998წ. №405 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 25.03.1997წ. №156 ბრძანებულება და დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულება“, რომელიც ადგენდა, რომ სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი იყო აღმასრულებელ ხელისუფლებაში დამოუკიდებლად მოქმედი სამთავრობო დაწესებულება (1.1 პ.). „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ 11.02.2004წ. კანონის 35.3 მუხლის თანახმად, სახელმწიფო დეპარტამენტები რეორგანიზებულ იქნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებად და განხორციელდა მათი შესაბამისი სამინისტროებისათვის გადაცემა. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 28.06.2006წ. №126 დადგენილებით საქართველოს შს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი გარდაიქმნა და ჩამოყალიბდა როგორც „საქართველოს შს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია“. „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა ხმელეთზე, ტერიტორიულ წყლებსა და შიდა საზღვაო წყლებში, აგრეთვე სახელმწიფო საზღვარზე არსებულ საერთაშორისო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში ევალება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლება-

მოსილ ორგანოს, ხოლო საჰაერო სივრცეში ევალეზათ საქართველოს თავდაცვის ძალებს. „თავდაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, საომარი მდგომარეობის დროს სასაზღვრო პოლიციის ქვედანაყოფები დაექვემდებარება თავდაცვის სამინისტროს (9.3 მუხ.). სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად, არის შს სამინისტროს სისტემის ნაწილი. საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც საჯარო საქმიანობის განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში, საქვეუწყებო დაწესებულება ამა თუ იმ სამინისტროს გამგებლობაში არსებული მმართველობის სფეროში შემავალი დაწესებულებაა, ის მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მოხდა სახელმწიფო დეპარტამენტების რეორგანიზაცია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებად და განხორციელდა მათი შესაბამისი სამინისტროებისთვის გადაცემა. სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში საქართველოს სამინისტროებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში არსებულ სხვა რგოლებს შორის ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ფუნქციონალური გაგებით, საქვეუწყებო დაწესებულებები ყველაზე ახლოს დგანან სამინისტროებთან. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, სამინისტროს მსგავსად, წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას, მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს როგორც სამინისტროების, ასევე მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობით. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, ფუნქციონირებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ 11.02.2004წ. კანონის 27.1 მუხლის თანახმად, სამინისტრო ან საქვეუწყებო დაწესებულება უფლებამოსილია გასწიოს სახელმწიფოს წარმომადგენლობა მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას. ამდენად, სამინისტროების მსგავსად, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები წარმოადგენენ საჯარო ხელისუფლების ორგანოებს (სახელმწიფო დაწესებულებებს), სადაც საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ ერთმმართველობის პრინციპიდან გამომდინარე მინისტრი მიიჩნია იმ პირად, რომელსაც აქვს უფლებამოსილება თანამდებობიდან გაათავისუფ-



ლოს საქვეუნყებო დანესებულეების თანამშრომელი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო აქტების კანონიერებას არ ადასტურებს შს მინისტრის მიერ ერთმმართველობის საფუძველზე სისტემის მართვა, რაც სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო, არამედ ყველა სამინისტრო მოქმედებს ერთმმართველობის საწყისებზე, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 15.4 მუხლის თანახმად, სამინისტროს მართვა ხდება ერთმმართველობის პრინციპის საფუძველზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუნყებო დანესებულეა – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სტატუსს, დანიშნულებას, სტრუქტურას, კომპეტენციას, უფლებამოსილებებს და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს აწესრიგებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006წ. №786 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნყებო დანესებულეა – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულეა“, რომლის თანახმად სასაზღვრო პოლიცია არის საქართველოს შს სამინისტროს გამგებლობაში შემავალი სპეციალური სამსახური და სამართალდამცავი ორგანო სახელმწიფო საქვეუნყებო დანესებულეების სტატუსით, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე (დებულეების 2.1 მუხ.). სასაზღვრო პოლიციას მართავს და ხელმძღვანელობს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი (6.2 მუხ.). სასაზღვრო პოლიციის უფროსი სასაზღვრო პოლიციის სამსახურში სამტაგო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ნიშნავს, გადაადგილებს და ათავისუფლებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებს, წარუდგენს მინისტრს კანდიდატებს სასაზღვრო პოლიციის ...ის თანამდებობაზე დანიშნვის და გათავისუფლების მიზნით (7.1 მუხ. „ი“, „კ“, „ლ“ ქვ.პ.), დებულეაში შს მინისტრის უფლებამოსილების ჩამონათვალი ამომწურავია და არ იძლევა განვრცობითი განმარტების საშუალებას. შსს უფლება არ აქვს საკუთარ თავს თვითნებურად მიანიჭოს კომპეტენციები, მას არ აქვს კომპეტენციის მინიჭების კომპეტენცია, კომპეტენციის მინიჭება ხდება მხოლოდ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილების შეტანით.

მინისტრი ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის

საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს („საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 20.2 მუხ. „ა“ ქვ.პ.). სამინისტრო, როგორც საჯარო მმართველობის უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტი, იძენს ქმედუნარიანობას მისი ორგანოს – მინისტრის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში. მინისტრი საქმიანობს საკუთარი სახელით სამინისტროსთვის და მისი ქმედება შეერაცხება სამინისტროს ისე, თითქოს იგი არის სამინისტროს ქმედება. მინისტრი მოქმედებს სამინისტროს უფლებამოსილების – გამგებლობის სფეროსთვის მიკუთვნებული და უშუალოდ მინისტრისთვის განანილებული საკითხების ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის, სხვა კანონების, კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. მინისტრის უფლება სამინისტროს მართვაზე ვლინდება სამინისტროს და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტრუქტურისა და საქმისწარმოების წესების დადგენის, აგრეთვე სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სამტაჯო განრიგით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურეების, ტერიტორიულ ორგანოთა მოხელეების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების თანამდებობაზე დანიშვნის და თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებამოსილებებში (მე-20 მუხ.). მინისტრის მიერ მართვის განხორციელების უფლება გულისხმობს ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლებამოსილებას. მინისტრი გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და ის პასუხისმგებელია მათ კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე. სამინისტროში დასაქმებულები საქმიანობენ მხოლოდ სამინისტროს უფლებამოსილებისა და უშუალოდ მათზე განანილებული საკითხების ფარგლებში. როგორც წესი, ისინი არიან სამინისტროსთვის მოქმედი და მისი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირები, რომელთა მეშვეობითაც სამინისტრო ხდება ქმედუნარიანი. აღნიშნული მინისტრს არ აძლევს მისდამი დაქვემდებარებული ყველა ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების შესრულების უფლებას. პირიქით, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების დებულებების დამტკიცების გზით, მინისტრი აკისრებს ამ დაწესებულებისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე მის ხელმძღვანელს პერსონალურ პასუხისმგებლობას სასაზღვრო პოლიციის უფროსის უფლებამოსილების ნაწილში, რაც დასტურება საქართველოს შს მინისტრის 21.06.2006წ. №786 ბრძა-

ნებით დამტკიცებულ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულების“ მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, რომლის შესაბამისად სასაზღვრო პოლიციის უფროსი პასუხისმგებელია შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე სასაზღვრო პოლიციაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე.

სადავო აქტების კანონიერებას არ ადასტურებს საქართველოს შს მინისტრის 31.12.13წ. №1014 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ 34-ე მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასაზღვრო პოლიციის უფროსი ან სხვა უფლებამოსილი პირი. ის, რომ სხვა უფლებამოსილი პირში არ იგულისხმება მინისტრი დასტურდება „საქართველოს შს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულების“ 7.1 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტით, რომლითაც სასაზღვრო პოლიციის სამსახურში საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე სასაზღვრო პოლიციის უფროსი ნიშნავს, გადაადგილებს და ათავისუფლებს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებს, სასაზღვრო პოლიციის უფროსი შს მინისტრს წარუდგენს კანდიდატურებს სასაზღვრო პოლიციის ...ის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების მიზნით, ამავე მუხლით საჭიროების შემთხვევაში უფროსის უფლებამოსილებათა დელეგირებას ახორციელებს საქართველოს შს მინისტრი. ამდენად, მინისტრი უფლებამოსილია განახორციელოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის უფლებამოსილების დელეგირება და არა სასაზღვრო პოლიციის უფროსის უფლებამოსილების შეთავსება. დელეგირების შესაძლებლობის აღნიშვნა პოლიციის ...ეების დანიშვნასთან ერთ ნორმაში ცხადად მიანიშნებს პოლიციის უფროსის უფლებამოსილების დელეგირების შესაძლებლობას ...ეებისადმი, მინისტრი უფლებამოსილია მოახდინოს დელეგირება უფროსის უფლებამოსილების და არა ამ უფლებამოსილების უშუალოდ განხორციელება (აღნიშნულის შესაბამისად, სადავო აქტების გამოცემამდე, შს მინისტრის მ.შ. 25.11.16წ. №2940956 ბრძანებით სასაზღვრო პოლიციის ...ეს – სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორს – თ. კ-ს დაეკისრა შსს სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოვალეობის დროებითი შესრულება). სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლის სამსახურში მიღებასა და განთავისუფლებაზე უფლებამოსილი პირია სასაზღვრო პოლიციის უფროსი, „სხვა უფ-

ლებამოსილი“ პირი მინისტრი ვერ იქნება, რადგან მას ამის კომპეტენცია არ გააჩნია, ამის შესახებ ჩანაწერს არცერთი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი არ იძლევა. სხვა უფლებამოსილ პირში იგულისხმება ის პირი, რომელსაც უფლებამოსილება გათანაბრებული ექნება სასაზღვრო პოლიციის უფროსთან. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულების“ 7.2 მუხლის თანახმად, სასაზღვრო პოლიციის უფროსს უფლება აქვს კომპეტენტურ პირებზე განახორციელოს ამ ბრძანებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა დელეგირება საკადრო, საფინანსო და სახელმწიფო საზღვრის დაცვის საკითხებზე, საჭიროების შემთხვევაში უფროსის უფლებამოსილებათა დელეგირებას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. ამდენად, თუ საზღვრის დაცვის პოლიციის უფროსი არ განახორციელებს დელეგირებას, ამას აკეთებს მინისტრი. შესაბამისად, მართებულია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დელეგირების ფარგლებში საზღვრის დაცვის პოლიციის უფროსის უფლებამოსილებას შეასრულებს პირი, რომელიც დაქვემდებარებულია საზღვრის დაცვის პოლიციის უფროსისადმი, რადგან აღმავალი ხაზით დელეგირება არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით, შეუძლებელია აგრეთვე თავის თავზე უფლებამოსილების დელეგირება. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულების“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „d“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასაზღვრო პოლიციის უფროსს უფლება აქვს გადასცეს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით ან ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილება მის დაქვემდებარებაში მყოფი ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულისა და ქვედანაყოფის უფროსს. ამდენად, „სხვა უფლებამოსილი“ პირი დელეგირების ფარგლებში შეიძლება იყოს პირი, რომელიც დაქვემდებარებულია საზღვრის დაცვის პოლიციის უფროსთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს შს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ 34.4 მუხლში სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ პირად სასაზღვრო პოლიციის უფროსთან ერთად მითითება სხვა უფლებამოსილ პირზე გულისხმობს იმ პირს, რომელსაც დელეგირებული აქვს პოლიციის უფროსის უფლებამოსილება, მინისტრს აქვს სასაზღვრო პოლიციის უფროსის უფლებამოსილების დელეგირების და არა ამ უფლებამოსილების განხორციელების უფლებამოსილება.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის თანახმად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მიიღება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. ამდენად, „საქართველოს შს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესი“ ვერ იქნება განმარტებული იერარქიით ზემდგომი ნორმატიული აქტის – „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმად მინისტრი უფლებამოსილია საქვეუწყებო დაწესებულებისა და საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოების მხოლოდ უფროსების დანიშვნა/განთავისუფლებაზე, მით უფრო, რომ სპეციალური კანონმდებლობით დადგენილია შს მინისტრის მიერ სასაზღვრო პოლიციის უფროსის კანდიდატურის მხოლოდ წარდგენის და არა დანიშვნის უფლებამოსილება.

„სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ მე-17 მუხლით განსაზღვრულია პოლიციელის ზღვრული ასაკი. 37-ე მუხლის თანახმად, სპეციალური ნოდების მქონე პირი თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან სამსახურში დადგენილი ზღვრული ასაკის გამო, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამოწვევებისა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს მინიჭებული აქვს პოლკოვნიკის წოდება, რაც „სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ 53-ე მუხლის შესაბამისად, უფროს სპეციალურ წოდებათა რიგს განეკუთვნება, უფროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურისათვის ზღვრული ასაკი წესის 17.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით 60 წელს შეადგენს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ მიაღწია ზღვრულ ასაკს, წესის 17.2 მუხლის საფუძველზე შს მინისტრის 11.09.2015წ. №2053958 ბრძანებით, სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის და მ. ხ-ძის მიმართების საფუძველზე, მ. ხ-ძეს გაუგრძელდა სამსახურის ვადა ზღვრულ ასაკს ზევით 5 წლამდე ვადით (კასატორს გაგრძელებული სამსახურის ვადა 11.09.2020წ. უსრულდება). აღნიშნული გარემოება არ ადასტურებს სადავო აქტების კანონიერებას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოხდა მ. ხ-ძის არა დანიშვნა, არამედ სამსახურის ვადის გაგრძელება, „სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სამსახურის ვადის ზღვრული ასაკის ზევით 5 წლამდე ვადით უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებს საკუთარი სურვილით, მინისტრის თანხმობით, შეიძლება გაუგრძელდეს სამსახურის ვადა. განსახილველ შემთხვე-

ვაში მ. ხ-ძეს ზღვრული ასაკის ზევით სამსახურის ვადა გაუგრძელდა ხუთი წლით, სამსახურის ვადის გასვლამდე სამსახურიდან გათავისუფლება უფლებამოსილი პირის მიერ უნდა განხორციელდეს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შს მინისტრის მ.შ. 26.11.2016წ. №... სადავო ბრძანების თანახმად, თანამდებობიდან გათავისუფლებას და კადრების განკარგულებაში აყვანის საფუძვლად დაედო რეორგანიზაცია, რომელსაც თან სდევდა შტატების შემცირება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. ხ-ძე სასაზღვრო უწყებაში მსახურობდა 1995 წლიდან, ის განსაკუთრებული დამსახურებისთვის არაერთგზის არის დაჯილდოებული მედლებით, ორდენებით. საქმეში დაცული სამსახურის გავლის ნუსხის მიხედვით მ. ხ-ძე მრავალგზის იქნა ნახალისებული სამსახურებრივი მოვალეობების სანიმუშოდ, კეთილსინდისიერად შესრულებისათვის და მიღწეული წარმატებებისათვის. მის დაქვემდებარებაში იყო ექვსი სტრუქტურული ქვედანაყოფი. 03.09.2015წ. მას გაუგრძელდა სამსახურის ვადა ზღვრული ასაკის ზევით 5 წლის ვადით. ასეთ პირობებში გაურკვეველია, თუ რა მოსაზრებით მოხდა კასატორის შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით შტატის შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლება მისთვის რაიმე სხვა თანამდებობის შეთავაზების გარეშე. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ გარემოებებზე არ უმსჯელია. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სეგროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ 33-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, პოლიციელი და საჯარო მოხელე, უფლებამოსილი პირის ბრძანებით, შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს 4 თვის ვადით. მხოლოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით პოლიციელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებაზე და კადრების განკარგულებაში აყვანაზე ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე „პოლიციის შესახებ“ კანონის 42.1 მუხლი. კადრების განკარგულებაში აყვანილი პოლიციელი, საჯარო მოხელე განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლებიან შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად. სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო („სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ 34-ე მუხ. მე-2 პუნქ., „დ“ ქვ.პ.). ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება მუშაკის სამსახურებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის სხვადასხვა კრიტერიუმებით შეფასება, თითოეული მუშაკის პროფესიონალიზმის, შრომითი უნარ-ჩვევების, კომპეტენ-

ტურობის, მიღებული განათლების, კარიერული ზრდის პერსპექტივის, კრეატიულობის, პირადი თვისებების, თანამშრომლობის უნარის, კოლეგიალობის, რეპუტაციის, სხვა გარემოებების გათვალისწინება და კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილების მიღება. მოპასუხეების წარმომადგენლები ვერ უთითებენ იმ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც მოხდა შეფასება. რეორგანიზაციის შედეგად იმ სტრუქტურის გაუქმება, რომელშიც მსახურობდა მ. ხ-ძე არ ადასტურებს მის ტოლფას ან რაიმე სხვა თანამდებობაზე დასაქმების შეუძლებლობას, რეორგანიზაციამდე მ. ხ-ძეს დაკავებული ჰქონდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობა, ის ექვს განყოფილებას კურირებდა, არ დასტურდება ამ სტრუქტურული ქვედენაყოფების ფუნქციების რეორგანიზაციის შედეგად გაუქმება. რეორგანიზაციის შედეგად ფუნქციების ცვლილება არ იყო იმ ხარისხის, რომ გამოენვია არსებითად და რადიკალურად სასაზღვრო აპარატის სტრუქტურის შეცვლა, ისეთი ფუნქციების დამატება, რომელიც კასატორს მოთხოვნილი კვალიფიკაციის შეუსაბამო პირად აქცევდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოხელის კვალიფიკაციის მიმართ ნაყენებული მოთხოვნები განსხვავებულია მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობის დამიხედვით. აღნიშნულის გამო არასათანადო კვალიფიკაცია, არადამაკმაყოფილებელი ჩვევები შესაძლოა გახდეს სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი იმ შემთხვევაში, უკეთუ არ არსებობს სხვა, მოხელის კვალიფიკაციის შესაბამისი ფუნქციონალური დატვირთვის სამსახურში მისი დასაქმების შესაძლებლობა ან თუ ასეთ გადაყვანაზე უარს ამბობს მოხელე. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება სხვა პოზიციაზე მოსარჩელის დასაქმების წინადადება ან/და მ. ხ-ძის უარი გადაყვანაზე. განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციას შეეძლო საკადრო როტაციის შედეგად მ. ხ-ძისათვის საქვეუწყებო დანესებულების სტრუქტურის ქვედარგოლში დასაქმება. სამსახურიდან დათხოვნა შესაძლებელი იყო უკეთუ არ არსებობდა სხვა, მოხელის კვალიფიკაციის შესაბამისი, წინარესთან თუნდაც დაქვემდებარებულ პოზიციაზე დასაქმების შესაძლებლობა ან თუ ასეთ გადაყვანაზე უარს აცხადებდა მოსამსახურე. საქმის მასალებით არ დასტურდება ადმინისტრაციის მიერ სხვა ტოლფას ან უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანის შეთავაზება. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო აქტით გამოყენებული იქნა უკიდურესი ზომა – სამსახურიდან დათხოვნა, აგრეთვე მ. ხ-ძის მაღალი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტში ადმინისტრაციას უნდა მოეყვანა მოსამსახურის სხვა პოზიციაზე გამოყენების შესაძლებლობის გამომრიცხავი გარემოებები, გამო-

ეკვლია ყველა გარემოება და დაესაბუთებია სხვა გადანყვეტილების მიღების შეუძლებლობა, რასაც ადგილი არ ჰქონია. სამსახურებრივი ურთიერთობის დროს მოსამსახურე ექცევა დამსაქმებლის ნების ზეგავლენის ქვეშ, დამოკიდებული ხდება მის მითითებებზე და მის მიერ განსაზღვრულ ორგანიზაციულ პირობებზე, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მოსამსახურისათვის ალტერნატიული წინადადების შეთავაზება, ხოლო დამსაქმებლის მიერ განხორციელებული ცალმხრივი ნების გამოვლენა – სამსახურიდან გათავისუფლება, არ არის შეუზღუდავი.

ზემოაღნიშნულთან ერთად მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი ეხება არა გასაჩივრებული აქტების ბათილობის, არამედ შს მინისტრის უფლებამოსილების ფარგლებს, შსს სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებულ პირთა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის შესაძლებლობას. აქტის არარად ცნობა დამოკიდებულია სამართალდარღვევის ხასიათზე. ადმინისტრაციული აქტის არარად ცნობა ყველაზე რადიკალური ზომია, აღნიშნული შესაძლოა უფლებამოსილების მნიშვნელოვანი გადაემეტების და უფლების მნიშვნელოვანი შეზღუდვის შემთხვევაში. საკასაციო პალატა თვლის, რომ სახეზეა სზაკ-ის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, აღნიშნული ნორმისა და სზაკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილს შორის არსებული კოლიზია სპეციალური და უფრო ნორმის განახლებული რედაქციის, ანუ 60.1 მუხლის სასარგებლოდ უნდა გადანყდეს. სზაკ-ის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი წარმოადგენს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემაზე არაუფლებამოსილ პირს, ვინაიდან საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციის ...ის (მთავარი სამმართველოს ...ის) სამსახურიდან გათავისუფლება განეკუთვნებოდა არა შს მინისტრის, არამედ საქვეუნებო დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებამოსილებათა რიგს. კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე (სზაკ-ის მე-5 მუხ.), ყველა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაიცვას კანონის მოთხოვნები და არ დაუშვას მისი დარღვევა. ადმინისტრაციულ ორ-



განოს (კერძო სამართლის სუბიექტისგან განსხვავებით) ეკრძალება იმ უფლებამოსილებების განხორციელება, რომლებსაც კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს, ანუ მოქმედებს პრინციპი – რაც ნებადართული არ არის, – აკრძალულია. მართალია, არ არის გამორიცხული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით გათვალისწინებელი ფუნქციების შესრულება უკეთეს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება ან სამართლებრივი აქტი არ ენიშნაღმდეგება კანონს და ადმინისტრაციული ორგანო არ ცდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ზოგადი უფლებამოსილებების საზღვრებს, მაგრამ ამასთანავე, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია შემზღუდავი სამართლებრივი აქტების გამოცემა მხოლოდ კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე (სზაკ-ის 5.2 მუხ.).

საქართველოს შს მინისტრის 31.12.13წ. №1014 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ 27.5 და 6წ-ე მუხლების თანახმად, უკანონოდ გათავისუფლებული მოსამსახურის თანამდებობაზე აღდგენისას, თუ შტატის შემცირების გამო აღარ არსებობს ან უკვე დაკომპლექტებულია უკანონოდ გათავისუფლებამდე არსებული თანამდებობა, პირი, მისი კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ინიშნება შესაბამის (ტოლფას) ან მისი თანხმობით – სხვა თანამდებობაზე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირი უარს იტყვის შეთავაზებულ თანამდებობაზე, გათავისუფლდება დაკავებული/აღდგენილი თანამდებობიდან. ამასთანავე, შს მინისტრის 21.06.06წ. №786 ბრძანებით დამტკიცებულ სასაზღვრო პოლიციის დებულებაში შს მინისტრის 25.11.16წ. №664 ბრძანებით შეტანილი ცვლილებების შედეგად მოხდა სასაზღვრო პოლიციის რეორგანიზაცია მისი სტრუქტურული ოპტიმიზაციის მიზნით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მ. ხ-ძეს არ გაუსაჩივრებია შს მინისტრის 25.11.16წ. №664 ბრძანება, ხსენებული ბრძანებით სასაზღვრო პოლიციის დებულებაში შეტანილი ცვლილებები ძალაშია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქვეუწყებო დაწესებულების სტრუქტურის ცვლილების მიზანშეწონილობა ადმინისტრაციის დისკრეციული უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება. სასაზღვრო პოლიციის რეორგანიზაციამდე სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულის სახით ფუნქციონირებდა ადმინისტრაცია (მთავარი სამმართველო), რომლის ...ის თანამდებობას იკავებდა მ. ხ-ძე. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქარ-

თველოს სასაზღვრო პოლიციის დებულებაში“ შს მინისტრის მ.შ. 25.11.2016წ. №664 ბრძანებით შეტანილი ცვლილებების შედეგად, სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ადმინისტრაციის (მთავარი სამმართველოს) ფუნქციები გადანაწილდა საორგანიზაციო უზრუნველყოფის სამმართველოსა და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს შორის. შს მინისტრის 13.03.2018წ. №36 და 15.06.2018წ. №70 ბრძანებებით სასაზღვრო პოლიციის დებულებაში შეტანილი ცვლილებებით სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურულ ერთეულებს შორის კვლავ მოხდა ფუნქციების გადანაწილება, ცვლილებების შედეგად პოლიციის სტრუქტურაში კვლავ გათვალისწინებულია ადმინისტრაცია (მთავარი სამმართველო), განსხვავებული ფუნქციური დატვირთვით, რეორგანიზაციამდე ადმინისტრაციისათვის (მთავარი სამმართველოსათვის) არსებული ფუნქციები დივერსიფიცირებულია სასაზღვრო პოლიციის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

სზაკ-ის 60-ე მუხლის თანახმად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოცემა ყოველთვის არ წარმოშობს მისი არარა აქტად მიჩნევის საფუძველს. როგორც კანონიერი, ისე უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, განსხვავებით არარა ადმინისტრაციული აქტისაგან, მისი გამოცემის მომენტიდან მოქმედებს – საჩივრისა და სარჩელის შეტანის ვადის გასლის შემდეგ ხდება ყველასთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე, ხოლო არარა აქტი გამოცემისთანავე არარაა, ის არ ცვლის სამართლებრივ მდგომარეობას, რის გამოც არარა აქტის მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადები, აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნისგან განსხვავებით არარაად ცნობის მოთხოვნის დასმა არ არის შეზღუდული მკაცრი ვადით. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა სამსახურებრივი ურთიერთობები, რომლებიც განსაკუთრებული დინამიურობით გამოირჩევა, დაკავშირებულია ხელფასის სახით პერიოდულ გადახდებთან, საკითხი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სამართლებრივი აქტის არარაად ცნობის შესახებ უნდა დაისვას გონივრულ ვადაში. სასამართლოს უფლების მნიშვნელობის მიუხედავად ის არ არის აბსოლუტური უფლება. გონივრულ ვადაში სარჩელის აღძვრის მოთხოვნის არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არამართო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგებოდა, სამართალურთიერთობის მონაწილე ვალდებულია დროულად იზრუნოს საკუთარი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე, რითიც იქმნება გონივრულ ვადაში დავის გადანყვეტის

შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე შს მინისტრის მ.შ. სადავო 26.11.16წ. №... ბრძანების გამოცემის შემდეგ 13.12.16წ. პატაკით მიმართა შს მინისტრს, 25.01.17წ. პრემიერ-მინისტრს, რომლებშიც აყენებდა სასაზღვრო პოლიციის დებულებაში შეტანილი ცვლილებების, თანამდებობიდან განთავისუფლების და კადრების განკარგულებაში აყვანის მართლზომიერების საკითხს. მ. ხ-ძის მიერ შს სამინისტროდან დათხოვნის შესახებ 27.03.17წ. №... ბრძანების გამოცემის შემდეგ ერთთვიან ვადაში იქნა სარჩელი აღძრული.

სასკ-ის 23-ე მუხლის პირველი ნაწილის და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. სასკ-ის 33-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადანყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მ. ხ-ძის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა ამჟამად არ არის ვაკანტური, რის გამოც კასატორმა მოახდინა მოთხოვნის კორექტირება. მოთხოვნის დაზუსტების გათვალისწინებით, კასატორი თვლის, რომ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას უნდა დაევალოს მ. ხ-ძის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში კასატორის კომპეტენციის გათვალისწინებით უფრო დაბალ თანამდებობაზე დანიშვნა. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია, თუმცა სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება გულისხმობს კასატორის მიერ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებას მ. ხ-ძისათვის სამსახურის გაგრძელებული ვადის დასრულებამდე. საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს აგრეთვე კასატორის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის პერიოდის ანაზღაურების შესახებ, ანაზღაურება უნდა მოხდეს კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მიღებული კომპენსაციის გათვალისწინებით.

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში მ. ხ-ძის წარმომადგენლობა ხორციელდება უსასყიდლოდ, ხოლო პირველი ინსტანციის

სასამართლოში მ. ხ-ძის მიერ წარმომადგენლობაზე განეული ხარჯის ანაზღაურებაზე (თანხის გადახდას ადასტურებს შესაბამისი ქვეთრები) მ. ხ-ძემ უარი განაცხადა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მ. ხ-ძე სასარჩელო განცხადებაში ითხოვს სადავო აქტების არარად ცნობას მთლიანად. საქმეში დაცული სადავო აქტების ტექსტებიდან დასტურდება, რომ სადავო ბრძანებები ეხება არა მხოლოდ მ. ხ-ძეს, არამედ სხვა პირებსაც. საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა დააზუსტა მოთხოვნა და აღნიშნა, რომ მოითხოვდა სადავო აქტების არარად ცნობას მის ნაწილში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება სააპელაციო სასამართლოს მიერ მანამდე მიღებული გადაწყვეტილებებისაგან, სახეზეა დივერგენცია. ამა თუ იმ საკითხზე სასამართლო პრაქტიკის არსებობა, სასამართლო განმარტების დინამიური განვითარების მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ გამორიცხავს მისი შეცვლის შესაძლებლობას, თუმცა გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს სასამართლო პრაქტიკის შეცვლის რაიმე დამაჯერებელ არგუმენტაციას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს გადაწყვეტილების კანონის დარღვევით მიღებულად ჩათვლის პირობად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას მოსარჩელეს მ. ხ-ძეს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, სასკ-ის 9.1 მუხლის საფუძველზე კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, რის გამოც სსკ-ის 53.3 მუხლის შესაბამისად მ. ხ-ძეს უნდა დაუბრუნდეს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა ღ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცია-

ციულ საქმეთა პალატის 30.04.2018წ. განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ხ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. არარა აქტად იქნეს ცნობილი „შვებულებების, მივლინებების შეწყვეტის, თანამდებობიდან გათავისუფლების და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 26.11.2016წ. N... ბრძანება მ. ხ-ის ნაწილში;

5. არარა აქტად იქნეს ცნობილი „შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 27.03.2017წ. №... ბრძანება მ. ხ-ის ნაწილში;

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას დაევალოს მ. ხ-ის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში კასატორის მ. ხ-ძის კომპეტენციის გათვალისწინებით უფრო დაბალ თანამდებობაზე დანიშვნა;

7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას დაეკისროს იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს (განაცდური) ანაზღაურება მ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან მისი სამსახურში აღდგენის დღემდე /არაუმეტეს ზღვრული ასაკისა/ მიღებული კომპენსაციის ოდენობის გათვალისწინებით;

8. მ. ხ-ეს (პ.ნ....) დაუბრუნდეს სარჩელზე 27.04.2017წ. №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი, შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;

9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კვების კომპენსაციის თაობაზე მოთხოვნის  
სანდაზმულობა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-326(კ-19)

07 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ქ. ცინცაძე**

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

კ. ა-მა 03.07.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სახელფასო დავალიანების 1168,78 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1992 წლიდან მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე. სამინისტროს სისტემაში მუშაობისას, 1998-2000 წლებში ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოეშვა სახელფასო დავალიანება, ჯამში 1168,78 ლარის ოდენობით. არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, მოპასუხემ არ აანაზღაურა არსებული დავალიანება, რითაც უგულვლელყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დანაწესი სამსახურში მიღებიდან გათავისუფლების დღემდე მოხელის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურების საჭიროების შესახებ. სამინისტრო დავალიანების ანაზღაურებაზე უარს აცხადებს შესაბამისი დაფინანსების არარსებობის გამო, თუმცა აღიარებს არსებულ დავალიანებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.08.2018წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ კ. ა-ი ითხოვს მოპასუხისათვის 1998-2000 წლებში წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან და იყო საჯარო მოხელე. სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 57-ე მუხლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს სამსახურში მიღების

დღიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო, რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოსა და დანამატს, თუმცა სკ-ის 128-ე მუხლის მიხედვით, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა, რომლის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს. დავალიანების მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან გასულია 10 წელზე მეტი ვადა, რაც ქმნის განსახილველი სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის საფუძველს. ამასთანავე, მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნა – კვების კომპენსაციის ანაზღაურება წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და სკ-ის 129.2 მუხლიდან გამომდინარე, მასზე ვრცელდებოდა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რაც ამ ნაწილშიც ადასტურებდა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობას. ამასთანავე, სასამართლომ მიიჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროს წერილი იყო მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის და არ უნდა მიჩნეულიყო ვალის აღიარებად, რადგან წერილი არ შეიცავდა დაპირებას დავალიანების ანაზღაურების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.08.2018წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა კ. ა-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.11.2018წ. გადაწყვეტილებით კ. ა-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.08.2018წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა კ. ა-ის სასარგებლოდ მისთვის 1998, 1999 და 2000 წლების სახელფასო დავალიანების – 1168,78 ლარის ანაზღაურება. პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და იყო საჯარო მოხელე. სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფება. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ კ. ა-ისათვის შრომითი გასამრჯელოს გაცემა ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულება იყო, ამასთანავე, საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება გამხდარიყო მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს

დაფინანსების შემცირების საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში კ. ა-ი ითხოვს 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების, ჯამში – 1168,78 ლარის ანაზღაურებას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 01.06.2018წ. წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ ვინაიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად თავდაცვის სამინისტროსათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ასიგნებები არ იყო გამოყოფილი, სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას დაექმაცოფილებინა მისი მოთხოვნა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ. ამათანავე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, 1998-1999-2000 წლების ხელზე გასაცემი ხელფასი შეადგენს 328,1 ლარს, კვება – 636,6 ლარს, ჯილდო – 204 ლარს, სულ ხელზე მისაღები თანხის ოდენობა შეადგენს 1168,78 ლარს. პალატამ მიიჩნია, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134<sup>1</sup> მუხლით კანონმდებელმა განსაზღვრა საჯარო მოსამსახურეებზე წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება. პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ და აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტროს 24.05.2018წ. წერილი შინაარსობრივად იყო სამინისტროს მხრიდან დავალიანების აღიარება. ვალდებული პირის მიერ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალის აღიარების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან იწყება და მოვალეს უფლება აღარ აქვს უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე. განსახილველ შემთხვევაში ვალის აღიარება მოხდა 24.05.2018წ., ხოლო სარჩელი აღძრულ იქნა 05.07.2018წ., ამდენად, მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ, არასწორია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სარჩელის სრულად დაქმაცოფილების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.11.2018წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ. კასატორი მიიჩნევს, რომ სარჩელი ხანდაზმულია, რადგან 2018 წელს მოხდა 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნა, ამდენად გასულია ხანდაზმულობის საერთო – ათწლიანი ვადაც. ამასთანავე, თავდაცვის სამინისტროს ვალი არ უღიარებია, გაცემული ცნობა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის იყო. მოსარჩელეს დავა აქვს დაწყებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდგომ პერიოდში, მითითებული კანონი ძველი რედაქციისგან განსხვავებით, არ ითვა-



ლისწინებს წინა წლებში დაგროვილი დავალიანებების ანაზღაურების ვალდებულებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების კანონიერების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მოსარჩელე კ. ა-ი დასაქმებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის 24.05.2018წ. ცნობის მიხედვით, საავიაციო ბრიგადის ყოფილი მოსამსახურის -კ. ა-ის სახელფასო დავალიანება 1998, 1999, 2000 წლებში შეადგენს ჯამში ხელზე ასაღებ თანხას – 1168,78 ლარს, მათ შორის: ხელფასი – 328,14 ლარი, კვება – 636,55 ლარი, ჯილდო (პრემია) – 204,09 ლარი. მოსარჩელე ითხოვს სრული დავალიანების (ხელფასის, კვების კომპენსაციისა და პრემიის) – 1168,78 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებული თითოეული პირისათვის გარანტირებულია შრომითი ანაზღაურების მიღების უფლება. შრომითი ურთიერთობა გულისხმობს არა მარტო დასაქმებულის ვალდებულებას ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და კანონშესაბამისად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები, არამედ შრომითი ურთიერთობა უპირობოდ მოიაზრებს აგრეთვე შრომითი ანაზღაურების გადახდის შესახებ დამსაქმებლის მოვალეობასაც. საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს შრომითი გასამრჯელო მიიღოს სამსახურში დანიშვნის დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე („საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 37.1 მუხ., „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 57.2 მუხ.). გასამრჯელოს მიღება არ არის დამოკიდებული დასაქმებულის სტატუსზე, სამუშაოს შესრულების ხარისხზე, მის შედეგებსა თუ სხვა ფაქტორებზე, ეს შემოსავალი პირისთვის გარანტირებულია საჯარო მოხელის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, მისი მხრიდან სამსახურებრივი ფუნქციების ბრალეული შეუსრულებლობის არარსებობის შემთხვევაში, შესაბამისად, საჯარო მოხელეს სამსახურში დანიშნისას წარმოეშობა გონივრული მოლოდინი, რომ ის გარანტირებულად მიიღებს თანამდებობრივ სარგოს. საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგო არის გასაცემელი, რომელსაც სახელმწიფო გას-

ცემს საჯარო მოხელის ინდივიდუალური მახასიათებლების ან/და კვალიფიკაციის მიუხედავად (საქართველოს საონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „თ. ბეთიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, მე-11 პუნქტი). განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დგინდება, რომ ნორმატიული ვალდებულების არსებობის მიუხედავად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კ. ა-ს სრულად არ აუნაზღაურა 1998, 1999 და 2000 წლების თანამდებობრივი სარგო, ჯილდო (პრემია) და კვების კომპენსაცია, რამაც წარმოშვა კ. ა-ის მოთხოვნის უფლება მიუღებელი დავალიანების ანაზღაურების შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოსათვის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გაადვილების, ვალდებულების შესრულებაზე კონტროლის, მოვალის დაცვის და ბრუნვის მონაწილეთა აქტიურობის სტიმულირების მიზნით კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობის ზოგადი ვადები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის მე-4 კარის მე-2 თავით, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს ხანდაზმულობის სპეციალური ვადების დადგენის შესაძლებლობას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ხანდაზმულობის სპეციალურ ვადაზე შეთანხმება არ შეიძლება შეადგენდეს სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტების შეთანხმების საგანს, ხანდაზმულობის სპეციალური ვადა და კონკრეტულ მოთხოვნებზე მისი გავრცელების გამორიცხვა მხოლოდ ნორმატიულად შეიძლება განხორციელდეს. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს 1998-2000 წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურებას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, დავალიანება მოიცავს სამ კომპონენტს: მიუღებელ სახელფასო თანხას, ჯილდოს (პრემიას) და კვების მიუღებელ კომპენსაციას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია სარჩელი აღძრულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის მოქმედების პირობებში, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ კანონი ამოქმედდა 2017 წლის 1 ივლისიდან (128-ე მუხ.). მითითებული კანონის ამოქმედებამდე საკითხის რეგულირებას ახდენდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონი, რომლის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად, 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების საჯარო მოხელისათვის ანაზღაურება ხორციელდებოდა წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ.

კანონის 134<sup>1</sup> მუხლი წარმოადგენდა დავალიანების კანონისმიერ აღიარებას, რის შედეგადაც 2005 წლამდე წარმოშობილ სახელფასო დავალიანებაზე არ ვრცელდებოდა ხანდაზმულობის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვადები. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონმა მოქმედება შეწყვიტა 2017 წლის 1 ივლისიდან და ამოქმედდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონი, რომელიც 2005 წლამდე წარმოშობილ სახელფასო დავალიანებებთან მიმართებით ხანდაზმულობის ათვლის სპეციალურ წესს აღარ ითვალისწინებს, რაც ადასტურებს ამჟამად საჯარო მოხელის მიმართ წარმოშობილ სახელფასო დავალიანებაზე ხანდაზმულობის ვადის ათვლის საერთო წესის გავრცელებას, თუმცა მხოლოდ აღნიშნული კანონის ამოქმედების მომენტიდან. კ. ა-ის მიერ მოთხოვნილი დავალიანება წარმოშობილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის მოქმედების პირობებში – 1998-2000 წლებში, რაც ადასტურებს ახალი კანონის ამოქმედების მომენტამდე – 2017 წლის პირველ ივლისამდე, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ზოგადი წესების გავრცელების დაუშვებლობას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 134<sup>1</sup> მუხლით საჯარო სამსახურში 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება ფაქტობრივად განუსაზღვრელი დროით იყო გადავადებული და აღნიშნული კანონის ძალის დაკარგვამ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედებამ გამოიწვია საჯარო სამსახურში 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყება, რადგან ახალმა კანონმა აღარ გაითვალისწინა სპეციალური, საშეღვათო დათქმა მსგავსი ტიპის დავალიანების მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. ამასთანავე, საქმის მასალებით დგინდება, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის ამოქმედებიდან სარჩელის შეტანამდე გასული იყო დაახლოებით ერთი წელი, რაც ადასტურებს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ კ. ა-ის მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის დაუშვებლობას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სახელფასო დავალიანება მოიცავს არა მხოლოდ უშუალოდ თანამდებობრივ სარგოს, არამედ ჯილდოსაც (პრემიასაც). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 57.3 მუხლის თანახმად, მოხელის შრომის ანაზღაურება მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, საკლასო დანამატს, სახელფასო დანამატს და ფულად ჯილდოს. მსგავს მოწესრიგებას შეიცავდა „საჯარო სამსახურის შესახებ“

31.10.1997წ. კანონის 37.1 მუხლიც, მათ შორის 1998-2000 წლებში მოქმედი რედაქციით. ამდენად, შრომის ანაზღაურების ცნების ქვეშ მოიაზრებოდა მათ შორის ფულადი ჯილდო, პრემია, რადგან თავად კანონი განსაზღვრავდა პრემიის სამართლებრივ სტატუსს და მას ხელფასის შემადგენელ ნაწილად, ხელფასის დანამატად თვლიდა. პრემიის სამართლებრივ სტატუსს არ ცვლის ის, რომ ადმინისტრაციის მიერ მისი გაცემა ხდება პერიოდულად, მოსამსახურის საქმიანობის შედეგების მიხედვით, მუშაკის მატერიალური წახალისების, საქმიანობის ეფექტურობისა და ხარისხის ამალღების მიზნით. მხედველობაშია მისაღები, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი შეადგენს არა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ანუ თანხის მიღება იმ პერიოდზე, როდესაც მოხელეს ფაქტობრივად არ უმუშავია, არამედ სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, ანუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით დადასტურებული გაუცემელი თანხის ანაზღაურება იმ პერიოდზე, როდესაც მოხელე ფაქტობრივად მუშაობდა, ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, განეული სამუშაოსათვის დაიმსახურა პრემიის თანხის გამოყოფა, რაც თავის მხრივ უქმნიდა მოსარჩელეს მისი მიღების სამართლიან მოლოდინს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პრემიისა და კვების კომპენსაციის სამართლებრივი ბუნება განსხვავებულია, რაც მათი დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნათა მიმართ განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს განაპირობებს. ამდენად, მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს შრომის ანაზღაურება (ხელფასი), მისი შემადგენელი ნაწილი – ფულადი ჯილდო (პრემია) და კვების კომპენსაცია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ცნების ქვეშ არ მოიაზრებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული კომპენსაციები, უკეთუ მსგავს დათქმას არ შეიცავდა სპეციალური ნორმატიული მოწესრიგება. მაგალითად, „პოლიციის შესახებ“ კანონის 31.2 მუხლის 28.06.2000 წ. საკანონმდებლო ცვლილებებამდე მოქმედი რედაქცია ხელფასის ცნებაში მოიაზრებდა, როგორც თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს და წელთა ნამსახურობის დანამატს, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. მსგავსი დათქმის არსებობა სამხედრო მოსამსახურებთან მიმართებით არ არის დადგენილი. საკასაციო პალატა მიუთითებს „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 12.3 მუხლზე, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო

ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია, ასეთივე დანაწესს შეიცავდა ნორმის 1998-2000 წლებში მოქმედი რედაქცია. ამდენად, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში, შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, იღებდა და ამჟამადაც იღებს სასურსათო უზრუნველყოფას – ულუფის სახით ან შესაბამის ფულად კომპენსაციას. ამასთან, კვების კომპენსაცია არის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 12.3 მუხლით განსაზღვრული სასურსათო ულუფის კომპენსაცია და არა შრომითი ანაზღაურების შემადგენელი ნაწილი: შრომითი გასამრჯელო ან კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 134<sup>1</sup> მუხლით რეგლამენტირებული იყო საჯარო მოსამსახურეზე 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო და არა ყველა სახის დავალიანების ანაზღაურების სპეციალური წესი, ნორმაში არ ხდებოდა მითითება კომპენსაციის გაუცემლობით წარმოშობილ დავალიანებაზე. ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან – სასურსათო ულუფისაგან. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს, რაც განპირობებულია მისი სტატუსით, სამხედრო სამსახურის თავიანთობით, სამხედრო მოსამსახურესთან არსებული შრომითი ურთიერთობის სპეციფიკით. სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე („სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 12.1 მუხ.), რაც წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას მიიღოს სამხედრო მოსამსახურესთან მიმართებით სოციალური უზრუნველყოფის გარკვეული ღონისძიებები, მაგალითად როგორებიცაა საცხოვრებელი უზრუნველყოფა (კანონის მე-14 მუხ.), სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა (კანონის მე-16 მუხ.) და სხვ., მათ შორის, კვების კომპენსაციის გაცემა. ამდენად, სამხედრო მოსამსახურის მიმართ სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება განპირობებულია მისი სამსახურებრივი სტატუსით, განსხვავებით შრომითი გასამრჯელოსგან, რომლის მიღების უფლებაც მხოლოდ პირის დასაქმების ფაქტით არის წარმოშობილი. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 134<sup>1</sup> მუხლი არ ვრცელდებოდა სამხედრო მოსამსახურის მიმართ 2005 წლამდე წარმოშობილი კვებითი კომპენსაციის დავალიანებაზე, რაც საკასაციო პალატის არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა (იხ. მაგ.: სუსგ 22.04.2009წ. №ბს-1650-1604(კ-08), 24.06.2009წ. №ბს-207-201(კ-09), 21.07.2010წ. №ბს-424-407(კ-10)). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ეს ნაწილი პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებათა რიგს განეკუთვნება, რომელზედაც

ვრცელდება სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, რომლის ათვლაც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. პერიოდულად შესასრულებელი თითოეული ვალდებულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ცალკე ქმნის ხანდაზმულობის ვადას. თითოეული ვალდებულების მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლა ხორციელდება სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუქცევით. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს მისაღები აქვს 1998-2000 წლების კვების კომპენსაცია, სარჩელი აღძრულია 2018წ., ამდენად, სარჩელი კვების კომპენსაციის დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ხანდაზმულია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს დროს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. იმავე კოდექსის 137-ე მუხლით ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად, თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან. განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ გაცემული 24.05.2018წ. ცნობა ან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 01.06.2018წ. წერილი არ ქმნის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ვადის აღიარებულად მიჩნევის საფუძველს, რადგან წერილი ინფორმაციული ხასიათისაა, სამინისტრო ადასტურებს დავალიანების არსებობის ფაქტს, თუმცა არ გამოთქვამს მზადყოფნას რაიმე გარემოებების არსებობისას დავალიანების ანაზღაურების შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფაქტის და სარჩელის აღიარება არ არის იდენტური ცნებები, ფაქტის აღიარება არის მტკიცებულება, ხოლო სარჩელის აღიარება არის დისპოზიციური პრინციპიდან გამომდინარე განკარგვითი აქტი, ფაქტის აღიარება არ ნიშნავს სარჩელის აღიარებას. ამდენად, დავალიანების არსებობის შესახებ ცნობისა და 01.06.2018წ. წერილის გაცემამ არ შექმნა კ. ა-ის მიერ გაშვებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის აღდგენის წინაპირობა, რის გამოც არ არის მართებული სააპელაციო პალატის მოსაზრება კვების კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ხანდაზმულობის ვადის დაცულობის შესახებ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კვების კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არსებობს კ. ა-ის სარჩელის ხანდაზმულად მიჩნე-

ვის საფუძველი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი). სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადანყვეტილება და სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადანყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, კერძოდ, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს მოპასუხისათვის კვების კომპენსაციის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში, რომლის ხელზე ასაღები ოდენობა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის 24.05.2018წ. ცნობის მიხედვით, 1998, 1999 და 2000 წლებში შეადგენს სულ 636,55 (192,64+243,38+200,53) ლარს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეს მოსარჩელის სარგებლოდ თანამდებობრივი სარგოსა და პრემიის დავალიანების – ჯამში 532,23 ლარის ანაზღაურების ნაწილში (საიდანაც 328,14 (97,71+123,53+106,90) ლარი შეადგენს თანამდებობრივი სარგოს, ხოლო 204,09 (56,18+87,34+60,57) ლარი 1998, 1999, 2000 წლების მიუღებელი პრემიის დავალიანებას) უნდა დაკმაყოფილდეს.

სასკ-ის 9.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე. ამასთავე, ფიზიკური პირები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ხელფასის გადახდებიდან შემოსავლებზე, ხოლო დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყველა საქმეზე განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან („სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხ. „ა“, „უ“ ქვ.პ.).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-

ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.11.2018წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. კ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისროს 1998, 1999, 2000 წლებში წარმოშობილი სახელფასო დავალიანების – 532,23 (ხუთასოცდათორმეტი ლარი და ოცდასამი თეთრი) ლარის ანაზღაურება;

5. კ. ა-ის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 1998, 1999, 2000 წლებში წარმოშობილი კვების კომპენსაციის დავალიანების 636,55 (ექვსასოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან  
გათავისუფლების კანონიერება**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-898(კ-19)

24 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ქ. ცინცაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბ. მ-ემ 27.08.2018წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, „თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 23.07.2018წ. №1757100 ბრძანების ბათილად ცნობის, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ბ. მ-ის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ...ა სამმართველოს ...ის თანამდებობაზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მუშაობდა სხვადასხვა პოზიციაზე, საიდანაც 2013 წელს რეორგანიზაციის საფუძველით გათავისუფლდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დანიშნამდე გაიარა სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი მომზადება პოლიციის აკადემიაში. 2018 წლის 18 მაისიდან დაინიშნა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ...ა სამმართველოს ...ის თანამდებობაზე. მუშაობის პერიოდში არ მიუღია შენიშვნა ან გაფრთხილება, კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. 17.07.2018წ. მას დაუკავშირდა უმუშალო უფროსი, რომელმაც მიიყვანა კადრების სამსახურში. მას სამსახურიდან გათავი-

სუფლების თაობაზე განცხადების დაწერა მოსთხოვეს, რომლის მიზეზად დასახელებული იქნა ბ. მ-ის მიმართ მიმდინარე შემონმე-  
ბა, რომლის დასრულებამდე ბ.მ-ეს ნებაყოფლობით უნდა დაეტო-  
ვებინა სამსახური. სხვა მიზეზის განმარტება არ მომხდარა, არ და-  
ინტერესებულან ბ. მ-ის სამსახურეობრივ მოვალეობათა შესრუ-  
ლების საკითხით. აღნიშნულის შემდგომ უცნობი ადამიანის კარ-  
ნახით ბ. მ-ემ დაწერა განცხადება. შემონმების ვადა 18.08.2018წ.  
სრულდებოდა. გამოცდილების არ ქონის გამო, იძულებული გახდა  
დამორჩილებოდა ხელმძღვანელი პირის მოთხოვნას და საკუთარი  
ნების საწინააღმდეგოდ დაეწერა გათავისუფლების თაობაზე გან-  
ცხადება. ბ. მ-ისათვის უცნობია რამ აიძულა მისი უშუალო უფრო-  
სი, რომ ბ. მ-ის მიმართ ამგვარი ქმედება განეხორციელებინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 25.10.2018წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად სასკ-  
ის 16.2 მუხლის საფუძველზე ჩაება საქართველოს შინაგან საქმე-  
თა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 24.01.2019წ. გადაწყვეტილებით ბ. მ-ის სარჩელი დაკ-  
მაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი „თანამდებობიდან გათავი-  
სუფლების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის  
23.07.2018წ. №1757100 ბრძანება და საქართველოს შინაგან საქმე-  
თა სამინისტროს დაევალა ბ. მ-ის საპატრულო პოლიციის დეპარ-  
ტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ...ა სამმართვე-  
ლოს ...ის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუა-  
ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და იძუ-  
ლებითი განაცდურის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან სამ-  
სახურში აღდგენამდე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან  
საქმეთა მინისტრის ბრძანებით ბ. მ-ე 18.05.2018წ. დაინიშნა სა-  
ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცი-  
ის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ...ა სამ-  
მართველოს ...ის თანამდებობაზე. 17.07.2018წ. ბ. მ-ემ პატაკით მი-  
მართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო  
პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს დაკავებული თანამდებო-  
ბიდან გათავისუფლების და საქართველოს შინაგან საქმეთა სამი-  
ნისტროდან დათხოვნის მოთხოვნით. პატაკი საქმის წარმოების  
ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდა 17.07.2018წ.. შინაგან  
საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დი-  
რექტორმა პატაკით მიმართა შს მინისტრს 18.07.2018წ. და ითხოვა  
მისი თანხმობა ბ. მ-ის დაკავებული თანამდებობიდან 2018 წლის  
17 ივლისიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. შს მინისტრის

23.07.2018წ. ბრძანებით, ბ. მ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2018 წლის 17 ივლისიდან. ბ. მ-ემ 01.08.2018წ. განცხადებით მიმართა შს მინისტრს და აღნიშნა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე პატაკი მან დანერა შესაბამისი თანამდებობის პირების მხრიდან იძულებით, მისი ნების საწინააღმდეგოდ და ითხოვა საქმის გარემოებების შესწავლა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, სასკ-ის 22.1 მუხლზე, სზაკ-ის 2.1 მუხლის დანაწესზე, აგრეთვე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 56.4 მუხლზე, რომლის თანახმად მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული რეალაქტი სასკ-ით დადგენილი წესით საჩივრდება სასამართლოში.

სასამართლომ მიუთითა კონსტიტუციის 25-ე, 29-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების მატერიალური საფუძვლები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციით დადგენილ მოთხოვნებს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე და 23-ე მუხლებზე, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლზე, ევროპის სოციალური ქარტიის 1-ლი, მე-4, 24-ე მუხლებზე მითითებით სასამართლომ ხაზი გაუსვა შრომის უფლების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ შრომის, მათ შორის სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. შრომის უფლების დაცვა არ გულისხმობს დამსაქმებლის აბსოლუტურ შეზღუდვას, კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გაათავისუფლოს დასაქმებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული, სპეციალური და სამხედრო წოდების მქონე პირების საქმიანობაზე, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში

შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური ნოდებები და დადებული აქვთ პოლიციელის ფიცი. მოსარჩელე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოსამსახურე, პოლიციელი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს „პოლიციის შესახებ“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონები. „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი პოლიციელებსა და სამინისტროს მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

„პოლიციის შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს პირადი განცხადების (პატაკი) საფუძველზე. პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე პოლიციელის თანამდებობიდან გათავისუფლება, სამისოდ უფლებამოსილი პირის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. არავის აქვს უფლება, მისი ნების საწინააღმდეგოდ აიძულოს პირი იშრომოს ან პირიქით, უარი თქვას შრომაზე. შესაბამისად, პირის მიერ გამოხატული სურვილი, გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან უნდა ეფუძნებოდეს მის ნამდვილ ნებას, რომელიც თავისუფალია რაიმე სახის გარე ზემოქმედებისაგან. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სზაკ-ის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. აღნიშნული დანაწესი ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ პირის მიერ თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული გამოხატული ნამდვილი ნების რეალიზაციის მიზნით განახორციელოს. საქმის მასალებით და მხარეთა ახსნა-განმარტებით დადგენილია, რომ ბ. მ-ის პატაკი საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდა 17.07.2018წ.. შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა 18.07.2018წ. პატაკით მიმართა შს მინისტრს და ითხოვა თანხმობა ბ. მ-ის დაკავებული თანამდებობიდან, 2018 წლის 17 ივლისიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დი-

რექტორის მითითებული პატაკის საფუძველზე, შს მინისტრის 23.07.2018წ. ბრძანებით, ბ. მ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2018 წლის 17 ივლისიდან. ადმინისტრაციული წარმოება ტარდება დაინტერესებული პირის ნების საფუძველზე, მის მიერ გარკვეული უფლების განხორციელების მიზნით. შესაბამისად, დაინტერესებული პირის ნების საფუძველზე დანყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით პირის ნება განმსაზღვრელია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ასეთი წარმოების დროს დაინტერესებული პირი დამოუკიდებლად და თავისუფლად განკარგავს საკუთარ უფლებას და ადმინისტრაციული წარმოების ერთადერთი მიზანი სწორედ დაინტერესებული პირის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაა.

სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით, საქართველოში საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები იყო საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა, მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა. სახელმწიფო სამსახურის ხელმისაწვდომობის უფლებით დაცული სფერო, მათ შორის გულისხმობს პირის უფლებას თავისი, თავისუფალი და ნამდვილი ნების საფუძველზე გააგრძელოს ან დატოვოს კონკრეტული თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ პირობებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს კანონით გათვალისწინებული სხვა, მკაფიო პირობა, რაც მისი სამსახურიდან, მისივე ნების საწინააღმდეგოდ დათხოვნის სამართლებრივი საფუძველი შეიძლება გახდეს და ამ უფლების დაცვის ვალდებულება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და უფლებამოსილ თანამდებობის პირს აკისრია. ადმინისტრაციული ორგანო და უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებულია პატივი სცეს შესაბამისი საჯარო მოსამსახურის უფლებას და ღირსებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანო და უფლებამოსილი თანამდებობის პირი დაინტერესებული უნდა იყოს და შესაბამის ძალისხმევას უნდა მიმართავდეს საჯარო მოსამსახურის უფლების მხოლოდ იმ მიზნით რეალიზაციისათვის, რაც საჯარო მოსამსახურის ნამდვილი ნებისა და კანონიერი ინტერესიდან გამომდინარეობს. ადმინისტრაციული ორგანო და უფლებამოსილი თანამდებობის პირი, მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობის უზრუნველყოფისა და მათი უფლებების პატივისცემის მიზნით გარკვეულ პერიოდს უნდა იყენებდეს

იმ მოსამსახურის შესანარჩუნებლად, რომელსაც საკუთარი სურვილით აქვს გადამწყვეტილი სახელმწიფო სამსახურის დატოვება, რათა უფლებამოსილი თანამდებობის პირიც და საჯარო მოსამსახურეც დარწმუნდეს, რომ მოსამსახურის აღნიშნული გადამწყვეტილება მხოლოდ რაციონალურ და ობიექტურ გარემოებებს ეფუძნება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 109-ე მუხლის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტი გამოიცემა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 14 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოხელე სამსახურიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს და მისი გათავისუფლება საფრთხეს არ უქმნის საჯარო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული მუხლი მოხელეს აძლევს შესაძლებლობას სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის გამოცემამდე, მოითხოვოს განცხადების განუხილველად დატოვება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის სხაკ-ით დადგენილი წესით ოფიციალურად გაცნობისთანავე. მოხელის პირადი განცხადებით მისი სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას კანონმა შესაბამისი განცხადების სავალდებულო რეგისტრაცია და რეგისტრაციიდან განთავისუფლებამდე გარკვეული პერიოდი დაუკავშირა, რათა მოხელეს ჰქონდეს შესაძლებლობა რაციონალური გადამწყვეტილება მიიღოს სამსახურის დატოვებასთან დაკავშირებით.

ბ. მ-ემ 01.08.2018წ. განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, სადაც აღნიშნა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე პატაკი მან შესაბამისი თანამდებობის პირების მხრიდან იძულებით დაწერა მისი ნების საწინააღმდეგოდ და ითხოვა საქმის გარემოებების შესწავლა. შესაბამისად, შს სამინისტრომ ბ. მ-ე თანამდებობიდან გაათავისუფლა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ზემოთ აღნიშნული მოთხოვნის დაუცველად, კერძოდ არ დაიცვა განცხადების რეგისტრაციიდან პირისათვის სამსახურის დატოვებაზე უარის თქმისათვის კანონით დადგენილი ვადა. გათვალისწინებული არ იქნა, რომ ბ. მ-ემ კანონით დადგენილ ვადაში მიმართა მისი სამსახურიდან გათავისუფლებაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირს და განუმარტა, რომ სამსახურიდან გათავისუფლება მისი ნამდვილი ნება არ იყო, რაც მისი სამსახურში დატოვების კანონით გათვალისწინებული იმპერატიულ პი-

რობას ქმნიდა.

სზაკ-ის მე-5, 96-ე, 60<sup>1</sup>.1 მუხლების, სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლების მოთხოვნებზე სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელი საფუძვლიანია, ვინაიდან ადგილი აქვს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების, „პოლიციის შესახებ“ კანონის, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის, სზაკ-ის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც არსებობს „თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ შს მინისტრის 23.07.2018წ. № 1757100 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძვლები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ საფუძვლიანია თანამდებობაზე აღდგენის, აგრეთვე იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან შესახებ მოთხოვნა. სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო. ვინაიდან შსს-ს დაევალა ბ. მ-ის სამსახურში აღდგენა, სასამართლომ მიიჩნია, რომ შსს-ს უნდა დავალებოდა ბ. მ-ისთვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

ბ. მ-ემ შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა სააპელაციო სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა მის მიერ ადვოკატის მომსახურებაზე განეული ხარჯის ანაზღაურების დაკისრება მონინააღმდეგე მხარისთვის, აგრეთვე მოითხოვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებად მიქცევა. ბ. მ-ემ აღნიშნა, რომ მის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი იყო იურიდიული დახმარების ხელშეკრულება, თუმცა სასამართლომ არ განსაზღვრა ადვოკატისათვის ასანაზღაურებელი თანხა. ბ. მ-ემ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საჭირობას განაპირობებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დროში გახანგრძლივება, რაც ზიანს მიაყენებს მართლმსაჯუ-

ლების მიზნებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.05.2019წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ამავე განჩინებით დაკმაყოფილდა ბ. მ-ის მოთხოვნა შსს-თვის ბ. მ-ის მიერ ადვოკატისათვის განეული ხარჯის 300 ლარის ოდენობით დაკისრების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებები სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 109.2 მუხლით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადის დაუცველად გასაჩივრებული აქტის მიღების უკანონობის თაობაზე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 14-დღიანი ვადა მოხელეს აძლევს შესაძლებლობას გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე მოითხოვოს განცხადების განუხილველად დატოვება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოხელის პირადი განცხადებით სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას კანონმა შესაბამისი განცხადების სავალდებულო რეგისტრაციას და რეგისტრაციიდან გათავისუფლებამდე გარკვეული პერიოდის დაცვას დაუკავშირა, რათა მოხელეს ჰქონდეს შესაძლებლობა რაციონალური გადაწყვეტილება მიიღოს სამსახურის დატოვებასთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის შსს-ს მოსაზრება მასზედ, რომ არ არსებობდა ბ. მ-ის გათავისუფლებით სახელმწიფო ინტერესებისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა, რის გამოც შს სამინისტროს უფლებამოსილ პირს შესაძლებლობა ჰქონდა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, დაუყოვნებლივ მიეღო გადაწყვეტილება ბ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადების (პატაკის) დაკმაყოფილების შესახებ, შს მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 36-ე მუხლის პირველ პუნქტის შესაბამისად. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შს მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 36-ე მუხლის პირველ პუნქტში არსებული ჩანანერი გათავისუფლების შესახებ განცხადების (პატაკის) დაუყოვნებლივი დაკმაყოფილების შესახებ, არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარე-



ბის ვალდებულებისაგან, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ადგენს რაიმე საგამონაკლისო შემთხვევათა ნუსხას, რომელთა თაობაზე გამოსაცემი აქტი შესაძლოა მიღებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე. შსს-მ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე გამოსცა გასაჩივრებული აქტი, რაც კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან აქტის გამოცემამდე არ გამოიკვლია ბ. მ-ის მიერ განცხადების დაწერის განმარტებული გარემოებები, სამსახურიდან გათავისუფლების ნების ნამდვილობა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მნიშვნელობაზე, დასაბუთების სავალდებულობაზე და აღნიშნა, რომ ბ. მ-ის მხრიდან განცხადების დაწერა არ შეესაბამებოდა მის ნამდვილ ნებას, ის არ დაწერდა განცხადებას, მასზე ზემდგომი თანამდებობის პირების მხრიდან იძულების გარეშე, რის თაობაზეც მან აცნობა შს მინისტრს. აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118.3 მუხლის მოთხოვნებზე მითითებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ თანამდებობაზე აღდგენა გულისხმობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ამ შემთხვევაში პირს იმ თანამდებობაზე აღდგენას, რომელიც მას ეკავა გათავისუფლებამდე. აღნიშნულზე მითითებით სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ბ. მ-ის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე. სააპელაციო პალატამ გაიზიარა აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118.4 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ შსს-ს მართებულად დაეკისრა სამსახურიდან გათავისუფლებიდან აღდგენამდე სრული პერიოდის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ მიერ ნაწილობრივ საფუძვლიანად იქნა მიჩნეული ბ. მ-ის მოთხოვნა ადვოკატის მომსახურების თანხის ანაზღაურების თაობაზე, კერძოდ, შსს-ს დაევალა 300 ლარის ოდენობით ბ. მ-ის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება. სასამართლომ აღნიშნა, რომ უდავოა ბ. მ-ის ადვოკატის დახმარებით სარგებლობა ორივე ინსტანციის სასამართლოში. საქმის სირთულის, სპეციფიკის და განხილვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნა ნაწილობრივ საფუძვლიანი იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 02.05.2019წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შს სამინისტრომ, რომელიც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების გზით სარჩელის უარყოფის თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას ითხოვს. კასატორი აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 109-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად დავის გადაწყვეტა არასწორია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმების შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელზე გავრცელებისთვის არ უნდა არსებობდეს სპეციალური კანონმდებლობა და ასეთის არსებობის შემთხვევაში სპეციალური კანონმდებლობა საკითხს განსხვავებულად არ უნდა აწესრიგებდეს. „პოლიციის შესახებ“ კანონის 36.1 მუხლის თანახმად პოლიციაში სამსახურის გავლის წესი მინისტრის ნორმატიული აქტებით განისაზღვრება. შს მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებულია „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი“, რაც სპეციალურ კანონმდებლობას შეადგენს. აღნიშნული ბრძანება ადგენს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებს. კერძოდ, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებული იქნეს პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე, აგრეთვე საშტატო-საორგანიზაციო ღონისძიებების დროს, ლიკვიდაციის დროს და ა.შ.. ბ. მ-ემ პირადი განცხადებით (პატაკით) მიმართა შს მინისტრს და დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვა. განცხადება დარეგისტრირდა იმავე დღეს და გადაიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროში. შს მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 36.1 მუხლის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურე პირადი განცხადებით (პატაკით) თავისუფლდება სამსახურიდან, თუ მის დანიშვნაზე უფლებამოსილი პირი უარს არ აცხადებს მისი განცხადების დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებაზე. უარი დასაშვებია, თუ მოსამსახურის დაუყოვნებელი გათავისუფლებით შეიძლება ზიანი მიადგეს სახელმწიფო ინტერესს. ამდენად, სასამართლომ გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა სპეციალური კანონის – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი“, რომელიც უნდა გამოეყენებინა. ამგვარ ვითარებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის გამოყენებით სპეციალური კანონით საკითხის განსხვავებულად რეგულირება აზრს კარგავს.

კასატორი არ იზიარებს ბ. მ-ის მითითებას მასზედ, რომ მის ნამდვილ ნებას არ გამოხატავდა სამსახურიდან გათავისუფლების შე-

სახებ განცხადება. ბ. მ-ეს მისი 01.08.2018წ. განცხადების პასუხად 30.08.2018წ. წერილით ეცნობა, რომ შს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით დისციპლინური გადაცდომის ფაქტმა დადასტურება ვერ ჰპოვა. ამდენად, არ არსებობს ბ. მ-ის ნების ნამდვილობის ეჭვქვეშ დაყენების საფუძველი.

გარდა აღნიშნულისა, 14-დღიანი ვადის თაობაზე სასამართლოს მსჯელობის უსწორობას ადასტურებს აგრეთვე ბ. მ-ის მიერ შსს მინისტრისთვის 14 დღის შემდეგ განცხადებით მიმართვა, კერძოდ, მან შს მინისტრს გათავისუფლების თხოვნით მიმართა 17.07.2018წ., ხოლო შემდგომი განცხადების თარიღია – 01.08.2018წ., რაც ადასტურებს 14-დღიანი ვადის გასვლას. აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით კასატორი თვლის, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო საჩივარზე საკასაციო შესაგებელი წარმოადგინა მოსარჩელემ, რომელმაც აღნიშნა, რომ არასწორია კასატორის მიერ კანონზე უფრო მეტი ძალის მინისტრის ბრძანებისთვის მინიჭება. მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი ანესრიგებს გათავისუფლების თაობაზე განცხადების გამომხმობის შესაძლებლობას. კანონმდებლობის ანალიზით დგინდება, რომ ყველა შემთხვევაში გათვალისწინებულია განხილვის ვადა, განცხადებაზე უარის თქმის და გასაჩივრების შესაძლებლობა. მაგალითად, შრომის კოდექსით დადგენილია გათავისუფლების თაობაზე განცხადების დაწერიდან გადაწყვეტილების მიღებამდე 30-დღიანი ვადა. ბ. მ-ემ პატაკის დაწერიდან 1 თვის ვადაში განაცხადა უარი გათავისუფლების პატაკზე, მიუთითა ნების გამოვლენის მცდარობაზე და გენინსპექციაში გაასაჩივრა მოტყუებით პატაკის დაწერა. ბ. მ-ეს პატაკი დააწერინეს მოტყუებით, რაც მან სიტყვიერად არაერთხელ გაასაჩივრა, ხოლო განცხადება დაწერა 01.08.2018წ. გენინსპექციაში. გათავისუფლების თაობაზე პატაკის დაწერიდან უმოკლეს ვადაში, საქმის გარემოებების გამოკვლევის გარეშე შსს-მ მიიღო გასაჩივრებული ბრძანება. საეჭვოა გენინსპექციის მოკვლევის ობიექტურობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.05.2019წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბ. მ-ე გათავისუფლებამდე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე, რომელზეც

ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმები, უკეთეს სპეციალური კანონმდებლობით აღნიშნული საკითხი სხვაგვარად არ იყო მოწესრიგებული („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 4.3 მუხლის „ა“ ქვ.პ.). „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 109-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად მოხელე პირადი განცხადების საფუძველზე თავისუფლდება სამსახურიდან. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 14 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოხელე სამსახურიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს და მისი გათავისუფლება საფრთხეს არ უქმნის საჯარო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას (109.2 მუხ.). გასაჩივრებული აქტის გამოცემისას მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურის დათხოვნის შესახებ გადანიჭვით იღებს მინისტრი ან სხვა უფლებამოსილი პირი. წესის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ „სამინისტროს მოსამსახურე პირადი განცხადებით (პატაკი) თავისუფლდება სამსახურიდან, თუ მის დანიშვნაზე უფლებამოსილი პირი უარს არ აცხადებს მისი განცხადების (პატაკი) დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებაზე. უარი განცხადების (პატაკი) დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებაზე დასაშვებია, თუ მოსამსახურის გათავისუფლებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესებს“. ამდენად, წესის აღნიშნული ნორმა ნათლად ადგენს მოსამსახურის პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების დაუყოვნებლივი დაკმაყოფილების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალური კანონმდებლობით შს სამინისტროს უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ ათავისუფლებს სამინისტროს მოსამსახურეს, გარდა საგამონაკლისო შემთხვევისა. ხსენებული ნორმის თანახმად, განცხადების (პატაკის) დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებაზე უარი პირს შეიძლება ეთქვას უკეთეს მოსამსახურის გათავისუფლებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესებს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განცხადების (პატაკის) დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში, ეს პატაკი უნდა დაკმაყოფილდეს არა უგვიანეს ერთი

თვისა უარის განცხადების დღიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორმხრივი ნების არსებობის შემთხვევაში სპეციალური კანონმდებლობა უშვებს მყისიერად პირის სამსახურიდან დათხოვნის შესაძლებლობას. მხარეთა ნების გამოვლენა განსახილველ შემთხვევაში გამოვლინდა პატაკში და სადავო ბრძანებაში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბ. მ-ის მიერ პირადი განცხადების (პატაკის) სამინისტროში წარდგენის შემდგომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა 18.07.2018წ. პატაკით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს ბ. მ-ის თანამდებობიდან დათხოვნის თაობაზე თანხმობის მიღების მიზნით. ამდენად, დასტურდება, რომ არ არსებობდა შს მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესით“ დადგენილი სამსახურიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების გამომრიცხავი საგამონაკლისო შემთხვევა. შესაბამისად, არ დასტურდება განცხადების დაკმაყოფილების დამატკიცებული გარემოება.

მოსარჩელის მოსაზრება კანონთან შედარებით კანონქვემდებარე აქტისათვის უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობის შესახებ არ გამორიცხავს სპეციალური მონესრიგების გამოყენების შესაძლებლობას. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 7.9 მუხლის თანახმად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესში“ მოცემული რეგულირება ეფუძნება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის და „პოლიციის შესახებ“ კანონის ბლანკეტურ ნორმებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შს სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს „პოლიციის შესახებ“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონები. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი არ ითვალისწინებს განსხვავებული რეგულაციის არსებობის შემთხვევაში ამ კანონის გამოყენებას, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს დაკარგავდა სპეციალური კანონმდებლობა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონის მოქმედება შს სამინისტროს მოსამსახურეებზე ვრცელდება თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სპეციალური კანონმდებლობით. ამდენად, „საჯარო სამ-

სახურის შესახებ“ კანონის ნორმების შს სამინისტროს თანამშრომელზე გავრცელება ხდება სპეციალური მოწესრიგების არარსებობის შემთხვევაში ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალური კანონმდებლობით საკითხი განსხვავებულად არ არის მოწესრიგებული. „პოლიციის შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პოლიციაში სამსახურის გავლის წესი შს მინისტრის ნორმატიული აქტებით განისაზღვრება. „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი პოლიციელებსა და სამინისტროს მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი“ შემუშავებულია „პოლიციის შესახებ“ კანონითა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი ძირითადი პრინციპების შესაბამისად, შს სამინისტროს, როგორც სამართალდამცავი ორგანოს, საქმიანობისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული თვისებების გათვალისწინებით (1<sup>1</sup> მუხ.). შს ორგანოებში სამსახური არის კანონმდებლობით რეგლამენტირებული საქმიანობის განსაკუთრებული სახე. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 2017 წლის 1 ივლისიდან ძალაში შესვლასთან (127-ე, 128-ე მუხ.) დაკავშირებით შს მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესში“ შს მინისტრის 30.06.2017წ. №333 ბრძანებით შეტანილი დამატებების, კერძოდ წესის 1-ლი მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე კანონის მოქმედება სამინისტროს მოსამსახურეზე, როგორც სპეციალური ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობის სუბიექტზე, ვრცელდება მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-5, 51-ე, 64-ე, 66-ე და 103-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში“. შს სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის სხვა საკითხები წესრიგდება ხსენებული წესით დადგენილი სპეციალური ნორმებით და სხვა ნორმატიული აქტებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ სზაკ-ით დადგენილი წარმოების წესები ასევე გამოიყენება სპეციალური რეგულაციის არ არსებობის შემთხვევაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებს სპეციალური რეგულაცია. ამდენად, არ არსებობს წინააღმდეგობა კანონებსა და კანონქვემდებარე აქტს შორის, არ არის სათანადოდ დასაბუთებული სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სპეციალური რეგულაციის უარყოფა.

საკაცაციო პალატა აღნიშნავს, რომ შს ორგანოს თანამშრომლის ინიციატივა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ არის მისი გათავისუფლების საფუძველი, კერძოდ, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 35.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე. პირს უფლება აქვს თავისი თავისუფალი და ნამდვილი ნების საფუძველზე გააგრძელოს ან დატოვოს კონკრეტული თანამდებობა. ადმინისტრაციული ორგანო და შესაბამისი თანამდებობის პირი ვალდებულია პატივი სცეს საჯარო მოსამსახურის ამ უფლებას. მოსამსახურის სურვილი აღარ იყოს საჯარო მოსამსახურე გამომდინარეობს კონსტიტუციური დათქმიდან – შრომა თავისუფალია, რაც მოიცავს პირის უფლებას თავად გადაწყვიტოს იყოს თუ არა დასაქმებული. არავის აქვს უფლება მისი ნების საწინააღმდეგოდ აიძულოს პირი იშრომოს ან პირიქით უარი თქვას შრომაზე. შესაბამისად, პირის მიერ გამოხატული სურვილი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან უნდა ეფუძნებოდეს მის ნამდვილ ნებას, რომელიც თავისუფალია რაიმე სახის გარე ზემოქმედებისაგან. საქმეში დაცულია თანამდებობიდან გათავისუფლებისა და შს სამინისტროდან დათხოვნის შესახებ ბ. მ-ის 01.08.2018წ. განცხადებაზე შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის სამმართველოს უფროსის 30.08.2018წ. №2104207 წერილი, რომლითაც მოსარჩელეს ეცნობა, რომ შსს გენერალური ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით შს სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტმა დადასტურება ვერ ჰპოვა. შესაბამისად, არ დასტურდება რაიმე იძულება. ამდენად, ბ. მ-ის განცხადებასთან დაკავშირებით შსს-მ იქონია შესაბამისი რეაგირება, ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება და ბ. მ-ეს აცნობა, რომ დარღვევა არ დადგინდა, შემოწმების ჩატარების შედეგები ძალაშია. საქმის მასალებში არ მოიპოვება თვით სამსახურებრივი შემოწმების მასალები, მოსარჩელის მოთხოვნის მიუხედავად სასამართლოს მონმის სახით პროცესზე არ მოუწვევია ადმინისტრაციის ის კონკრეტული პირები, რომელთა მითითებით, მოსარჩელის განცხადებით, მან დაწერა პატაკი.

მოთხოვნის საფუძვლიანობას არ ადასტურებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრება იმის შესახებ, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 109-ე მუხლი მოხელეს აძლევს შესაძლებლობას სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცე-

მამდე 14-დღიანი ვადის განმავლობაში მოითხოვოს განცხადების განუხილველად დატოვება. სადავო სამართალურთიერთობის მიმართ აღნიშნული ნორმის გამოყენების შემთხვევაშიც ხსენებული ნორმა მოხელეს აძლევს შესაძლებლობას სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე მოითხოვოს განცხადების განუხილველად დატოვება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბ. მ-ის პატაკი, რომლითაც ის ითხოვს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას და შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნას, შსს საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში 17.07.2018წ. დარეგისტრირდა. იძულებით, ნების სანინალმდეგოდ პატაკის დაწერის შესახებ გ. მ-ემ მიმართა შს სამინისტროს 01.08.2017წ. ანუ 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ. საფუძველს მოკლებულია აგრეთვე მითითება შრომის კოდექსის 37.1 მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმად გათავისუფლების შესახებ განცხადების შეტანასა და განთავისუფლებას შორის დადგენილია 30-დღიანი ვადა. ის გარემოება, რომ ბ. მ-ემ 1 თვის განმავლობაში უარი განაცხადა განთავისუფლების შესახებ პატაკზე არ ადასტურებს სადავო აქტის გაუქმების პირობის არსებობას, ვინაიდან განსახილველი საქმე არ განეკუთვნება კერძო-სამართლებრივ დავათა კატეგორიას, დავა საჯარო-სამართლებრივია და სპეციალური კანონმდებლობით არის მონესრიგებული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადის დაცვის საჭიროების არარსებობა არ გამორიცხავს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას. სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების განხილვისას უწყების მიერ მისი ნამდვილი ნების დადგენის საჭიროება არ დგება ავტომატურად ყველა შემთხვევაში. ამგვარი საჭიროება დგება უკეთუ გონიერ დამკვირვებელს წარმოეშვება ეჭვი განმცხადებლის ნების გამოვლენის ნამდვილობაზე. სასამართლო პრაქტიკით დადგენილია სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადებით მიმართვისას ნების გამოვლენის ნამდვილობის შემოწმების საჭიროება შს სამინისტროს თანამშრომელთა მიერ გათავისუფლების მოთხოვნით განცხადებების ერთდროულად მასობრივად დაწერის შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ნების გამოვლენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის აშკარა საფუძველი. სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემამდე დროის მონაკვეთში მოხელეს აქვს შესაძლებ-



ლობა, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, წერილობით განაცხადოს უარი სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნაზე. ასეთ შემთხვევაში განცხადება რჩება განუხილველი და მას არ ეძლევა მსვლელობა. მოცემულ შემთხვევაში ბ. მ-ემ განცხადებით მიმართა შს მინისტრის მიერ სადავო ბრძანების გამოცემის შემდეგ (01.08.2018წ.), ამასთანავე განმცხადებელი არ ითხოვდა ბრძანების გაუქმებას, სამსახურში აღდგენას, განმცხადებელი მიუთითებდა, რომ სამსახურიდან გათავისუფლებაზე განცხადება დაწერა ზემდგომი თანამდებობის პირების მითითების შესაბამისად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოხელეს აქვს შესაძლებლობა ბრძანების გამოცემამდე ნებისმიერ დროს, დასაბუთების გარეშე უარყოს თავისი განცხადება, ბრძანების გამოცემის შემდეგ პირმა უნდა დაასაბუთოს იძულება ან მუქარა, შეცდომაში შეყვანა. განსახილველ შემთხვევაში ბ. მ-ე არ უთითებს და საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ უწყების მიერ განმცხადებლის ნების ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არსებობდა და აღნიშნული საფუძველი უწყებამ უგულბებლყო. საქმის მასალებით არ დასტურდება ძალადობა ან ძალადობის, სამსახურიდან დათხოვნის მუქარა, არ დასტურდება აგრეთვე განცხადების დაწერა უკიდურესი ალგორმების, სტრესის მდგომარეობაში, მოსარჩელე ვერ ასახელებს და არც სასამართლოს არ დაუდგენია ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან მოსარჩელის მიმართ ძალადობის ან მოტყუების რაიმე მოტივი (შურისძიება, მტრობა, არასწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესი), მით უფრო, რომ მოსარჩელე სამსახურში დროებით, გამოსაცდელი ვადით იყო დანიშნული, რომელიც მოკლე ხანში ინურებოდა. ბ. მ-ის 01.08.2018წ. განცხადებაში მიუთითებს, რომ ზემდგომმა თანამდებობის პირებმა განუმარტეს მის მიმართ სამსახურებრივი შემონმების მიმდინარეობის გამო განცხადების ნებაყოფლობით დაწერის საჭიროების თაობაზე, რამაც განაპირობა მის მიერ განცხადების დაწერა. კანონმდებლობა არ შეიცავს განთავისუფლების შესახებ განცხადებაში (პატაკში) მოსამსახურის ასეთი გადაწყვეტილების მითითების ვალდებულებას, არ არის დადგენილი განცხადების (პატაკის) რეკვიზიტები, ხოლო პატაკში სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიმართვის მიზეზი (კერძოდ მისი საქმიანობის შესწავლის გამო განცხადების დაწერა) ბ. მ-ეს მითითებული არ ჰქონია. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოსამართლის შეკითხვაზე ბ. მ-ემ განაცხადა, რომ განცხადების 14 დღის შემდეგ (01.08.2012წ.) დაწერა განაპირობა სამართლებრივ საკითხებში გარკვევის საჭიროებამ, განცხადება დაწერა მას შემდეგ, რაც გაარკვია, რომ სამსახურებრივი შემონმება

არ საჭიროებდა გათავისუფლების თაობაზე განცხადებით მიმართვას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ მე-14 მუხლის თანახმად, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოწმდება პირის კვალიფიკაციის, საქმიანი უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებული თანამდებობის (ამოცანის შესასრულებლად) მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან. გამოსაცდელი ვადის დასრულებამდე უნდა მოხდეს გამოსაცდელი ვადის გამოყენების შედეგების შეფასება. შეფასების აქტი დგება წერილობითი ფორმით უშუალო უფროსის მიერ და დაერთვება პირის პირად საქმეს. გამოსაცდელი ვადის დამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში გამოიცემა სამართლებრივი აქტი პირის თანამდებობაზე მიღების შესახებ. გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების ან გამოსაცდელი ვადის გასვლის შემთხვევაში პირი შესაბამისი სამართლებრივი აქტით თავისუფლდება სამსახურიდან. ამდენად, საქმიანობის შემონიშნა არ საჭიროებდა გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერას, განცხადების დაწერის ეს მოტივი მოკლებულია რაიმე საფუძველს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართალურთიერთობებში მოქმედი კანონის ცოდნის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ პირი იცნობს მოქმედ კანონმდებლობას. კანონის არცოდნა არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის საფუძველი (სკ-ის 3.2 მუხ.). აღნიშნული დებულება ზოგადი ხასიათისაა და მას რაიმე მხოლოდ სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ფუნქცია არ გააჩნია, რის გამოც მისი გამოყენება დაიშვება აგრეთვე საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც. სათანადო წესით გამოქვეყნებული, მოქმედი ნორმის გამოყენება არ არის ადრესატების მიერ მის ცოდნაზე დამოკიდებული. იგულისხმება, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პროცედურების დაცვით შემუშავებული, სახელმწიფო ენაზე შედგენილი, ოფიციალურად გამოქვეყნებული, გაცნობისათვის ხელმისაწვდომი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის ზოგადი წესის შესახებ ინფორმაცია მოქალაქეთათვის ცნობილია, აღნიშნული დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს (სუს 13.09.2018წ. განჩინება საქმეზე №ბს-858-850(კ-16)). ამდენად, ბ. მ-ის მიმართ მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმფცია, მით უფრო, რომ იგი დასაქმებული იყო სამართალდამცავ ორგანოში. კომპეტენტურობის მოთხოვნა მოხელის არა უფლება, არამედ ვალდებულებაა, ნორმატიული მასალის ცოდნა (ყოველ შემთხვევაში იმ ნორმატიული აქტის მიანიც, რომლითაც უშუალოდ წესრიგდება პირის საქმიანობა, პრინციპები, სამართლებრივი დაცვის გარანტიები) მუშაკის ვალდებულებას შეადგენს. შსს-ში

საქმიანობა საჯარო სამსახურის განსაკუთრებული სახეა, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, კანონიერებისა და პოლიტიკური ნეიტრალობის უზრუნველყოფისაკენ (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ ზოგადი დებულებების 1.2 მუხ.). ამდენად, ყოველგვარი შეცდომა ვერ გამოიწვევს აქტის ბათილობას, შეცდომის ხსენებული საფუძვლის აღიარების შემთხვევაში სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სხვა აქტების ექვევემ დაყენების შესაძლებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ უნდა იქონიოს მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად პატივსაღებია მოსარჩელის მიერ დასახელებული შეცდომის მიზეზი, დაადგინოს ადმინისტრაციის წარმომადგენლის მხრიდან შეგნებული განზრახი მოქმედების – მოტყუების ფაქტის არსებობა, მისი მოტივი.

ბ. მ-ის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილშიც, შს სამინისტროს დაევალა ბ. მ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, ხელფასის ყოველთვიური ოდენობით. შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს 20.11.2018წ. ცნობის მიხედვით შსს საპატრულო პოლიციაში გამოსაცდელი ვადით მუშაობის პერიოდში მოსარჩელეზე დარიცხული ხელფასი შეადგენდა 1200 ლარს, ცნობის თანახმად შტატში ჩარიცხვის შემდგომ დარიცხული ხელფასი 1400 ლარს შეადგენდა. მოსარჩელემ სარჩელის დაზუსტების შემდეგ მოითხოვა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება შემდეგი წესით: გამოსაცდელი ვადის მუშაობის პერიოდში თვეში 1200 ლარის ოდენობით, ხოლო შტატში ჩარიცხვის შემდგომ თვეში 1400 ლარის ოდენობით. ბ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, შს სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაევალა იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით. ამდენად, იძულებითი განაცდურის ოდენობა განისაზღვრა არა მხოლოდ გამოსაცდელი ვადით მუშაობის პერიოდის განსაზღვრული ხელფასის განაკვეთით, არამედ აგრეთვე შტატში ჩარიცხვის შემდგომ დარიცხული ხელფასის განაკვეთის ოდენობით, მაშინ როდესაც გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ შტატში ჩარიცხვის საკითხი და შესაბამისად საშტატო განაკვეთის

მოსარჩელისათვის დანიშვნის საკითხი სცილდება განსახილველი საქმის დავის საგანს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის გადაწყვეტა საჭიროებს რელევანტური გარემოებების დადგენას. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის განმხილველი სასამართლო არ არის შეზღუდული მხარის მიერ მითითებული ფაქტებით და მტკიცებულებებით. დავის სწორად გადწყვეტისთვის სასამართლოს ეკისრება საკუთარი ინიციატივით საქმის სრულყოფილად გამოკვლევისათვის საჭირო რელევანტური ფაქტების და მტკიცებულებების მოძიების და შეფასების ვალდებულება (სასკ-ის მე-4, მე-19 მუხ.). მოცემულ საქმეზე ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება სამსახურიდან გათავისუფლების, სამსახურში აღდგენის და სამსახურში აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე იმგვარად, რომ ყურადღების მიღმა დარჩა ბ. მ-ის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის საკითხი. გასაჩივრებული აქტით დგინდება, რომ ბ. მ-ე შსს-ს სისტემაში დანიშნული იყო გამოსაცდელი ვადით. საპატროლო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის შინაგან საქმეთა მინისტრისადმი 18.07.2018წ. მიმართული დასტურდება, რომ ბ. მ-ის გამოსაცდელი ვადა განსაზღვრული იყო 3 თვით. გამოსაცდელი ვადის 18 აგვისტოს დასრულების თაობაზე ბ. მ-ე მიუთითებდა სასარჩელო განცხადებაშიც. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლობით დასაშვებია მოხელის განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით დანიშვნა. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი“ ითვალსწინებს განსაზღვრული ვადით – არაუმეტეს 6 თვის გამოსაცდელი ვადით პირის სამსახურში მიღებას (მე-14 მუხ., 1 პ.). გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მონმდება პირის კვალიფიკაციის, საქმიანი უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებული თანამდებობის (ამოცანის შესასრულებლად) მიმართ ნაყენებულ მოთხოვნებთან (მე-14 მუხ. მე-2 პ.). გამოსაცდელი ვადის დამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში გამოიცემა სამართლებრივი აქტი პირის თანამდებობაზე მიღების შესახებ. გამოსაცდელი ვადის არადაკმაყოფილებელი შედეგების ან გამოსაცდელი ვადის გავლის შემთხვევაში პირი შესაბამისი სამართლებრივი აქტით თავისუფლდება სამსახურიდან (მე-14 მუხ. მე-3 პ.). ამდენად, გამოსაცდელი ვადით პირის დანიშვნის შემთხვევაში არ პრეზიუმირდება, რომ იგი უცილობლად უვადოდ დასაქმდება უწყებაში. მისი უვადოდ დანიშვნის საკითხი წყდება გამოსაცდელი ვადის დასრულებისას. განსახილველ შემთხვევაში გათავისუფლე-

ბის თაობაზე ბრძანება გამოიცა ბ. მ-ის გამოსაცდელი ვადის მიმდინარეობისას, მის მიმართ გამოსაცდელი ვადა არ იყო დასრულებული, მისი საქმიანობის შედეგები არ იყო შეფასებული და იგი არ იყო უვადოდ დანიშნული მოხელე. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ხდება მოხელის შეფასება ხელმძღვანელის მიერ, მოწმდება მისი პროფესიული უნარ-ჩვევების, პროფესიული შესაძლებლობების და მისი კომპეტენციის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობა. ბ. მ-ის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც შს სამინისტროს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ბ. მ-ის შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ...ა სამმართველოს ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. გამოსაცდელი ვადით ბ. მ-ის დანიშვნა საფუძველს აცლის მის უვადოდ აღდგენას, უკეთუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ ბ. მ-ის თანამდებობაზე აღდგენა იყო საფუძვლიანი, მისი სამსახურში აღდგენა გამოსაცდელი სამ თვიანი ვადიდან დარჩენილი პერიოდის გათვალისწინებას საჭიროებდა. ამდენად, ბ. მ-ის თანამდებობაზე აღდგენით მოხდა არა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, მისი იმ თანამდებობაზე აღდგენა, რომელიც მას ეკავა გათავისუფლებამდე, არამედ ფაქტიურად სასამართლოს მიერ მოსარჩელის შტატში ჩარიცხვის საკითხის გადაწყვეტა, რაც სცილდება განსახილველი საქმის დავის საგანს.

დავის საგანს შეადგენს მხოლოდ ერთი აქტი – შს მინისტრის 23.07.2018წ. №1757100 ბრძანება თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ამდენად, გაუგებარია თუ რას გულისხმობს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში სადავო აქტებზე, კერძოდ, კადრების განკარგულებაში აყვანისა და სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე აქტების ბათილად ცნობაზე მითითებით, გაურკვეველია აგრეთვე საქალაქო სასამართლოს მითითება მ. ჯ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების აქტის ბათილად ცნობაზე და მისი შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, მოპასუხისათვის მისი სამსახურში აღდგენის შესახებ აქტის გამოცემის დავალებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.05.2019წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. სსკვადსსკვა ადმინისტრაციული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან გათავისუფლება**

**მიუღებელი შრომითი გასამრჯელოს დაკისრება;  
პრემიის სახით გაცემული თანხის ხელფასის დანამატად  
მიჩნევა და მისი იძულებითი ნაწილად ამოღება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-550(კ-19)

2 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალეზა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 3 მაისს რ. კ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 1 ოქტომბერს ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის №635 ბრძანებით რ. კ-ი გაათავისუფლეს ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით იგი აღადგინეს თანამდებობაზე და ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა რ. კ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის სახით სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან ამ გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის სრულად ანაზღაურება.

მოსარჩელის მითითებით, ზემოხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც რ. კ-მა წარადგინა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროში. სააღსრულებო ბიურომ მოსთხოვა ქალაქ ფოთის მუნი-

ციპალიტეტის მერიას ნებაყოფლობით აენაზღაურებინა რ. კ-ისათვის ხელფასი სრული ოდენობით. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ მის ანგარიშზე გადარიცხა 23 328 ლარი, რაც, მოსარჩელის მითითებით, შეადგენდა არა მთლიან ხელფასს, არამედ მხოლოდ თანამდებობრივ სარგოს. მოსარჩელის განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მიხედვით, შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 13 სექტემბრის №1-08/2208 წერილის შესაბამისად, რ. კ-ის სამსახურში არყოფნის პერიოდში ამ თანამდებობაზე თანამდებობრივი სარგოს გარდა, დამატებით დაირიცხა 7840 ლარი. მიუხედავად მისი არაერთი მოთხოვნისა, დღემდე მას კუთვნილი ხელფასი სრულად არ მიუღია.

მოსარჩელის მითითებით, 2017 წლის 29 სექტემბერს მან საჩივრით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს. 2018 წლის 20 აპრილს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს №A17031697-013/002 წერილით მას განემარტა, რომ პრემია არ შედიოდა ხელფასში და ამდენად სააღსრულებო წარმოება დასრულებული იყო. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს ამგვარი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილებას.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროსათვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისაგან რ. კ-ის კუთვნილი შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) იმ ნაწილის იძულებითი წესით ამოღების დავალება მოითხოვა, რომელიც დაირიცხა პრემიის სახით 7840 ლარის ოდენობით.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით რ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების შესაბამისად, რ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 31 აგვისტოს №635 ბრძანება; რ. კ-ი ადგენილ იქნა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ...ში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა რ. კ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის სახით – სამსახურ-



რიდან გათავისუფლების დღიდან ამ გადაწყვეტილების აღსრულებაზე, იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის სრულად ანაზღაურება მასზე უკვე გაცემული კომპენსაციის გათვალისწინებით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 31 მაისის №424 ბრძანების შესაბამისად, რ. კ-ი აღდგენილ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის ...ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. რ. კ-ს მიეცა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო – 29 160 ლარი.

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს 2018 წლის 20 აპრილის №A17031697-013/002 წერილის თანახმად, რ. კ-ს ეცნობა, რომ აღნიშნული საქმის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 31 მაისის ბრძანების საფუძველზე, იგი აღდგენილი იყო სამსახურში. ასევე, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროდან სრულად გადაეცა იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასი, გაცემული კომპენსაციის გათვალისწინებით, სულ – 23 328 ლარი. რაც შეეხება მოთხოვნას იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი პრემიის ანაზღაურების შესახებ, რ. კ-ს ეცნობა, რომ აღნიშნულის შესახებ 2017 წლის 20 სექტემბერს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიურომ გადაწყვეტილების განმარტების შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. განჩინება სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს ჩაჰბარდა 2018 წლის მარტის თვეში. 2018 წლის 15 მარტს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიურომ რ. კ-ის მოთხოვნის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიულ სამსახურს. აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიული სამსახურიდან 2018 წლის 18 აპრილს მიღებული პასუხიდან ირკვევა, რომ მიუხედავად გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 21 ნოემბერს მიღებული განჩინებით იმსჯელა აღნიშნულ საკითხებზე, რომლის თანახმადაც „თანამშრომელთათვის პრემიის დარიცხვა არ გამოორიცხავს ისეთ ანაზღაურებას როგორცაა მაგალითად: სამსახურის მოვალეობის შესრულების ხარჯების საკომპენსაციო ანაზღაურება და სხვა. პრემიის თანამშრომელზე გაცემა დაკავშირებულია პირის შრომით შედეგებზე და წარმოადგენს თანამშრომელთა ინდივიდუალურ ნახალისებას, ამდენად თავისი შინაარსიდან გამომდინარე პრემიის სახით გაცემული თანხები არ შედის

ხელფასის ანაზღაურებაში“. განსახილველ შემთხვევაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იძულებით განაცდურის ანაზღაურების არსი გამორიცხავდა ისეთ ანაზღაურებას, როგორც იყო პრემია. შესაბამისად, იძულებით გაცდენილი პერიოდის განმავლობაში გაცემული პრემიის ოდენობა არ შედიოდა ხელფასის ანაზღაურებაში.

საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 13 სექტემბრის №1-08/2208 წერილის შესაბამისად, რ. კ-ის წარმომადგენელს ეცნობა, რომ ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილებაში პირდაპირ არ იყო მითითებული ის გარემოება, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო მოსარჩელისათვის გადაეხადა პრემია და დანამატი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს რ. კ-ზე გაცემა პრემია, დანამატი. ასევე, ეცნობა, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის ...ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე 2014 წლის 1 ოქტომბრიდან 2017 წლის 1 ივნისამდე გაცემული შრომითი გასამრჯელო: თანამდებობრივი სარგო (ხელფასი) შეადგენდა 30 320 ლარს, პრემია 7 840 ლარს. რ. კ-ზე გაცემული კომპენსაცია შეადგენდა 1160 ლარს.

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს იურიდიული სამსახურის უფროსის 2018 წლის 18 აპრილის წერილის შესაბამისად, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ეცნობა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების არსი გამორიცხავდა ისეთ ანაზღაურებას, როგორც იყო პრემია. შესაბამისად, იძულებით გაცდენილი პერიოდის განმავლობაში გაცემული პრემიის ოდენობა არ შედიოდა ხელფასის ანაზღაურებაში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით მიჩნეულ იქნა, რომ სააღსრულებო წარმოების №17031697 საქმეზე იკვეთებოდა სააღსრულებო წარმოების დასრულების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ რ. კ-ის 2017 წლის 20 მარტის განცხადების საფუძველზე, აღსრულების ეროვნულ ბიუროს იძულებითი აღსრულების მიზნით წარედგინა სააღსრულებო ფურცელი.

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის №A17031697-004/001 წერილით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 17 მაისის №1-03/1070 წერილის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს უფროს აღმასრულებელს ეცნობა, რომ 2017 წლის 17 იანვრის განცხადებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას 2016 წლის 25 აპრილის №3/ბ-124-2016 გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე. ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი მოკლებული იყო შესაძლებლობას, რ. კ-ი აღედგინა სამსახურში და დაენიშნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ...ში მთავარ სპეციალისტად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 აპრილის №3/ბ-124-2016 გადაწყვეტილების განმარტების მიღებამდე.

საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ გ. გ-ის მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, 2017 წლის 15 მაისს №1/03/1014 მიღებული წერილის შესაბამისად, რ. კ-ის განაცდური შრომითი ანაზღაურების შესახებ შეადგენს 29160 ლარს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის №3/ბ-520-17 განჩინების თანახმად, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა. განჩინებაში მითითებულია შემდეგი: „პალატა მიიჩნევს, რომ თანამშრომელთათვის პრემიის დარიცხვა არა ადმინისტრაციის ვალდებულებას არამედ მის უფლებამოსილებას წარმოადგენს. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების არსი გამორიცხავს ასეთ ანაზღაურებას, როგორცაა მაგალითად: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ხარჯების საკომპენსაციო ანაზღაურება (კვების დანამატის, შრომითი შედეგების მიხედვით დაჯილდოვების თანხების (პრემიის) ანაზღაურება და სხვა). ზოგადად პრემიის თანამშრომლებზე გაცემა დაკავშირებულია პირის შრომით შედეგებზე და წარმოადგენს თანამშრომელთა ინდივიდუალურ ნახალისებას, ამდენად თავისი შინაარსიდან გამომდინარე პრემიის სახით გაცემული თანხები არ შედის ხელფასის ანაზღაურებაში, ხოლო რაც შეეხება დანამატის ანაზღაურებას, აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით ხელმძღვანელობა“.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებები შეესაბამებოდა სა-

ქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ნორმებს, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებს. მართალია, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მხარეებს გადაწყვეტილების განმარტებაზე უარი ეთქვათ, მაგრამ განჩინებაში ნათლად და მკაფიოდ იყო დაფიქსირებული პოზიცია სადავო საკითხთან დაკავშირებით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ თანამშრომელთათვის პრემიის დარიცხვა არა ადმინისტრაციის ვალდებულებას, არამედ მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების არსი გამოირიცხავდა ასეთ ანაზღაურებას, ზოგადად, პრემიის თანამშრომლებზე გაცემა დაკავშირებული იყო პირის შრომით შედეგებთან და წარმოადგენდა თანამშრომელთა ინდივიდუალურ ნახაღისებას. ამდენად, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, პრემიის სახით გაცემული თანხები არ შედიოდა ხელფასის ანაზღაურებაში.

სასამართლომ განმარტა, რომ სწორედ აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე მიიღო შემდგომ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიურომ გადაწყვეტილება, რაც სრულიად საფუძვლიანი და კანონიერი იყო. სასამართლომ გაიზიარა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოხმობილ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე და მიიჩნია, რომ რ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა სააღსრულებო ბიუროს დავალდებულების შესახებ, ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისაგან მისი (რ. კ-ის) კუთვნილი შრომითი გასამრჯელოს იმ ნაწილის ამოღების თაობაზე, რომელიც დარიცხულ უნდა იქნეს პრემიის სახით 7 840 ლარის ოდენობით, არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. კ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის განჩინებით რ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებასა და დასკვნებს, კერძოდ, სააპელაციო პალატამ მიუთითა „ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ პირებზე გასაცემი პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ოქტომბრის №12/48 დადგენილების მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, პრემია

გაიცემა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ პირებზე მათ მიერ დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმინვენით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის.

ამავე დადგენილების მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად, პრემიის გაცემაზე გადანყვეტილებას იღებს მერი მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირებისათვის და საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულოში დასაქმებული პირებისათვის. პრემია გაიცემა მერის, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, რომელშიც უნდა მიეთითოს გასაცემი პრემიის ოდენობა, მისი პროცენტული მიმართება თანამდებობრივ სარგოსთან. ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს. პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ. პრემია შეიძლება გაიცეს, ასევე, არაუმეტეს წელიწადში სამჯერ, საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებთან დაკავშირებით, ამ წესით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და პრინციპების დაცვით.

მითითებული სამართლებრივი აქტების ანალიზიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ თანამშრომელთათვის პრემიის დარიცხვა არა ადმინისტრაციის ვალდებულებას, არამედ მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების არსი გამორიცხავდა ისეთ ანაზღაურებას, როგორც იყო, მაგალითად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ხარჯების საკომპენსაციო ანაზღაურება (კვების დანამატი), შრომითი შედეგების მიხედვით დაჯილდოვების თანხების (პრემიის) ანაზღაურება და სხვა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ზოგადად, პრემიის თანამშრომლებზე გაცემა დაკავშირებული იყო პირის შრომით შედეგებთან და წარმოადგენდა თანამშრომელთა ინდივიდუალურ ნახალისებას, ამდენად, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, პრემიის სახით გაცემული თანხები არ შედიოდა ხელფასის ანაზღაურებაში.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ ვერ იქნა გაბათილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები. მოცემული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების ურთიერთშეჯერების შედეგად, სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. კ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველ პუნქტზე და აღნიშნავს, რომ მართალია, თანამშრომელთათვის პრემიის დარიცხვა არა ადმინისტრაციის ვალდებულებას, არამედ მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, პრემიის სტატუსით თანამშრომლებზე ხელფასთან ერთად თანხის გაცემა არ იყო დაკავშირებული პირის შრომით შედეგებთან. კასატორი მიიჩნევს, რომ პრემიის სახით გაცემული თანხა რეალურად ხელფასის დანამატს წარმოადგენდა, შესაბამისად, იგი ექვემდებარებოდა ანაზღაურებას. კასატორი, აგრეთვე, მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის №ბს-618-612(კ-16) განჩინებაზე, რომლითაც იდენტურ დავაზე ფოთის მერიის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული რ. კ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივლისის განჩინებით რ. კ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. კ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების შესაბამისად, რ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ფოთის სა-

ქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 31 აგვისტოს №635 ბრძანება; რ. კ-ი ადგენილ იქნა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ...ში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა რ. კ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის სახით – სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან ამ გადაწყვეტილების აღსრულებამდე, იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის სრულად ანაზღაურება მასზე უკვე გაცემული კომპენსაციის გათვალისწინებით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 31 მაისის №424 ბრძანების შესაბამისად, რ. კ-ი აღდგენილ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის ...ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. რ. კ-ს მიეცა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო – 29 160 ლარი.

დადგენილია, რომ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს 2018 წლის 20 აპრილის №A17031697-013/002 წერილის თანახმად, რ. კ-ს ეცნობა, რომ აღნიშნული საქმის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 31 მაისის ბრძანების საფუძველზე, იგი აღდგენილი იყო სამსახურში. ასევე, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროდან სრულად გადაეცა იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასი, გაცემული კომპენსაციის გათვალისწინებით, სულ – 23 328 ლარი. რაც შეეხება მოთხოვნას იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი პრემიის ანაზღაურების შესახებ, რ. კ-ს ეცნობა, რომ აღნიშნულის შესახებ 2017 წლის 20 სექტემბერს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიურომ გადაწყვეტილების განმარტების შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. განჩინება სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს ჩაჰბარდა 2018 წლის მარტის თვეში. 2018 წლის 15 მარტს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიურომ რ. კ-ის მოთხოვნის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიულ სამსახურს. აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიული სამსახურიდან 2018 წლის 18 აპრილს მიღებული პასუხიდან ირკვევა, რომ მიუხედავად გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 21 ნოემბერს მიღებული განჩინებით იმსჯელა აღნიშნულ საკითხებ-

ზე, რომლის თანახმადაც, „თანამშრომელთათვის პრემიის დარიცხვა არ გამორიცხავს ისეთ ანაზღაურებას როგორცაა მაგალითად: სამსახურის მოვალეობის შესრულების ხარჯების საკომპენსაციო ანაზღაურება და სხვა. პრემიის თანამშრომელზე გაცემა დაკავშირებულია პირის შრომით შედეგებზე და წარმოადგენს თანამშრომელთა ინდივიდუალურ ნახალისებას, ამდენად თავისი შინაარსიდან გამომდინარე პრემიის სახით გაცემული თანხები არ შედის ხელფასის ანაზღაურებაში“. განსახილველ შემთხვევაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იძულებით განაცდურის ანაზღაურების არსი გამორიცხავდა ისეთ ანაზღაურებას, როგორც იყო პრემია. შესაბამისად, იძულებით გაცდენილი პერიოდის განმავლობაში გაცემული პრემიის ოდენობა არ შედიოდა ხელფასის ანაზღაურებაში.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 13 სექტემბრის №1-08/2208 წერილის შესაბამისად, რ. კ-ის წარმომადგენელს ეცნობა, რომ ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილებაში პირდაპირ არ იყო მითითებული ის გარემოება, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო მოსარჩელისათვის გადაეხადა პრემია და დანამატი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს რ. კ-ზე გაეცა პრემია, დანამატი. ასევე, ეცნობა, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის ...ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე 2014 წლის 1 ოქტომბრიდან 2017 წლის 1 ივნისამდე გაცემული შრომითი გასამრჯელო: თანამდებობრივი სარგო (ხელფასი) შეადგენდა 30 320 ლარს, პრემია 7 840 ლარს. რ. კ-ზე გაცემული კომპენსაცია შეადგენდა 1160 ლარს.

დადგენილია, რომ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს იურიდიული სამსახურის უფროსის 2018 წლის 18 აპრილის წერილის შესაბამისად, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ეცნობა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების არსი გამორიცხავდა ისეთ ანაზღაურებას, როგორც იყო პრემია. შესაბამისად, იძულებით გაცდენილი პერიოდის განმავლობაში გაცემული პრემიის ოდენობა არ შედიოდა ხელფასის ანაზღაურებაში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით მიჩნეულ იქნა, რომ სააღსრულებო წარმოების №17031697 საქმეზე იკვეთებოდა სააღსრულებო წარმოების დასრულების კანონით გათვალისწინებული საფუძველები.

საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ რ. კ-ის 2017 წლის 20 მარტის განცხადების საფუძველზე, აღსრულების ეროვნულ ბიუროს იძულებითი აღსრულების მიზნით წარედ-



გინა სააღსრულებო ფურცელი.

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 11 მაისის №A17031697-004/001 წერილით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა წინადადება გადანყვეტილების შესრულების შესახებ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 17 მაისის №1-03/1070 წერილის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს უფროს აღმასრულებელს ეცნობა, რომ 2017 წლის 17 იანვრის განცხადებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას 2016 წლის 25 აპრილის №3/ბ-124-2016 გადანყვეტილების განმარტების თაობაზე. ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი მოკლებული იყო შესაძლებლობას, რ. კ-ი აღედგინა სამსახურში და დაენიშნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ...ში მთავარ სპეციალისტად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 აპრილის №3/ბ-124-2016 გადანყვეტილების განმარტების მიღებამდე.

დადგენილია, რომ გ. გ-ის მოხსენებით ბარათის შესაბამისად, 2017 წლის 15 მაისის №1/03/1014 მიღებული წერილის შესაბამისად, რ. კ-ის განაცდური შრომითი ანაზღაურების შესახებ შეადგენს 29 160 ლარს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის №3/ბ-520-17 განჩინების თანახმად, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 აპრილის გადანყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა. განჩინებაში მითითებულია შემდეგი: „პალატა მიიჩნევს, რომ თანამშრომელთათვის პრემიის დარიცხვა არა ადმინისტრაციის ვალდებულებას არამედ მის უფლებამოსილებას წარმოადგენს. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების არსი გამორიცხავს ასეთ ანაზღაურებას, როგორცაა მაგალითად: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ხარჯების საკომპენსაციო ანაზღაურება (კვეთის დანამატის, შრომითი შედეგების მიხედვით დაჯილდოების თანხების (პრემიის) ანაზღაურება და სხვა). ზოგადად პრემიის თანამშრომლებზე გაცემა დაკავშირებულია პირის შრომით შედეგებზე და წარმოადგენს თანამშრომელთა ინდივიდუალურ ნახალისებას, ამდენად თავისი შინაარსიდან გამომდინარე პრემიის სახით გაცემული თანხები არ შედის ხელფასის ანაზღაურებაში, ხოლო რაც შეეხება დანამატის ანაზღაურებას, აღნიშნულთან დაკავში-

რებით შესაძლებელია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით ხელმძღვანელობა“.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

„ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ პირებზე გასაცემი პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ოქტომბრის №12/48 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, პრემია გაიცემა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ პირებზე მათ მიერ დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმინევენით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის.

ამავე დადგენილების მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად, პრემიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს მერი მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირებისათვის და საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულოში დასაქმებული პირებისათვის. პრემია გაიცემა მერის, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, რომელშიც უნდა მიეთითოს გასაცემი პრემიის ოდენობა, მისი პროცენტული მიმართება თანამდებობრივ სარგოსთან. ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს. პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ. პრემია შეიძლება გაიცეს, ასევე, არაუმეტეს წელიწადში სამჯერ, საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებთან დაკავშირებით, ამ წესით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და პრინციპების დაცვით.

მითითებული სამართლებრივი აქტების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ თანამშრომელთათვის პრემიის დარიცხვა არა ადმინისტრაციის ვალდებულებას, არამედ მის უფლებამოსილებას წარმოადგენს. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების არსი გამორიცხავს ისეთ ანაზღაურებას, როგორცაა მაგალითად: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ხარჯების საკომპენსაციო ანაზ-

ლაურება (კვების დანამატი), შრომითი შედეგების მიხედვით დაჯილდოვების თანხების (პრემიის) ანაზღაურება და სხვა. ზოგადად პრემიის თანამშრომლებზე გაცემა დაკავშირებულია პირის შრომით შედეგებზე და წარმოადგენს თანამშრომელთა ინდივიდუალურ წახალისებას, ამდენად, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, პრემიის სახით გაცემული თანხები არ შედის ხელფასის ანაზღაურებაში, ხოლო რაც შეეხება დანამატის ანაზღაურებას, აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით ხელმძღვანელობა.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც ანესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს. ამავე კანონის მეორე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, გარდა ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა, ხოლო ამავე მუხლის „ღ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება არბიტრაჟის გადაწყვეტილება.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში – აღსრულების ეროვნული ბიურო). ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით. ამავე კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შე-სახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლზე, რომლითაც გათვა-ლისწინებულია აღმასრულებლის, როგორც სააღსრულებო წარმო-ების პროცესის უმთავრესი მონაწილის უფლება-მოვალეობანი. მი-თითებული მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული აღმასრულებლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყვე-ლა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქ-ვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა; ყველა ადმინისტრაციული ორგანო, საბანკო დაწესებულება, მო-ვალესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ინფორმაცია მოვალის ქო-ნებრივი მდგომარეობის, შემოსავლების, საბანკო ანგარიშების, ან-გარიშებზე არსებული ნაშთებისა და თანხის ბრუნვის შესახებ; აღ-მასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გა-დანყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, გა-ნუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრუ-ლების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხ-მაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მიიჩნევს იმ გარემოე-ბას, რომ რ. კ-ის გათავისუფლების დღიდან მის აღდგენამდე თა-ნამდებობრივი სარგოს გარდა ყველა მოქმედ თანამშრომელზე გა-ცემულ იქნა თანხები პრემიის სახით, რასაც თანამდებობაზე ყოფ-ნის შემთხვევაში, მოსარჩელეც მიიღებდა. შესაბამისად, მიუხედა-ვად იმისა, რომ თანამშრომელთათვის პრემიის დარიცხვა არა ად-მინისტრაციის ვალდებულებას, არამედ მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, მოცემულ შემთხვევაში, პრემიის სტატუსით თა-ნამშრომლებზე ხელფასთან ერთად თანხის გაცემა არ იყო დაკავ-შირებული პირის შრომით შედეგებთან და არ წარმოადგენდა თა-ნამშრომელთა ინდივიდუალურ ნახალისებას (მაგალითად, ყოველ-კვარტალური, სადღესასწაულო პრემია). ამდენად, თავისი არსით პრემიის სახით გაცემული თანხები ხელფასის დანამატს წარმოად-გენდა და ექვემდებარებოდა ანაზღაურებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით ყურადღებას მი-აქცევს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომ-ბრის №ბს-618-612(კ-16) განჩინებით ქალაქ ფოთის მუნიციპალი-ტეტის მერის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება. მითითებულ საქმეში მო-

სარჩელე წარმოადგენდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელს, რომლის თანამდებობიდან გათავისუფლებაც, ხოლო შემდგომ კი სამსახურში აღდგენაზე უარის თქმა, სასამართლოთა მხრიდან უკანონოდ იქნა მიჩნეული. აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელეს აუნაზღაურდა როგორც თანამდებობრივი სარგო, აგრეთვე, პრემიის სახით გაცემული თანხა, რამდენადაც სასამართლოთა მხრიდან დადგინდა, რომ პრემიის სტატუსით თანამშრომლებზე ხელფასთან ერთად თანხის გაცემა არ უკავშირდებოდა კონკრეტულ პირთა შრომის შედეგებს. ამასთან, გაცემული თანხმები არ ემსახურებოდა თანამშრომელთა ინდივიდუალურ ნაზღაურებას. ამდენად, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, პრემიის სახით გაცემული თანხები ხელფასის დანამატად იქნა მიჩნეული და დაექვემდებარა ანაზღაურებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამსახურიდან ერთსა და იმავე პერიოდში ორი თანამშრომლის უკანონო გათავისუფლების შედეგად განსაზღვრული იძულებითი განაცდურის სხვადასხვაგვარი ოდენობით ანაზღაურება არღვევს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ რ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. კ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს უნდა დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისაგან რ. კ-ის კუთვნილი შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) იმ ნაწილის იძულებითი წესით ამოღება, რომელიც დაირიცხა 7 840 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. რ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის განჩინება და

მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. რ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. მოპასუხეს – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს დავალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისაგან რ. კ-ის კუთვნილი შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) იმ ნაწილის იძულებითი წესით ამოღება, რომელიც დაირიცხა 7 840 ლარის ოდენობით;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **შტატის შემცირების პირობებში განხორციელებული მოპილოვის პროცედურის კანონიერება**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-38(კ-20)

23 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ქმედების განხორციელების დავალება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. ბ-მა 02.10.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა „ვ. ბ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების

დეპარტამენტის 08.08.2018წ. №... ბრძანების ბათილად ცნობა; „ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 16.07.2018წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; „ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 31.07.2018წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, მოსარჩელე ვ. ბ-ის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ...ის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო ... ლარი) აღდგენის შესახებ; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის მოსარჩელე ვ. ბ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრება, მისი გათავისუფლების დღიდან აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული ხელფასის ყოველთვიური ოდენობით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუნებო დანესებულებაში – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში. 08.05.2018წ. №... ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტში გამოცხადდა რეორგანიზაცია, ხოლო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 07.08.2018წ. №... ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ახალი სამტაგო ნუსხა, რის საფუძველზეც, 08.08.2018წ. №... ბრძანებით იგი გათავისუფლდა დეპარტამენტის ...ის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან. მოსარჩელის მოსაზრებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლება ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე დაითხოვა სამსახურიდან, რომ არ გამოიკვლია, არსებობდა თუ არა იმავე ან სხვა უწყებაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საავტომობილო გზების დეპარტამენტი არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუნებო დანესებულება, ხოლო თავად სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად (რაც დროში წინ უსწრებდა დეპარტამენტში განხორციელებულ რეორგანიზაციას), უწყებაში შეიქმნა ახალი დეპარტამენტი, რომელიც იმავე უფლებამოსილებით არის აღჭურვილი, რომელსაც ვ. ბ-ი გათავი-

სუფლებამდე ასრულებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.03.2019წ. გადაწყვეტილებით ვ. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2018 წლის 16 ივლისის №... გადაწყვეტილება „ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში“; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2018 წლის 31 ივლისის №... გადაწყვეტილება „ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში“; დაევალა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელე ვ. ბ-ის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ...ის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო ... ლარი) აღდგენის შესახებ; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაევალა ვ. ბ-ისთვის სამსახურიდან განთავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ყოველთვიური ოდენობით; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს 18.03.2019წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2019წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.03.2019წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება გასაჩივრებულთა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, რაც ქმნის გადაწყვეტილების მხოლოდ აღნიშნულ ნაწილში გადამონმების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2018 წლის 16 ივლისის №... და 2018 წლის 31 ივლისის №... გადაწყვეტილებების კანონიერება ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში, ვინაიდან აღნიშნული აქტებით შეიზღუდა მოსარჩელის შრომითი უფ-



ლება. სააპელაციო პალატის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული შრომის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, სათანადო, კანონიერი საფუძვლების გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთა მიმართ ისეთი ზომების გამოყენება, რაც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს, ასევე ხელს არ შეუშლის პირს საკუთარი პიროვნების განვითარებაში. ამასთან, შრომის გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. საქართველოს კანონმდებლობა შრომითი უფლების შეზღუდვის მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებს ადგენს და შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ შესაბამის ფარგლებში, თავისი უფლებამოსილების კანონიერად, კეთილსინდისიერად განხორციელების გზით ანიჭებს ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში პალატამ უნდა იმსჯელოს, სამსახურიდან გათავისუფლებას ჰქონდა თუ არა კანონისმიერი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველი დავის სწორად გადაწყვეტის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა ტოლფას თანამდებობებს გათავისუფლებამდე ვ. ბ-ის მიერ დაკავებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა და ახლადშექმნილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ...ის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა, შესაბამისად, გააჩნდა თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს ახლადშექმნილ თანამდებობაზე ვ. ბ-ის გადაყვანის ვალდებულება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საჯარო სამსახურის დანესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო სამსახურის დანესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დანესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ რეორგანიზაციის ფაქტი. გათავისუფლება დასაშვებია რეორგანიზაციი-

სას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება. ამასთანავე, საშტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლებამოვალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ და ა.შ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შედეგად შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა შეიცვალოს, გაიყოს და კონკრეტული სამსახურები განსხვავებულად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩეს, ანუ იყოს იმავე იერარქიულ საფეხურზე, თუნდაც სხვა უწყების დაქვემდებარებაში და ითვალისწინებდეს იმავე უფლება მოვალეობების შესრულებას, შესაბამისად, კონკრეტული თანამდებობების იდენტურობის დადგენის მიზნით უნდა შეფასდეს: ა) მათი ადგილი ადმინისტრაციული ორგანოს სამსახურებრივ იერარქიაში; ბ) ძირითად უფლებამოსილებათა წრე. ამასთან, სააპელაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ფორმალურად ზოგიერთი ფუნქციის მოკლება ან რაიმე უმნიშვნელო მოთხოვნის დამატება მდგომარეობას არ ცვლის; გ) მოთხოვნები, რომლებიც რეორგანიზაციის შემდგომ საჭიროა კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად; დ) ზოგიერთ შემთხვევაში – შრომის ანაზღაურება (სუსგ 08.12.2015წ., საქმე №ბზ-449-442(კ-15)).

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლებულ იქნა რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მოტივით. ვ. ბ-ი 2017 წლის 13 იანვრიდან დაწინიებული იყო და მუშაობდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის სამსახურის ...ის ...ის (...ის მიმართულებით) თანამდებობაზე. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 30.06.2017წ. №... ბრძანებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობა 2017 წლის 01 ივლისიდან გარდაიქმნა პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად. ამავე დეპარტამენტის 29.01.2018წ. №... ბრძანებით, ვ. ბ-ის თანამდებობა – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის სამსახურის ...ის ...ი, გარდაიქმნა დეპარტამენ-

ტის ...ის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად. ვ. ბ-ს თანამდებობრივი სარგო განესაზღვრა თვეში ... ლარის ოდენობით.

პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 13.01.2017წ. №... ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულება. აღნიშნული დებულების მე-11 მუხლი განსაზღვრავს ...ის სამსახურის ძირითად ამოცანებს, მათ შორის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სამსახურის უფლებამოსილებებში შედიოდა დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა, ასევე, დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა, დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა.

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურისა და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 29.01.2018წ. №... ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 02.04.2018წ. ... ბრძანებით დამტკიცებული სამტატო ნუსხის მიხედვით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების ...ის სამსახურის ...ის სამსახურში განსაზღვრული იყო პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სულ ერთი სამტატო ერთეული, რომლის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა ... ლარს.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა 08.05.2018წ. გამოსცა ბრძანება, რომლითაც დაადგინა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა განხორციელებულიყო რეორგანიზაცია თანამდებობათა შემცირებით. აღნიშნულ ბრძანებას იმავე დღეს გაეცნო მოსარჩელე ვ. ბ-ი. 04.07.2018წ. ვ. ბ-ს წერილობით ეცნობა რეორგანიზაციის შედეგად, შესაბამისი სამტატო ერთეულის შემცირების გამო, თანამდებობიდან მისი შესაძლო გათავისუფლების თაობაზე. საქართველოს რეგიონული განვი-

თარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 07.08.2018წ. №... ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა, დანართის შესაბამისად. რეორგანიზაციის შედეგად, საშტატო ნუსხა არ ითვალისწინებდა ...ის სამსახურის სტრუქტურულ ერთეულს, ამასთან, სამსახურის გაუქმებით, მის ბაზაზე შექმნილი ახალი სტრუქტურული ერთეული (ქვედანაყოფი) – ...ის სამსახური ასევე არ ითვალისწინებდა მოსარჩელის საშტატო ერთეულს.

სასამართლოს განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია და მხარეთა შორის სადავოდ არ ქცეულა ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 30.07.2018წ. №... დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულება, რომლითაც განისაზღვრა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, მათ შორის, ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ...ის დეპარტამენტი, რომლის ძირითად ამოცანად განისაზღვრა სამინისტროში ...ა, ასევე, სამინისტროში ...ი უზრუნველყოფის შექმნა, ...ა. ამასთან, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სტრუქტურის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ...წ. №... ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საშტატო ნუსხის შესაბამისად, ერთ-ერთ დეპარტამენტად ჩამოყალიბდა ...ის დეპარტამენტი, სადაც შეიქმნა პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული, თანამდებობრივ სარგოდ კი განისაზღვრა ანაზღაურება თვეში ... ლარის ოდენობით.

პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 02.08.2018წ. №... ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ...ის დეპარტამენტის დებულება. აღნიშნული დებულების მე-2 მუხლის მიხედვით, დეპარტამენტის უფლებამოსილებებია: სამინისტროს ...ის უზრუნველყოფა, სამინისტროს ...ა, საჭიროების გათვალისწინებით, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ...თ უზრუნველყოფა, ასევე მინისტრის ან კურატორი მინისტრის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება, რომლებიც არ შედის სამინისტროს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენციაში და მიეკუთვნება სამინისტროს მმართველს.

ლობის სფეროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ვ. ბ-ის მიერ დაკავებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა მინისტრის ბრძანებით გამოყოფილ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტისაგან და შეუერთდა უშუალოდ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, კერძოდ გახდა ახლადშექმნილი ...ის დეპარტამენტის საშტატო ერთეული, თუმცა თანამდებობას იერარქიული საფეხური, ძირითად უფლებამოსილებათა წრე, შრომის ანაზღაურება და თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრული მოთხოვნები უცვლელად დარჩა. ამდენად, ვ. ბ-ის მიერ დაკავებული შტატი არსებითად იქნა შენარჩუნებული, იგი არ გაუქმებულა, მხოლოდ იქნა გადატანილი საქვეუწყებო დაწესებულებიდან უშუალოდ სამინისტროს შემადგენლობაში.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 02.08.2018წ. №... ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ...ის დეპარტამენტის დებულების მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლადშექმნილ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ...ის დეპარტამენტს დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება დაევალა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართაც, ვინაიდან საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას. შესაბამისად, აპელანტთა პოზიცია, რომ ახლადშექმნილი თანამდებობა განსხვავდება ვ. ბ-ის მიერ დაკავებული თანამდებობისაგან შესასრულებელ ფუნქციათა თვალსაზრისით, პალატამ არ გაიზიარა, დაუსაბუთებლობის გამო.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „პროფესიულ საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 20.04.2017წ. №199 დადგენილებით დამტკიცებულ წესზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებისას შესაბამისი პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესსა და პირობებს, მობილობის პროცესში ჩართული სუ-

ბიექტების უფლებამოსილების განხორციელების საკითხებს, ასევე არეგულირებს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმისა და მოხელის რეზერვთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული დადგენილების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულების ლიკვიდაციისას და აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციას ან/და მის სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმას თან სდევს საჯარო დაწესებულების სამსახურო რიცხოვნობის შემცირება, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და შერწყმის დასრულებამდე ერთი თვით ადრე განსაზღვროს თანამდებობიდან გასათავისუფლებელ მოხელეთა სია და აცნობოს მათ რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და შერწყმის შესაძლო შედეგები. ამასთან, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებისას გასათავისუფლებელ მოხელეთა სხვა საჯარო დაწესებულებაში მობილობის ეტაპზე საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ითანამშრომლოს ბიუროსთან თანამდებობიდან გასათავისუფლებელი მოხელეების კომპეტენციის შესაბამისი თანამდებობის მოძიებისა და მათი ხელახალი დასაქმების მიზნით. მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო, შტატების შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამსახური ერთეული, რომელსაც ვ. ბ-ი იკავებდა, არ გაუქმებულა და იმავე ფუნქციით განაგრძო არსებობა, იმ დაწესებულების დაქვემდებარებაში, რომელიც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად წარმოადგენს საჯარო მმართველობის ერთ სფეროს. ამასთან, ვინაიდან ახლადშექმნილი ...ის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტისათვის განსაზღვრული სამართლებრივი მოვალეობები ვრცელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეყნებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტზეც, ასევე იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ახლადშექმნილი თანამდებობა იყო ვაკანტური, მოსარჩელეს უკანონოდ ეთქვა უარი დასაქმებაზე.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ის ფაქტი, რომ სამინისტ-

ტროში ...ის დეპარტამენტი შეიქმნა „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სტრუქტურის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ...ნ. №... ბრძანებით, ხოლო ვ. ბ-ის მობილობაზე უარის თქმის წერილები თარიღდება 2018 წლის 16 ივლისით და 31 ივლისით, ვერ იქნება მიჩნეული ვ. ბ-ის მობილობაზე უარის თქმის კანონიერების დამადასტურებელ გარემოებად. სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა ვ. ბ-ის მიერ დაკავებული თანამდებობის ფუნქციური მნიშვნელობა საჯარო დაწესებულებისათვის და განმარტა, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში აღნიშნული თანამდებობის გაუქმება განპირობებულ იქნა ამ შტატის სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში გადატანის დაგეგმვის მოტივით. დებულების შესაბამისად, მითითებულ შტატს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შესასრულებელი სამუშაოს შესრულება დაეკისრებოდა. ამდენად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შესაბამისი თანამდებობის გაუქმება არ იყო განპირობებული იმ მოტივით, რომ მსგავსი ფუნქციის მქონე საშტატო ერთეული საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს აღარ ესაჭიროებოდა. აღნიშნული ფაქტის შესახებ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი-სათვის უდავოდ ცნობილი იყო ივლისიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვ. ბ-ის მიმართ მობილობის პროცედურების განხორციელება არ დაიწყებოდა. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საექვეყნო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საშტატო ნუსხა დამტკიცებულ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 07.08.2018წ. №... ბრძანებით, ხოლო ვ. ბ-ი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 08.08.2018წ. №... ბრძანებით, ამდენად, ვ. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებამდე, ...ნ. უკვე შექმნილი იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სტრუქტურაში ვ. ბ-ის მიერ დაკავებული თანამდებობის იდენტური საშტატო ერთეული, რომელიც იყო ვაკანტური და ადმინისტრაციულ ორგანოს ვ. ბ-ის გათავისუფლებამდე შეეძლო განეხილა აღნიშნულ თანამდებობაზე მისი გადაყვანის საკითხი, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხრიდან ადგილი ჰქონდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და ზემოაღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის არსებით დარღვევას. გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება არ შეესაბამება მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც, მართებულად იქნა ბათილად ცნობილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 16.07.2018წ. №... და 31.07.2018წ. №2617-01 გადაწყვეტილებები „ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასევე მართებულად დაევალა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოსარჩელე ვ. ბ-ის სამსახურში აღდგენა და მისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება, განთავისუფლების დღიდან მისი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ...ის დეპარტამენტში პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენამდე, ამ თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2019წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ. კასატორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც არ დაკმაყოფილდება ვ. ბ-ის სარჩელი.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინების შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.03.2019წ. გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სამინისტროს 16.07.2018წ. №... და 31.07.2018წ. №... წერილები, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მობილობის პროცესში „ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური ად-



მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. ამავე კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

კასატორის მოსაზრებით, არ უნდა იქნეს გაზიარებული სასამართლოს დასკვნა, ზემოაღნიშნული წერილების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად მიჩნევისა და მათი ბათილობის თაობაზე. კასატორი მიუთითებს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი ითვალისწინებს მობილობის პროცესს, რომელიც უფრო დეტალურად მოწესრიგებულია „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 20.04.2017წ. №199 დადგენილებით. კანონის აღნიშნული მუხლითა და „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 20.04.2017წ. №199 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაძლებლობას და არა ვალდებულებას, რომ შტატების შემცირებისას, შესაბამისი მოხელე მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში, მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო დაწესებულება, სადაც მიმდინარეობს რეორგანიზაცია, იმავე საჯარო დაწესებულებაში ან მის სისტემაში ახორციელებს ე.წ. შიდა მობილობას, ხოლო ასეთი მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში, სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს ჩართულობით იწყება ე.წ. გარე მობილობა საჯარო სამსახურის სისტემაში. კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობის 30.07.2018წ. №... დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, სამინისტროს სისტემაში შედის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანა-

ყოფები (ე.წ. სამინისტროს ცენტრალური აპარატის დეპარტამენტები), სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება (ამ შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები (საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი და ანაკლიის ღრმანყოფილების ნავსადგურის განვითარების სააგენტო). შესაბამისად, დეპარტამენტმა შიდა მობილობის უზრუნველყოფის მიზნით, მიმართა არა მხოლოდ სამინისტროს, არამედ სამინისტროს სისტემას, რომელიც შედგება ზემოაღნიშნული უწყებებისაგან, თუმცა როგორც მოსარჩელის, ისე სასამართლოს ყურადღების საგანი გახდა მხოლოდ სამინისტროს წერილები და დასაბუთება. რატომ არ იქნა მიჩნეული სხვა ანალოგიური სტატუსისა და შინაარსის წერილები განხილვის საგნად, სასამართლოს დასაბუთებული არ აქვს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52.2 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 20.04.2017წ. №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ 12.6 მუხლის შესაბამისად, მოხელის მობილობით სხვა საჯარო დაწესებულებაში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით. ამასთან, როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისე „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 20.04.2017წ. №199 დადგენილება არსად მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული თანხმობა, თავისი ბუნებით წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (განსხვავებით, სხვა რეგულაციებისა, სადაც ამის შესახებ კანონი პირდაპირ აკეთებს მითითებას). აღნიშნული ვერც იქნებოდა კანონმდებლის მიზანი, რადგან საჯარო დაწესებულების ორგანიზაციული დამოუკიდებლობის მახასიათებლის გათვალისწინებით, კანონმდებელი ვერ დაავალდებულებს სხვა საჯარო დაწესებულებას, დაასაქმოს პირი შესაბამისი სურვილის გარეშე. ფაქტობრივად, მობილობა, როგორც ხელახალი დასაქმების შექანიზმი, აძლევს საჯარო დაწესებულებებს შესაძლებლობას, სურვილის შემთხვევაში, დაასაქმონ პირი ვაკანტურ თანამდებობაზე, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს ვალდებულებას, მათ შორის, არც უარის თქმის დასაბუთების ვალდებულებას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოირიცხება 16.07.2018წ. №... და 31.07.2018წ. №... წერილების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად მიჩნევის შესაძლებლობა. წერილები ზაკ-ით გათვალისწინებული შიდაორგანიზაციული დოკუმენტებია, რომლებითაც არ წარმოიშობა

სამართლებრივი შედეგი, ისინი მხოლოდ აქტის გამოცემის საფუძველს ქმნიან (ისევე, როგორც სამსახურებრივი შემონგების დასკვნა არ არის აქტი. აქტი არის აღნიშნული დასკვნის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება). მოსარჩელის მიმართ შედეგი წარმოშვა მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებამ და არა საჯარო სამსახურის სისტემაში ჩართული უწყებების წერილებმა, მობილობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა, სამინისტროს 16.07.2018წ. №... და 31.07.2018წ. №... წერილების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებად მიჩნევის შესახებ, არის დაუსაბუთებელი და ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს. კასატორი საგულისხმოდ მიიჩნევს, რომ სამინისტროს ქმედებები შეესაბამება რეორგანიზაციის გზამკვლევიტ გათვალისწინებულ მეთოდოლოგიურ მითითებებს, რომლებსაც სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო აძლევს უწყებებს აღნიშნული პროცესების განხორციელების დროს. ამასთანავე, კასატორის განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომის შემდეგ, სამინისტრომ კითხვით მიმართა სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს. 19.07.2019წ. წერილში ბიურომ დააფიქსირა შემდეგი პოზიცია: „ვაკანტური თანამდებობის მქონე საჯარო დაწესებულება, მიუხედავად მის დაწესებულებაში არსებული ვაკანტური პოზიციისა, უფლებამოსილია და არა ვალდებული, განაცხადოს თანხმობა ან განაცხადოს უარი მობილობით მოხელის სამსახურში მიღებაზე. უფრო მეტიც, საჯარო დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობის ისეთი საკითხები, როგორიცაა კონკურსის გამოცხადება, კანდიდატის მოხელის თანამდებობაზე დანიშვნა თუ საჯარო სამსახურში პირის მიღებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, წარმოადგენს დაწესებულების პრეროგატივას. გარდა ამისა, საჯარო დაწესებულების უარი შემცირებული მოხელის მობილობით მიღებაზე, აუცილებელ დასაბუთებას არ საჭიროებს. აღნიშნული გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ ორგანიზაციული მოწყობის საკითხების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საჯარო დაწესებულების უპირობო უფლებაა და მისი ამ უფლებით სარგებლობა ან სარგებლობაზე უარის თქმა არ შეიძლება გახდეს დავის საგანი“.

კასატორი მიიჩნევს, რომ სამინისტრო იმაზე განსხვავებულ მდგომარეობაშია ჩაყენებული გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, ვიდრე ამას კანონი და საჯარო უწყებების საქმიანობა ითვალისწინებს. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 25.1 მუხლის შესაბამისად, დეპარტამენტი, როგორც საქვეუწყებო და-

წესებულება, წარმოადგენს სამინისტროს გამგებლობაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელ დაწესებულებას. შესაბამისად, დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, განეხორციელებინა რეორგანიზაცია და ამ მიზნით, დეპარტამენტის თავმჯდომარემ 08.05.2018წ. გამოსცა №... ბრძანება „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ“. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მნიშვნელოვანია, რამდენადაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 20.04.2017წ. №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ 5.2 მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების ინიცირებას ახდენს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი. შესაბამისად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს საამისოდ უფლებამოსილი პირი (მოცემულ შემთხვევაში – დეპარტამენტის თავმჯდომარე). კასატორის მოსაზრებით, ხაზი უნდა გაესვას აღნიშნული განკერძოების საკითხს, სამინისტროსა და დეპარტამენტს, როგორც დამოუკიდებელ საჯარო უწყებებს შორის აღრევა ლაიტმოტივად სდევს განსახილველი დავის თაობაზე სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ განჩინებაში განვითარებული მსჯელობა ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული, ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს. სიმართლეს არ შეესაბამება სასამართლოს მტკიცება იმის თაობაზე, რომ ფუნქცია, რომლითაც მოსარჩელის მიერ დაკავებული საშტატო ერთეული იყო დატვირთული, დეპარტამენტიდან გადავიდა სამინისტროში. მინისტრის 13.01.2017წ. №... ბრძანებით დამტკიცებული დეპარტამენტის დებულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ...ის სამსახურის უფლებამოსილებას წარმოადგენდა დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა, ასევე დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა, დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა. ამდენად, ცალსახაა, რომ ვ. ბ-ს სამსახურებრივი ფუნქციები დაკისრებული ჰქონდა მხოლოდ დეპარტამენტის ფარგლებში,

ხოლო მინისტრის 02.08.2018წ. №... ბრძანებით დამტკიცებული სა-  
მინისტროს ...ის დეპარტამენტის დებულების მეორე მუხლის შე-  
საბამისად, ამ დეპარტამენტის უფლებამოსილებებია: სამინისტროს ...ის უზრუნველყოფა, სამინისტროს ...ა, საჭიროების გათვა-  
ლისწინებით, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანა-  
ყოფების ...თ უზრუნველყოფა. ამდენად, სამინისტროს ამ დეპარ-  
ტამენტის ფუნქციები არ ვრცელდება საქართველოს საავტომო-  
ბილო გზების დეპარტამენტზე. დეპარტამენტიდან სამინისტრო-  
ში არავითარ ფუნქციის გადასვლას და სტრუქტურული ერთეულის  
დაქვემდებარების შეცვლას ადგილი არ ჰქონია. დაუსაბუთებელია  
და სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული სასამართლოს  
მსჯელობა, თითქოს მოსარჩელე სამსახურიდან რეორგანიზაციის  
გამო გათავისუფლდა იმ პირობებში, როდესაც მის მიერ დაკავე-  
ბული საშტატო ერთეული არ გაუქმებულა და იმავე ფუნქციით გა-  
ნაგრძო არსებობა სხვა დანესებულების დაქვემდებარებაში, ამას-  
თან, თითქოს მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება რეა-  
ლურად განხორციელდა არა დეპარტამენტის თავმჯდომარის  
08.08.2018წ. №... ბრძანებით, არამედ სამინისტროს მიერ მის და-  
ნიშვნაზე უარის თქმით.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს  
მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ მინისტრის 02.08.2018წ.  
№... ბრძანებით დამტკიცებული „სამინისტროს ...ის დეპარტამენ-  
ტის დებულების“ მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახ-  
ლადშექმნილ დეპარტამენტს, დებულებით გათვალისწინებული  
საქმიანობის განხორციელება დაევალა საქართველოს საავტომო-  
ბილო გზების დეპარტამენტის მიმართაც, ვინაიდან ეს დეპარტა-  
მენტი წარმოადგენს სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელ-  
მწიფო საქვეუწყებო დანესებულებას. კასატორის განმარტებით,  
აღნიშნული მსჯელობა სამართლებრივ არგუმენტაციას მოკლებუ-  
ლია. ზემოაღნიშნული დებულების მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი  
ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც დეპარტამენტს, მი-  
ნისტრის ან კურატორი მინისტრის მოადგილის მხრიდან სპეცია-  
ლურად ევალება რაიმე სხვა უფლებამოსილების განხორციელება  
სამინისტროს მმართველობის სფეროს მიკუთვნებული სტრუქტუ-  
რული ქვედანაყოფის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი და-  
ვლების დამადასტურებელი არავითარი მტკიცებულება არ არის  
წარმოდგენილი.

კასატორი ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მო-  
საზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვ. ბ-ისათვის მობილობაზე  
უარის თქმის კანონიერების დამადასტურებელ გარემოებად ვერ  
იქნება მიჩნეული სამინისტროში ...ის დეპარტამენტის შექმნა მი-

ნისტრის ...ნ. ბრძანებით, იმ პირობებში, როდესაც ვ. ბ-ის მობილობაზე უარის თქმის შესახებ წერილები თარიღდება 2018 წლის 16, 31 ივლისით, ამასთან, ვ. ბ-ის მიერ დაკავებული თანამდებობის გაუქმება განპირობებულია იმ მოტივით, რომ იგეგმებოდა აღნიშნული შტატის სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში გადატანა და არა იმ გარემოებით, რომ მსგავსი ფუნქციის მქონე სამშატო ერთეული საავტომობილო გზების დეპარტამენტს აღარ ესაჭიროებოდა. კასატორის განმარტებით, ფუნქციის გაუქმება საჯარო დაწესებულებისათვის შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ დაწესებულება აღნიშნულის ე.წ. „აუტოსორინგს“ გეგმავს. გადამწყვეტია ის ფაქტი, რომ სამინისტროში ...ის დეპარტამენტი შეიქმნა ...ნ., ხოლო ვ. ბ-ის მობილობაზე უარის თქმის შესახებ წერილები თარიღდება 2018 წლის 16 ივლისით და 2018 წლის 31 ივლისით, ანუ მანამდე, ვიდრე ეს დეპარტამენტი შეიქმნებოდა. შესაბამისად, არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სამინისტრო ვალდებული იყო, დაესაქმებინა ვ. ბ-ი იმ თანამდებობაზე, რომელიც არ არსებობდა და აღნიშნულზე უარი უნდა ჩაითვალოს მისი გათავისუფლების საფუძვლად. სამართლებრივად წარმოუდგენელია, დეპარტამენტი, რომელიც მომავალში შეიქმნა, წინა პერიოდში წარმოშობდეს არარსებულ თანამდებობზე დასაქმების ვალდებულებას.

კასატორის განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის შესაბამისად, ცალსახაა, რომ თუ არ დადგინდა მოხელის უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი და შესაბამისად, არ მოხდა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება, ვერ მოხდება მოხელის თანამდებობაზე აღდგენა და მისთვის განაცდურის ანაზღაურება. მითითებული კანონის 118.3 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. ამდენად, გარდა ზემოაღნიშნულისა, აღდგენის ვალდებულება ეხება იმავე საჯარო დაწესებულებას, საიდანაც გათავისუფლდა პირი და მხოლოდ ტოლფასი თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში ხდება საჯარო სამსახურის სისტემის ჩართვა (ისიც ნებაყოფლობით, შესაბამისი ორგანოების თანხმობის შემთხვევაში). იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე გათავისუფლებულია დეპარტამენტის შესაბამისი გადაწყვეტილებით და გათავისუფლების შესახებ ბრძანების საფუძველი გახდა დეპარტამენტის რეორგანიზაცია, მოსარ-

ჩელის სამსახურში აღდგენის დავალდებულება და განაცდურის ანაზღაურების დაკისრება სხვა საჯარო დაწესებულებისათვის არის აბსოლუტური ნონსენსი. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მოხელის ფინანსური უზრუნველყოფა სამინისტროს ბიუჯეტის ფარგლებში ვერ იარსებებს, რადგან ეს პირი არ ყოფილა სამინისტროს თანამშრომელი.

კასატორის განმარტებით, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ“ 08.05.2018წ. №... ბრძანება გამოცემულ იქნა არა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, არამედ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მნიშვნელოვანია, რადგან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს საამისოდ უფლებამოსილი პირი (მოცემულ შემთხვევაში – დეპარტამენტის თავმჯდომარე, რამდენადაც იგი წარმოადგენს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 25.1 მუხლის შესაბამისად, სამინისტროს გამგებლობაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელ დაწესებულებას, რომელიც დამოუკიდებლად საქმიანობს ორგანიზაციული მოწყობის საკითხებში). ამასთან, საქართველოს მთავრობის 20.04.2017წ. №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ 5.2 მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების ინიცირება ხდება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. დეპარტამენტის ხელმძღვანელს წარმოადგენს დეპარტამენტის თავმჯდომარე და არა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 02.08.2018წ. №... ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ...ის დეპარტამენტის დებულების“ მეორე მუხლის მიხედვით, ამ დეპარტამენტის უფ-

ლებამოსილებებია: „სამინისტროს, მათ შორის – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა, სამინისტროს ...ა, საჭიროების გათვალისწინებით, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ...თ უზრუნველყოფა“. სასამართლომ მოახდინა უკვე ძალაში შესული ნორმატიული აქტის ტექსტის შეცვლა და ფაქტობრივად განახორციელა ნორმათშემოქმედებითი საქმიანობა, რისი უფლებამოსილებაც მას არ გააჩნია. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 02.08.2018წ. №... ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ...ის დეპარტამენტის დებულების“ მეორე მუხლის მიხედვით, დეპარტამენტის უფლებამოსილებას მიეკუთვნება: ა) სამინისტროს ...ის უზრუნველყოფა; ბ) სამინისტროში ...ა; გ) სამინისტროში ...ა, ...ა; დ) სამინისტროს ...ის უზრუნველყოფა; ე) კომპეტენციის ფარგლებში, დეპარტამენტში ...ის განხილვა და შესაბამისი რეაგირება; ვ) სამინისტროს საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი ...ის შექმნა; ზ) სამინისტროს საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი ...ის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა; თ) საჭიროების გათვალისწინებით, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სათანადო ...ით უზრუნველყოფა; ი) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი ...ში მონაწილეობა; კ) მინისტრის ან კურატორი მინისტრის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ, დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება, რომლებიც არ შედის სამინისტროს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენციაში და მიეკუთვნება სამინისტროს მმართველობის სფეროს; ლ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება. წარმოდგენილ უფლებამოსილებებში არსად არის მითითებული საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, შესაბამისად, სასამართლოს აღნიშნული ინტერპრეტაცია ეჭვს ბადებს სასამართლოს მიუკერძოებლობაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.02.2020წ. განჩინებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და სსკ-ის 408.3 მუხლის საფუძველზე, დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრე-



ბული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თელის, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ვ. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 08.08.2018წ. №... ბრძანების ბათილად ცნობა; „ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 16.07.2018წ. №... და 31.07.2018წ. №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა; ვ. ბ-ის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ...ის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო ... ლარი) აღდგენის შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის ვ. ბ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ხელფასის ანაზღაურების დაკისრება, მისი გათავისუფლების დღიდან აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული ხელფასის ყოველთვიური ოდენობით.

პალატა აღნიშნავს, რომ „ვ. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 08.08.2018წ. №... ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელეს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია და ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. ამასთან, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება მიღებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, მხოლოდ სამინისტროს მიმართ არსებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. ამდენად, სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს მხოლოდ 16.07.2018წ. №... და 31.07.2018წ. №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის, სამინისტროსათვის მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენის დავალებისა და მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების შესახებ მოთხოვნების ნაწილში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სისწორე.

დადგენილია, რომ ვ. ბ-ი 2017 წლის 13 იანვრიდან დანიშნული

იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის სამსახურის ...ის ...ის (...ის მიმართულებით) თანამდებობაზე. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 13.01.2017წ. №... ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების 11.2 მუხლის „თ“, „ი“, „კ“ ქვეუბნების შესაბამისად, ...ის სამსახურის ძირითად ამოცანებში შედიოდა დეპარტამენტის ...ით უზრუნველყოფა; დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა; დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 30.06.2017წ. №... ბრძანებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობა 2017 წლის პირველი ივლისიდან გარდაიქმნა პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობებად. ამავე დეპარტამენტის 29.01.2018წ. №... ბრძანებით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის სამსახურის ...ის ...ის თანამდებობა, რომელიც დაკავებული ჰქონდა ვ. ბ. ს., გარდაიქმნა ამავე დეპარტამენტის ...ის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად. ვ. ბ.-ის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა თვეში ... ლარის ოდენობით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 29.01.2018წ. №... ბრძანებით, დანართის შესაბამისად დამტკიცდა „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა“. აღნიშნული ბრძანების დანართში, დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულად მითითებული იყო ...ის სამსახური, რომელიც ითვალისწინებდა პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულს (თანამდებობრივი სარგო – ... ლარი). საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 02.04.2018წ. ... ბრძანებით ცვლილება შევიდა „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მი-

ნისტრის 29.01.2018წ. №... ბრძანებაში და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა განისაზღვრა დანართის შესაბამისად. აღნიშნულ დანართში საავტომობილო გზების დეპარტამენტის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულად მითითებული იყო ...ის სამსახური, რომელიც პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობისათვის ითვალისწინებდა ერთ საშტატო ერთეულს (თანამდებობრივი სარგო – ... ლარი).

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსის 08.05.2018წ. №.. ბრძანებით საავტომობილო გზების დეპარტამენტში გამოცხადდა რეორგანიზაცია და დადგინდა, რომ რეორგანიზაციის შემდეგ მიღებული იქნებოდა დეპარტამენტის ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა, აგრეთვე განხორციელდებოდა დეპარტამენტის შტატების გადაადგილება ან/და შემცირება.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 09.07.2018წ. №7051-2-01 წერილით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს ეცნობა, რომ „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 08.05.2018წ. №... ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული რეორგანიზაციის პირობებში, დაგეგმილია დეპარტამენტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის (სტრუქტურული ქვედანაყოფის) ინსტიტუციური მონყობის შეცვლა და დეპარტამენტის ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის მიღება, დეპარტამენტის შტატების შემცირება, დეპარტამენტის არავაკანტური შტატების გადაადგილება, შესაბამისი თანამდებობების ფუნქციების, იერარქიული რანგებისა და კატეგორიების შეცვლა.

წერილში მითითებულია, რომ დეპარტამენტის ახალი საშტატო ნუსხის პროექტი აღარ ითვალისწინებს დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებს – საავტომობილო გზების ...ისა და ...ის სამსახურებს. აღნიშნული სამსახურების გაუქმებით, მათ ბაზაზე იქმნება ახალი სტრუქტურული ერთეული (ქვედანაყოფი) – ...ის სამსახური. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილში მითითებულ იქნა, რომ საავტომობილო გზების ...ისა და ...ის სამსახურებში შტატების შემცირების, შესაბამისი თანამდებობების იერარქიული რანგის/კატეგორიის ცვლილების გათვალისწინებით, აღნიშნულ სამსახურებ-

ში დასაქმებული მოხელეები, მათ შორის ...ის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვ. ბ-ი განისაზღვრენ გასათავისუფლებელ მოხელეთა სიაში. დეპარტამენტის თავმჯდომარემ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52.1 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 20.04.2017წ. №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ 12.1 მუხლის შესაბამისად, მოხელე, მისი თანხმობით შესაძლებელია გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში, მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, კომპეტენციის გათვალისწინებით. დეპარტამენტის ახალ საშტატო ნუსხაში ზემოაღნიშნულ პირთა კომპეტენციის, თანამდებობის იერარქიული რანგისა და კატეგორიების გათვალისწინებით, არ არის გათვალისწინებული მათი თანამდებობის ტოლფასი ან/და დაბალი თანამდებობა. ამდენად, დღის წესრიგში დგას ზემოაღნიშნულ პირთა შიდა მობილობის საკითხი.

09.07.2018წ. №7051-2-01 წერილის პასუხად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 16.07.2018წ. №... გადაწყვეტილებით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ეცნობა, რომ სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, დაასაქმოს წერილში მითითებული მოხელეები.

ანალოგიური შინაარსის 30.07.2018წ. №..., №..., №..., №... და №... წერილების პასუხად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 31.07.2018წ. №... გადაწყვეტილებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ეცნობა, რომ სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, დაასაქმოს წერილში მითითებული მოხელეები.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 08.08.2018წ. №... ბრძანებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ...ის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2018 წლის 8 აგვისტოდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს იმასთან დაკავშირებით, რომ საშტატო ერთეული, რომელსაც ვ. ბ-ი იკავებდა, არ გაუქმებულა და იმავე ფუნქციით განაგრძო არსებობა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ამასთან, ახლადშექმნილი ...ის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტისათვის დაკისრებული მო-

ვალეობები ვრცელდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტზეც. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ სადავო პერიოდში, ორივე უწყებაში პარალელურად მიმდინარეობდა რეორგანიზაციის პროცესი, საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მოსარჩელისათვის დაკისრებული ფუნქციების შემცველი შტატის უცვლელად გადატანის მიზნის არსებობა საქმის მასალებით არ დასტურდება. კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ისე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულება, რეორგანიზაციის ჩატარებამდეც ითვალისწინებდა ...ის უზრუნველყოფას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით (რეორგანიზაციამდე მოქმედი, საქართველოს მთავრობის 27.12.2016წ. №... დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების“ მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის – ადმინისტრაციული დეპარტამენტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიჩნეული იყო სამინისტროს ...ის უზრუნველყოფა. ამასთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 13.01.2017წ. №... ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუნცებო დანესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების 11.2 მუხლის „თ“, „ი“, „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულის – ...ის სამსახურის ძირითად ამოცანებში შედიოდა დეპარტამენტის ...ით უზრუნველყოფა; დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა; დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა). ამდენად, უდავოა, რომ სამინისტროში, ...ის ამოცანა არსებობდა სამინისტროს ახალი დებულების დამტკიცებამდე და ახალი სტრუქტურული ერთეულის – ...ის დეპარტამენტის ჩამოყალიბებამდე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ყოველივე აღნიშნული, ამყარებს იმ დასკვნის მართებულობას, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტში მოსარჩელის შტატის გაუქმების მიზანი არ ყოფილა შესაბამის შტატში შემავალი ფუნქციების გადატანა სამინისტროში, ამასთანავე, საფუძვლიანია კასატორის მოსაზრება, რომ ახლადშექმნილ დეპარტამენტს, მისთვის განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება ვერ დაევალებოდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართაც, ვინაიდან საავტომობილო გზების დეპარტამენტი სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელ-

მნიფო საქვეყნეებო დანესებულეებაა, ხოლო მინისტრის 02.08.2018წ. №... ბრძანებით დამტკიცებული „სამინისტროს ...ის დეპარტამენტის დებულების“ მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც დეპარტამენტს, მინისტრის ან კურატორი მინისტრის მოადგილის მხრიდან სპეციალურად ევალეება რაიმე სხვა უფლებამოსილების განხორციელება სამინისტროს მმართველობის სფეროს მიკუთვნებული სტრუქტურული ქვედანაყოფის მიმართ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციით დაცულია შრომის თავისუფლება, რაც მოიცავს არა მხოლოდ სამუშაოს არჩევასა და განხორციელების, არამედ შენარჩუნების უფლებასაც. შრომითი უფლებების დაცვის მიზნით, არაერთი საერთაშორისო აქტით განისაზღვრა სახელმწიფოების მხრიდან შესაბამისი ქმედითი მექანიზმების შექმნის ვალდებულება (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“, ევროპის სოციალური ქარტია).

საქართველოში 2017 წლის პირველი ივლისიდან სრულად ამოქმედდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. ახალი კანონი, რომლის მიზნადაც განისაზღვრა კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ახალი პროექტის შემუშავება განაპირობა საჯარო სამსახურის გამართულად ფუნქციონირებისა და ეფექტიანობის გაძლიერების აუცილებლობამ. ახალი სამართლებრივი მიდგომებისა და ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ახალი კანონის მიღება, მოქმედ კანონში ცვლილების შეტანის ნაცვლად. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის პროექტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და მისთვის შესაბამისი გარანტიების შექმნა, პროფესიული საჯარო მოხელის უფლების დაცვის სამართლიანი მექანიზმის შექმნა, მისი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლების დეტალურად ჩამოყალიბება. ამასთან, კანონპროექტით ახლებურად განისაზღვრა საჯარო დანესებულების რეორგანიზაციის შინაარსი და მიზანი. რეორგანიზაციის პროცესში პროფესიული საჯარო მოხელის ინტერესების დაცვის მიზნით, გათვალისწინებულ იქნა მობილობის ინსტიტუტი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით, საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია (კანონი 102.1 მუხლი). ამასთან, რეორგანიზაცია, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, წარმოშობს მობილობის საფუძველს, კერძოდ, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით (კანონის 52.1 მუხლი). მითითებული კანონის 52-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მოხელის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მობილობით სხვა საჯარო დაწესებულებაში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით, ხოლო 110.1 მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით მოხელის გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მოხელის მობილობა (კანონის 110.1 მუხლი).

2017 წლის პირველი ივლისიდან ასევე ამოქმედდა საქართველოს მთავრობის 20.04.2017წ. №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესი“, რომელიც მობილობის მიზნად მიიჩნევს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირების შედეგად თანამდებობიდან გათავისუფლებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა დასაქმების უზრუნველყოფას, საჯარო სამსახურში პროფესიონალი კადრებისა და საჯარო სამსახურის სტაბილურობის შენარჩუნებას. აღნიშნული „წესის“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 12.1 მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო, შტატების შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. 12.2 მუხლის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის უზრუნველყოფის მიზნით, იმავე საჯარო დაწესებულებაში ან მის სისტემაში

მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიმართვიდან ერთი კვირის ვადაში ბიურო ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოიძიებს ინფორმაციას საჯარო სამსახურის სისტემაში არსებული სხვა საჯარო დაწესებულების შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის შესახებ და აცნობებს მას საჯარო დაწესებულებას. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ ბიუროს აწვდის ინფორმაციას მობილობის განხორციელების ან მისი შეუძლებლობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობის 20.04.2017წ. №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, სადავო პერიოდში მოქმედი „წესის“ მე-12 მუხლი, შიდა მობილობის წესით პროფესიული საჯარო მოხელის გადაყვანის შესაძლებლობას ადგენდა როგორც უშუალოდ გასათავისუფლებელი საჯარო მოხელის დამსაქმებელ საჯარო დაწესებულებაში, ისე შესაბამისი საჯარო დაწესებულების სისტემაში (21.05.2020წ. განხორციელებული ცვლილების შემდეგ, მითითებული „წესის“ ახალი რედაქციით ჩამოყალიბებული 12.3 მუხლი ადგენს საჯარო დაწესებულების ვალდებულებას, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებისას გასათავისუფლებელი მოხელის მობილობა განხორციელოს იმავე საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის ან მოხელის თანხმობის არარსებობისას – სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით). ამდენად, სადავო პერიოდში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმოადგენდა მოსარჩელის შიდა მობილობის საკითხის გადაწყვეტაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, ვინაიდან რეორგანიზაცია შტატების შემცირებით განხორციელდა მის სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საავტომობილო გზების დეპარტამენტში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესით დასაქმების საკითხზე მსჯელობის აუცილებლობას წარმოშობს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და შერწყმა, რასაც თან ახლავს შტატების შემცირება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიზნებისათვის, საჯარო დაწესებულებაში რეორგანიზაცია გულისხმობს დაწესებულების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლას, რის შედე-



გადაც მიიღება საჯარო დაწესებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად ითვლება აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში შტატების შემცირება, რაც წარმოადგენს დაწესებულების საქმიანობის ოპტიმიზაციის, მისი კვალიფიკაციური კადრით დაკომპლექტების ერთ-ერთ ღონისძიებას. ამასთან, საჯარო დაწესებულებაში განხორციელებული რეორგანიზაცია მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველს მხოლოდ იმ შემთხვევაში ქმნის, თუ მის მიერ დაკავებული თანამდებობის შესაბამისი საშტატო ერთეული გაუქმდება. „...საშტატო ერთეული გაუქმებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ფუნქციური დატვირთვით ამგვარი თანამდებობა აღარ არსებობს და ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრება სხვა უფლება-მოვალეობები და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული..“ (სუსგ 19.09.2017წ. №ბს-388-385(კ-17)).

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მოსარჩელისათვის დაკისრებული ფუნქციების შემცველი შტატის შემცირების პირობებში განხორციელებული მობილობის პროცედურის კანონიერება. საჯარო დაწესებულებაში შტატის შემცირება შეიძლება უკავშირდებოდეს შესაბამისი ფუნქციების მქონე საშტატო ერთეულის საჭიროების არარსებობას, რის თაობაზეც, მოცემულ შემთხვევაში, მიუთითებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანების პროექტთან დაკავშირებით შედგენილი განმარტებითი ბარათი. აღნიშნული განმარტებითი ბარათის მიხედვით, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელი პროექტების დროული დაგეგმარებისა და საგზაო ინფრასტრუქტურაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით, უნდა გაერთიანდეს საავტომობილო გზების ...ის სამსახური და ...ის სამსახური. შედეგად, უნდა ჩამოყალიბდეს ინფრასტრუქტურის განვითარებისა და პარტნიორობითან ურთიერთობის სამსახური. ამავე განმარტებითი ბარათის მიხედვით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დეპარტამენტის ძველი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული სპეციალისტები ასრულებდნენ ...ის სპეციალისტების ფუნქციას (...) და აღნიშნული წარმოადგენს დეპარტამენტის დამხმარე ამოცანას, გაუქმდა შესაბამისი შტატები და დამხმარე ამოცანათა შესასრულებლად იგეგმება ...ის 1 სპეციალისტის (...) აყვანა.

საკასაციო სასამართლო ასევე საყურადღებოდ მიიჩნევს რეორგანიზაციაზე პასუხისმგებელ პირთა მიერ 28.06.2018წ. შედგე-

ნილი №1 წინადადების ოქმის შინაარსს, რომელიც ასახავს რეორგანიზაციის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს. ოქმში მითითებულია, რომ საავტომობილო გზების ...ის სამსახურისა და ...ის სამსახურის გაუქმების შედეგად, აღნიშნული სამსახურების ბაზაზე, მიზანშეწონილია ახალი სტრუქტურული ერთეულის – ...ის სამსახურის შექმნა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სამი სტრუქტურული ქვედანაყოფი. ამასთან, ...ის სამსახურის შემდეგი ამოცანები: ა) დეპარტამენტის ...ით უზრუნველყოფა; ბ) დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა; გ) დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა, უნდა გაუქმდეს, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს დეპარტამენტის არა ძირითად, არამედ დამხმარე ამოცანებს. ამასთან, შესაბამის ამოცანათა შესრულების უზრუნველსაყოფად, სამომავლოდ შესყიდულ უნდა იქნეს მომსახურება ან/და დამხმარე ამოცანათა შესრულება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მეშვეობით. ამავე პირთა ჯგუფის მიერ 04.07.2018წ. შედგენილი №2 წინადადების ოქმის მიხედვით, უქმდება ...ის სამსახური და შესაბამისად, ...ის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა. ვ. ბ. ის ფუნქცია იყო დეპარტამენტის დებულებით ...ის სამსახურისათვის განსაზღვრული შემდეგი ამოცანების შესრულება: ა) დეპარტამენტის ...ით უზრუნველყოფა; ბ) დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა; გ) დეპარტამენტის ...ის უზრუნველყოფა. აღნიშნული ამოცანები გაუქმდა, ამდენად, აღარ არსებობს მათი შესრულების მიზნით, შესაბამისი ფუნქციის განმახორციელებელი მოხელის დეპარტამენტის საშტატო ნუსხაში განსაზღვრის საჭიროება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულების მართვის მოდელი უნდა იყოს მოქნილი და პასუხობდეს დაწესებულების წინაშე მდგარ ამოცანებს. სწორედ ამ მიზნით, დაწესებულებას ეძლევა შესაძლებლობა, შექმნას იმ ტიპის სისტემა, რომელიც სრულად უზრუნველყოფს მის წინაშე მდგომ გამოწვევებზე რეაგირებას. ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში ასახული ინფორმაციიდან გამომდინარეობს, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტში მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში, დაიგეგმა დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულის – ...ის სამსახურისათვის დაკისრებული იმ ფუნქციების სრულად გაუქმება, რომლის შესრულებაც კონკრეტულ შტატზე უწევდა მოსარჩელეს, ამდენად, დაიგეგმა შტატის სრულად გაუქმება, მასში შემავალი ფუნქციების სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადატანის გარეშე. რეორგანიზაციაზე პასუხისმგებელმა პირებმა ჩათვალეს, რომ ...ის სპეციალისტების (...) ფუნქციის არსებობა დეპარტამენტისათვის ატარებდა დამხმარე ხასიათის, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს ამ ფუნ-

ქციების მქონე შტატები და დამხმარე ამოცანათა შესასრულებლად სამომავლოდ უნდა დაიგეგმოს შესაბამისი მომსახურების შესყიდვა ან/და შესაბამისი დამხმარე ამოცანის შესრულება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მეშვეობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ვ. ბ-ის მიერ დაკავებული თანამდებობის გაუქმება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ერთმნიშვნელოვნად განაპირობა ამ შტატის სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში გატანის დაგეგმვამ და საშტატო ერთეული, რომელსაც ვ. ბ-ი იკავებდა, რეალურად არ გაუქმებულა.

სასამართლოში საქმის განხილვისას დაფიქსირებული პოზიციის მიხედვით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მობილობის წესით მოსარჩელის დასაქმებაზე უარის მიზეზად, ერთი მხრივ, ასახელებს აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტასთან მიმართებაში მისი ვალდებულების არარსებობას, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებს, რომ მოსარჩელის შესაბამისი ფუნქციების მქონე სტრუქტურული ერთეული სამინისტროში შეიქმნა მობილობის პროცესის დასრულების შემდგომ, შესაბამისად, სამინისტრო არარსებული ვაკანსიის პირობებში ვერ იმსჯელებდა მოსარჩელის მობილობის წესით დასაქმებაზე (სამინისტროს ახალი დებულების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა მოსარჩელისათვის 31.07.2018წ. წერილით მობილობაზე უარის თქმიდან მეორე დღე – 2018 წლის პირველი აგვისტო).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მობილობის ინსტიტუტის შემოღება, საჯარო სამსახურის უწყვეტობის, სტაბილურობისა და საჯარო სამსახურში პროფესიონალი კადრის შენარჩუნების მიზანს ემსახურება. მობილობამ უნდა უზრუნველყოს შტატების შემცირების შედეგად თანამდებობიდან გასათავისუფლებელ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ხელახალი დასაქმება. მნიშვნელოვანია, რომ თავდაპირველად, საჯარო დაწესებულება იყენებს შიდა მობილობის მექანიზმს, კერძოდ, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის პროცესში შემცირებულ თანამდებობაზე დასაქმებულ მოხელეს საჯარო დაწესებულება ჯერ სთავაზობს იმავე საჯარო დაწესებულებაში არსებულ ტოლფას თანამდებობას, ხოლო თუ აღნიშნული შეუძლებელია, იწყება გარე მობილობასთან დაკავშირებული პროცედურა – შემცირებას დაქვემდებარებული პირების შესახებ ინფორმაცია მიენიღება საჯარო სამსახურის ბიუროს, რომელიც დადგე-

ნილ ვადაში ელექტრონულად მოიძიებს ინფორმაციას სხვა საჯარო დაწესებულებებში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობების შესახებ. მოხელის რეზერვში ჩარიცხვა უნდა მოხდეს მხოლოდ მობილობის პროცედურის წარუმატებლად დასრულების შემდგომ. ამდენად, მობილობა უნდა განხორციელდეს არა ფორმალურად, არამედ კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით, საჯარო სამსახურის უწყვეტობის, სტაბილურობისა და კვალიფიციური კადრების შენარჩუნების მიზნების გათვალისწინებით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან საავტომობილო გზების დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემის შემადგენელ ნაწილს, სადავო პერიოდში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების საფუძველზე, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სამინისტრო წარმოადგენდა შიდა მობილობის საკითხის გადაწყვეტაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და აღნიშნული წარმოშობა მის ვალდებულებას, დასაქმების შესაძლებლობის ან შეუძლებლობის მიზეზი სათანადოდ დაესაბუთებინა შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამასთანავე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასაბუთების ვალდებულებას არ გამოორიცხავს კასატორის მითითება მობილობის საკითხის განხილვის მომენტისათვის შესაბამისი ფუნქციების მქონე სტრუქტურული ერთეულის არარსებობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელ სპეციალურ კანონმდებლობაში („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში, საქართველოს მთავრობის 20.04.2017წ. №199 დადგენილებით დამტკიცებულ „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესში“) არ არის პირდაპირი მითითება, მობილობის წესით დასაქმებაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული დოკუმენტის სამართლებრივი ბუნების შესახებ, გამოირიცხება მისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევის შესაძლებლობა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, შესაბამისად, მასზე ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესები და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი ბუნება უნდა შეფასდეს ზაკ-ში მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის განმარტებიდან გამომდინარე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე

მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი. ამდენად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სახეზეა, როდესაც იგი მიმართულია ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგებისაკენ და აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განხორციელებულმა ღონისძიებამ უშუალო სამართლებრივი შედეგი უნდა წარმოშვას. აქტის ეს აუცილებელი ელემენტი სახეზე არ არის მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული საჯარო-სამართლებრივი ღონისძიება ემსახურება მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას ან ადგილი აქვს ფაქტობრივ გარემოებათა დადგენის მიზნით განსახორციელებელ მოქმედებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რამდენადაც სადავო პერიოდში სამინისტრო შიდა მობილობის ფარგლებში წყვეტდა მოსარჩელის ხელახალი დასაქმების საკითხს, მას, როგორც შიდა მობილობის განმანხორციელებელ საჯარო სუბიექტს, გააჩნდა ერთიანი სისტემის ფარგლებში მოხელის დასაქმების შეუძლებლობის მიზეზის სათანადოდ დასაბუთების ვალდებულება, აღნიშნული კი გამოორიცხავს გასაჩივრებული 16.07.2018წ. №... და 31.07.2018წ. №... წერილებით მოსარჩელისათვის უშუალო სამართლებრივი შედეგის წარმოშობის შეუძლებლობას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული წერილების გამოცემით შეიცვალა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა – რეორგანიზაციისა და შტატის შემცირების პირობებში, მოსარჩელე ხელახლა ვერ დასაქმდა შიდა მობილობის წესით საჯარო დაწესებულების სისტემის ფარგლებში, მობილობის საკითხის უარყოფითად გადაწყვეტამ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად წარმოშვა შედეგი მოსარჩელესთან მიმართებაში. დაინტერესებული პირი ინფორმირებულია საკითხის იმგვარი გადაწყვეტის თაობაზე, რომ-

ლის არარსებობის შემთხვევაშიც, შეიძლება დამდგარიყო მისთვის სასურველი შედეგი. ამდენად, გასაჩივრებული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 16.07.2018წ. №... და 31.07.2018წ. №... წერილები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია, შესაბამისად, არსებობს ვ. ბ-ის ნაწილში მათი, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შიდა მობილობის წესით პირის დასაქმების შესაძლებლობის შესახებ საკითხის გადანყვეტისას, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, იხელმძღვანელოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესებით, რამდენადაც მის მიერ მისაღები გადანყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი უნდა პასუხობდეს აქტის გამოცემისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით გადანყვეტილების მიღების სავალდებულოობა და ადმინისტრაციული წარმოების პრინციპების დაცვა, საჯარო მმართველობის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების წინაპირობას წარმოადგენს. ადმინისტრაციული წარმოება, როგორც საჯარო მმართველობის განხორციელების საშუალება, უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვას. საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია, დაცულ იქნეს სამართლებრივი დოკუმენტების მაღალი სტანდარტი, რამდენადაც აღნიშნული გავლენას ახდენს სახელმწიფოსადმი მოქალაქის ნდობის ჩამოყალიბებაზე. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, იმგვარად დაასაბუთოს მიღებული გადანყვეტილება, რომ შესაძლებელი გახდეს მისი კანონიერების შემოწმება. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (ზაკ-ის 96.2 მუხლი).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 4.1 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობა აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს სამინისტროების, მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულებების, სახელმწიფო მინისტრის აპარატის, მთავ-

რობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებელი დაწესებულების, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით. ამავე კანონის 25.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულება წარმოადგენს სამინისტროს გამგებლობაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას. ამასთან, როგორც მოქმედი დებულების, ისე სადავო პერიოდის საქართველოს მთავრობის 27.12.2016წ. №... დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების“ მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულება, ხოლო ამავე მე-3 მუხლის თანახმად, სამინისტროს სისტემას შეადგენენ სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულება და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს მთავრობის 27.12.2016წ. №... დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების“ 7.1 მუხლის თანახმად, სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც ერთმმართველობის პრინციპზე დაყრდნობით, საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში, ხელმძღვანელობს სამინისტროს, იღებს გადაწყვეტილებას მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე და ახორციელებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების და სამინისტროს მართვაში არსებული სუბიექტების საქმიანობის წარმართვასა და კოორდინაციას. ამდენად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობის პრინციპია ერთიანობა და ცენტრალიზაცია, ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის, ასევე სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულების სამინისტროსადმი დაქვემდებარება. მინისტრი სათავეში უდგას მასში შემავალი ორგანოების სისტემას და წარმართავს მათ საქმიანობას. სისტემის ერთიანობის პრინციპის ფარგლებში, სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულება, სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ექვემდებარება ერთ ცენტრს – სამინისტროს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამინისტროს ერთიან სისტემაში შემავალი სუბიექტების მიმართ მინისტრის უფლებამოსილებები შეზღუდუ-

ლია (სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების ავტონომიურობის გათვალისწინებით, შესაბამისი საქვეუწყებო დაწესებულების პრეროგატივას წარმოადგენს ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტა), თუმცა სამინისტროს მართვაში არსებული სუბიექტები მოქმედებენ კოორდინირებულად – სამინისტროსთან თავიანთი საქმიანობის შეთანხმებით. ამასთან, სამინისტრო პასუხისმგებელია შესაბამის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაზე.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო პერიოდში საჯარო დაწესებულებაში მობილობის საკითხის წარმოშობის შემდეგ, პირველ რიგში, შესაბამისი დაწესებულების სისტემის შიგნით ტოლფასი თანამდებობის არსებობა/არარსებობის საკითხის გამოკვლევის ვალდებულება, ადასტურებდა ერთიან სისტემაში არსებულ დაწესებულებათა ურთიერთპასუხისმგებლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას. ამ პირობებში, შესაძლებლობის ფარგლებში, შიდა მობილობის წესის ეფექტურად გამოყენება უზრუნველყოფდა შესაბამისი სისტემისათვის საერთო მიზნების განხორციელებას – საჯარო სამსახურში პროფესიონალი კადრის შენარჩუნებას და საჯარო სამსახურის სტაბილურობას. ამდენად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, როგორც მის დაქვემდებარებაში არსებული საქვეუწყებო დაწესებულების საქმიანობის წარმართვასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოს, პროფესიული საჯარო მოხელის უფლების დაცვისათვის შექმნილი სამართლიანი მექანიზმის – მობილობის წესის გამოყენების პირობებში, წარმოეშვა მომეტებული პასუხისმგებლობა, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევით და სათანადო დასაბუთებით მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „კ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასა და გამოცემასთან დაკავშირებული წესების ერთობლიობაა. წარმოების სრულყოფილად ჩატარება კი, განაპირობებს შესაბამისი აქტის დასაბუთებულობას. წერილობით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც იგი გამოიცა. დასაბუთების ვალდებულება არსებობს მაშინაც, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ, ზაკ-ის 53.4 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული



უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მითითებულ უნდა იქნეს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ამასთან, 53.5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ამდენად, გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისას მნიშვნელოვანია, დადგინდეს, თუ როგორ განახორციელა ადმინისტრაციულმა ორგანომ მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება. უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან მობილობის საკითხის გადაწყვეტა მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, იგი არ არის ვალდებული, დაასაბუთოს მობილობაზე უარის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. „...ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავებს მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა, მაშინ როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია“.

(სუს 29.07.2014წ. №ბს-69-67(კ-14) გადაწყვეტილება).

საკასაციო პალატა საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სამინისტროს ახალი დებულება, რომელიც ახალ სტრუქტურულ ერთეულად ითვალისწინებს მოსარჩელის ფუნქციებთან შესაბამისობაში არსებულ ...ის დეპარტამენტს, დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 30.07.2018წ. №... დადგენილებით. ამავდროულად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა №... წერილით მიმართა სამინისტროს და იმ გარემოების გათვალის-

წინებით, რომ სსიპ საჯარო სამსახურის ბიურომ სამინისტროს უწყებაში ხელახლა მოიძია შესაბამისი პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობები, მოითხოვა წერილში მითითებული პირების მიმართ მობილობის საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება. 31.07.2018წ. №... გადაწყვეტილებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ეცნობა, რომ სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, დაასაქმოს წერილში მითითებული მოხელეები, ხოლო ამ გადაწყვეტილების მიღებიდან მეორე დღეს – 2018 წლის პირველ აგვისტოს ამოქმედდა საქართველოს მთავრობის 30.07.2018წ. №... დადგენილებით დამტკიცებული სამინისტროს ახალი დებულება. ამდენად, მართალია, მოსარჩელის მობილობის წესით დასაქმებაზე უარის შესახებ 31.07.2018წ. აქტის გამოცემის თარიღი წინ უსწრებს სამინისტროს ახალი დებულების ძალაში შესვლის თარიღს (...წ.), თუმცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვალდებულება, დაესაბუთებინა მოსარჩელის მობილობის წესით დასაქმების შესაძლებლობის ან შეუძლებლობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, წარმოიშვა სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციის პირობებში, რომელიც მიზნად ისახავდა მოსარჩელისათვის საავტომობილო გზების დეპარტამენტში დაკისრებული ფუნქციების მსგავსი ან იდენტური შინაარსის ფუნქციების მქონე ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას სამინისტრომ დაადასტურა ახლადშექმნილ ...ის დეპარტამენტში მოსარჩელესთან შესაბამისობაში არსებული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის ვაკანტურობა. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო შემთხვევის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შიდა მობილობის ფარგლებში მოსარჩელის საკითხის უარყოფითად გადაწყვეტა სათანადო დასაბუთების გარეშე, მიუთითებს სამინისტროს მხრიდან მობილობის წესის ეფექტურად გამოყენებასთან მიმართებაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გამორიცხვას და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში მობილობის ინსტიტუტის დამკვიდრების მიზნის უგულვებელყოფას. დაწესებულებაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესში, პროფესიული საჯარო მოხელის ინტერესების დაცვის მიზნით, მხოლოდ სათანადო დასაბუთებით და კანონით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით, გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევის შედეგად უნდა გამოირიცხოს საჯარო სამსახურში კადრის შენარჩუნების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტები – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 16.07.2018წ. №... და 31.07.2018წ. №... გადაწყვეტილებები, ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში გამოცემულია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე. აქტები არ შეიცავენ მითითებას მათი გამოცემის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე, შესაბამისად, არსებობს ასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების აუცილებლობა: სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 16.07.2018წ. №... და 31.07.2018წ. №... გადაწყვეტილებები, ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვ. ბ-თან დაკავშირებით უნდა დაევალოს ახალი ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნებს, მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენისა და მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამსახურში დანიშვნისას საჯარო მოხელეს წარმოეშობა თანამდებობრივი სარგოს გარანტირებულად მიღების გონივრული მოლოდინი. ამასთან, საჯარო მოხელის გათავისუფლების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მაშინ, როდესაც დადასტურებულია კანონიერი საფუძვლის გარეშე მოხელის სამსახურიდან დათხოვნის ფაქტი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, მოხელის სამსახურში აღდგენისა და მისთვის განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას აღგენს იმ შემთხვევაში, როდესაც ზემდგომი ორგანო ან სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ (კანონის 118.3, 118.4 მუხლები). თანამდებობაზე აღდგენა გულისხმობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, პირის იმ თანამდებობაზე დაბრუნებას, საიდანაც ის უკანონოდ იქნა გათავისუფლებული, ან ტოლფასი თანამდებობის შეთავაზებას. ამასთან, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს შრომის ანაზღაურებას დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს. ამდენად, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, მოხელის თანამდებობაზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების მოლოდინი უნდა დაუკავშირდეს უშუალოდ იმ ორგანოს, რომელმაც იგი თანამდებობიდან უკანონოდ გაათავისუფლა. მოცემულ შემთხვევაში, კანონიერ ძალაშია მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სა-

ავტომობილო გზების დეპარტამენტის 08.08.2018წ. №... ბრძანება (არ გასაჩივრებულა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღნიშნული ბრძანების ძალაში დატოვების ნაწილში), თუმცა მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენისა და მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების შესახებ მოთხოვნა დაყენებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიმართ, რომელმაც მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება მოსარჩელის მობილობის წესით დანიშვნის საკითხზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მობილობის წესით დანიშვნაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, იმავდროულად არ ნიშნავს პირის თანამდებობიდან გათავისუფლებას. მობილობასთან დაკავშირებული პროცედურის დასრულების შემდგომ, პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულება, რომელშიც შტატის შემცირების გამო მოხელის დარჩენა შეუძლებელია. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მობილობაზე უარის შესახებ შესაბამისი დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფარგლებში ვერ მოექცევა ის თანმდევი შედეგები, რომლებიც თანახმაა პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენდა უშუალოდ მობილობის წესით დანიშვნის საკითხის გადამწყვეტ ორგანოში დასაქმებულ პირს, ამდენად, მისი უფლების დარღვევის შესაძლებლობა უშუალოდ ამ ორგანოს მხრიდან, შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმაში. მობილობაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების შესაძლო უკანონობას, თანმდევი შედეგის სახით ვერ დაუკავშირდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლით გათვალისწინებული პირის თანამდებობაზე აღდგენისა და მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესაძლებლობა. მობილობაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სამინისტრომ შეიძლება იმსჯელოს არა მოსარჩელის თანამდებობის აღდგენისა და მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების, არამედ მისი შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, რამდენადაც, მობილობა, თავისი არსით, ხელახალი დასაქმების მექანიზმია და გულისხმობს პირის იმავე ან სხვა დაწესებულებაში არსებულ თანამდებობაზე შესაძლო დანიშვნას, კონკურსით გათვალისწინებული პროცედურის გარეშე. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნები, რომლებიც საქართველოს რეგიონული გან-

ვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენას და მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრებას უკავშირდება. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ შიდა მობილობის წესით დასაქმებაზე უარის თქმის უკანონობის დადასტურება, ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებებით გამოწვეული უარყოფითი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, არ გამორიცხავს საჯარო მოხელის უფლებას, მოითხოვოს კონსტიტუციით გარანტირებული, სახელმწიფო ორგანოსაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2019წ. განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ.

ასკ-ის 9.1 მუხლის საფუძველზე, მხარეები განთავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ვ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 16.07.2018წ. №... და 31.07.2018წ. №... გადაწყვეტილებები ვ. ბ-ის დასაქმებაზე უარის თქმის ნაწილში და სა-

ქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დავევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა;

5. დანარჩენ ნაწილში ვ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაპრის უფლებამოსილების ვალდებულ შეწყვეტის კანონიერება**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-1489(კ-18)

07 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ქ. ცინცაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ქ-მა 03.11.2015წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.10.2015წ. №40 განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გ. ქ-ი 2006 წელს არჩეულ იქნა ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად, 04.11.2014წ. მან დატოვა საკრებულოს სხდომა და სხდომებს აღარ დასწრებია 2015 წლის 02 მარტამდე, თუმცა აგრძელებდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილებების შესრულებას და ამ საქმიანობის ფარგლებში ადგილზე ხვდებოდა თავის ამომრჩევლებს. 02.03.2015წ., ე.ი. არასრული 4 თვის შემდეგ, ის გამოცხადდა საკრებულოს სხდომაზე მასში მონაწილეობის მისაღებად, ხელი მოაწერა სხდომაზე დასწრების უწყისს, შემდეგ ჩავიდა აფთიაქში, უკან დაბრუნებულს საკრებულოს ეზოს კარებთან დახვდნენ პირები, რომლებმაც პოლიტიკური მო-

საზრებებიდან გამომდინარე მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და არ შეუშვეს საკრებულოს შენობაში. პროტესტის ნიშნად სხდომიდან გამოვიდნენ საკრებულოს წევრები – მ. უ-ი და ი. გ-ი. ძალადობამ უარყოფითად იმოქმედა მოსარჩელის ჯანმრთელობაზე, 15.04.2015წ. შპს „...ში“ დაუდგინდა დიაგნოზი – არასტაბილური სტენოკარდია, დაენიშნა მედიკამენტოზური მკურნალობა ფიზიკური დატვირთვის აკრძალვით მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში, ამდენად, 2014 წლის 04 ნოემბრიდან მოსარჩელეს არასაპატიო მიზეზის გამო საკრებულოს სხდომებში არ მიუღია მონაწილეობა 4 თვის განმავლობაში, 2015 წლის 02 მარტამდე. ამდენად, ექვსთვიანი ახალი ვადის ათვლა 15.05.2015წ. დაიწყო. მოსარჩელე 03.08.2015წ. გამოცხადდა საკრებულოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, რა დროსაც მას დახვდა გამგებლის მოადგილის შვილი, თანმხლებ პირებთან ერთად, რომლებმაც არ აუშვეს სხდომათა დარბაზში. ამ ფაქტმა უარყოფითად იმოქმედა მოსარჩელის ჯანმრთელობაზე, 25.08.2015წ. მას განმეორებით ჩაუტარდა გულის კორონარული სტენდირება, იგივე განმეორდა 07.09.2015წ.. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის რიგგარეშე სხდომა 14.09.2015წ. ჩატარდა, დასკვნის მიხედვით მას არასაპატიო მიზეზით საკრებულოს მუშაობაში არმონაწილეობის გამო შეუწყდა ვადამდე უფლებამოსილება, რაც მოსარჩელის აზრით არასწორია, რადგან 2015 წლის 15 მაისიდან 6-თვიანი ვადა იწურებოდა 15 ნოემბერს. საკრებულოს 05.10.2015წ. №40 განკარგულებით მოსარჩელეს ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლი ითვალისწინებს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას არასაპატიო მიზეზით საკრებულოს მუშაობაში არმონაწილეობის შემთხვევაში, მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საკრებულოს შენობაში არშეშვების ფაქტებს, რის ნიადაგზეც მოსარჩელეს განუვითარდა გულის სტენოკარდია. ამდენად, არსებობს საპატიო მიზეზი, რომელიც არ იქნა გამოკვლეული. მოსარჩელემ მოითხოვა საკრებულოს 05.10.2015წ. №40 განკარგულების ბათილად ცნობა, მოსარჩელემ ასევე იშუამდგომლა სადავო აქტის მოქმედების შეჩერება.

გორის რაიონული სასამართლოს 04.11.2015წ. განჩინებით საქმე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.11.2015წ. განჩინებით გ. ქ-ს უარი ეთქვა საკრებულოს სადავო გადაწყვეტილების შეჩერებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის გადაწყვეტილებით გ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.10.2015წ. №40 განკარგულება და ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ საქართველოს ყველა მოქალაქისათვის სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერი თანამდებობის დაკავების უფლებაზე, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების ვალდებულებაზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე და 23-ე მუხლებზე, რომელთა მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება უშუალოდ მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში და თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში. ყველას აქვს შრომის სამართლიანი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მათ შორის არ დაუშვას პირის შრომითი პირობების იმგვარად დადგენა, რომელიც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს. სასამართლომ მიუთითა აგრეთვე, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძველებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს. კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო (23.1 მუხ.). მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომებს თვეში ერთხელ მა-



ინცი ინვევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (26.1 მუხლი). ზემოაღნიშნული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსი არის მისი კანონით განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი განვევა დაუშვებელია. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავისი მოვალეობების შესრულებისას შეზღუდული არ არის ამომრჩევლებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანების განაწესებითა და დავალებებით (40.3 მუხ.). მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე (40.6 მუხ.). სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ.ქ-ი 2006 წელს არჩეულ იქნა ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.10.2015წ. №40 განკარგულებით საკრებულოს წევრს გ. ქ-ს, 2015 წლის 6 ოქტომბრიდან, ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება. განკარგულების თანახმად, ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.10.2015წ. წარედგინა სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა გ. ქ-ის არასაპატიო მიზეზით 6 თვის განმავლობაში საკრებულოს მუშაობაში არ მონაწილეობის შესახებ. წარდგენილი დასკვნით დადასტურებული იყო, რომ ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გ. ქ-ი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში არ მონაწილეობდა ზედიზედ 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში 2014 წლის 4 ნოემბრიდან 2015 წლის 3 სექტემბრამდე. ამდენად, გ. ქ-ის უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტობრივი საფუძველი გახდა საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობა 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, რომლის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ქ-ი საკრებულოს სხდომებში არ მონაწილეობდა 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის თებერვლის ჩათვლით. ამასთან ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 02.03.2015წ. №4 სხდომის ოქმით ირკვევა, რომ გ. ქ-მა სხდომის დაწყებამდე დასწრების უწყისს ხელი მოაწერა, მაგრამ სხდომას

არ დასწრებია. აღნიშნულს ადასტურებს მოცემულ დღეს შედგენილი სხდომაზე დასწრების ორი უწყისი, რომელთაგან ერთი შევსებულ იქნა საკრებულოს წევრთა მიერ სხდომის დაწყებამდე, სადაც საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად ფიქსირდება მოსარჩელის ხელმოწერაც, ხოლო მეორე უწყისი შედგენილ იქნა სხდომის დაწყების შემდგომ, სადაც მოსარჩელის ხელმოწერა არ ფიქსირდება. ოქმის თანახმად, მეორე უწყისის შექმნის საჭიროება მას შემდეგ შეიქმნა, რაც გამოიკვეთა, რომ სხდომას არ ესწრებოდნენ ის წევრები, რომელთაც გავლილი ჰქონდათ რეგისტრაცია. ამდენად, გ. ქ-ს მონაწილეობა არ მიუღია საკრებულოს 02.03.2015წ. სხდომაზე, თუმცა გამოკვლევას და დასაბუთებას საჭიროებს სხდომაზე არ დასწრების მიზეზი. სასამართლომ მიუთითა მოსარჩელის განმარტებაზე, მასზედ, რომ იგი რეგისტრაციის გავლის შემდეგ ჩავიდა ავთიაქში წამლის საყიდლად, თუმცა უკან დაბრუნებულს საკრებულოს შენობაში შესვლის შესაძლებლობა არ მისცეს გამგებლის მოადგილე მ. ბ-მა და ...ის დირექტორმა ს. ბ-მა, ასევე, გამგებლის სპეციალისტებმა ნ. ოქ-ემ და ვ. ქ-მა, რომლებმაც მიაყენეს მას სიტყვიერი შეურაცხყოფა და არ შეუშვეს საკრებულოს შენობაში. მოსარჩელის მიერ დასახელებული პირები სასამართლოს მიერ დაკითხულ იქნენ სასამართლო სხდომაზე მონწილის სახით. მოწმეთა მიერ არ იქნა დადასტურებული მოსარჩელის მიერ გაჟღერებული გარემოება, მათ უარყვეს, რომ მოსარჩელესთან მოცემულ დღეს ჰქონდათ რაიმე სახის შელაპარაკება. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონით დადგენილი წესით ვერ დასტურდება მოსარჩელისთვის საკრებულოს შენობაში შეშვების აკრძალვის ფაქტი. სხდომაზე დასწრების უწყისზე ხელმოწერასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ საკრებულოს სხდომაზე მონაწილეობის მიღებად ვერ ჩაითვლება წევრის მიერ უწყისზე მხოლოდ ხელმოწერა. სხდომაზე მონაწილეობის მიღება მისი ლოგიკური განმარტებიდან გამომდინარე შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს მუშა პროცესში – დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთა განხილვაში მონაწილეობის მიღება, კენჭისყრაში მონაწილეობა, ასევე, თავის შეკავება კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე საკრებულოს სხდომებში მონაწილეობას არ იღებდა 2014 წლის ნოემბრიდან, შესაბამისად 6-თვიანი ვადა იწურება აპრილში. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნდა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სხდომებზე გ. ქ-ის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობის საკითხს. სასამართლომ მიუთითა საქმეში დაცულ მტკიცებულებებზე, რომლებითაც დასტურდება, რომ ...ის მუნიციპალიტეტის მორიგი სხდომა 2015 წლის აპრილში ჩატარდა 6 რიცხვში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ გ. ქ-ს აპრილის თვეში ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, კერძოდ, შპს „...იდან“ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის თანახმად, მოსარჩელემ სამედიცინო დაწესებულებას მიმართა 15.04.2015წ., ჩივილით – ტკივილი გულის არეში. გ. ქ-ს ოფიციალურად არ უცნობებია ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების და ამ მიზეზით საკრებულოს სხდომებზე გამოუცხადებლობის შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულაცია ზუსტად არ განსაზღვრავს თუ რა გარემოება შეიძლება მიჩნეულ იქნეს საპატიო გარემოებად, უპირველესად ჯანმრთელობის გართულებული მდგომარეობა შეიძლება გახდეს პირისთვის მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო გარემოება, რაც სათანადოდ უნდა დადასტურდეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაბამისი შიდა რეგულაციების არარსებობის პირობებში ადმინისტრაციული ორგანო უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით. სასამართლომ მიუთითებს სზაკ-ის 53.5 და 96.1 მუხლების მოთხოვნებზე, აგრეთვე საქმის განხილვისას მონმის სახით მოწვეულ საკრებულოს წევრების ჩვენებებზე, მათ შორის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ა. ტ-ის ჩვენებაზე, რომელმაც დაადასტურა, რომ სხვადასხვა დროს და განსხვავებული წყაროებით ინფორმირებულნი იყვნენ გ. ქ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. გ. ქ-ის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი შესწავლილ იქნა და დასკვნა გამოიცა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ. კომისიის რიგგარეშე სხდომა შედგა 14.09.2015წ., კომისიის №12 სხდომის ოქმის თანახმად, კომისიამ განიხილა საკრებულოს მიერ მიწოდებული დოკუმენტაცია გ. ქ-თან დაკავშირებით. დოკუმენტაცია შეეხებოდა საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე მოსარჩელის დასწრება/გამოცხადებას. ამასთან მითითებულია, რომ ფრაქციის ოქმები ფიზიკურად არ არსებობს. სხვა მტკიცებულება კომისიის მიერ არ შესწავლილა და არ გამოკვლეულა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სხდომაზე მონაწილეობის მიუღებლობა 2014 წლის ნოემბრიდან 6 თვის განმავლობაში სადავო გარემოებას არ წარმოადგენს (გარდა მარტის თვეში ჩატარებული სხდომისა, სადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე არასაპატიო მიზეზით არ იღებდა მონაწილეობას სხდომაზე), თუმცა კომისიის კვლევის საგანი უნდა გამხდარიყო საპატიო მიზეზი ჰქონდა თუ არა გ. ქ-ს საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობისას. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მიუხედავად მოსარ-

ჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კომისიის წევრთათვის ინფორმაციის არსებობისა, არ არის გამოკვლეული ჰქონდა თუ არა ადგილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი სახით გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება ჩათვალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევით მიღებულ გარემოებად. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმები (მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა; მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირება; მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა; ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმები) ერთობლიობაში და ცალ-ცალკეც წარმოადგენს საკრებულოს წევრის მუშაობის საქმიანობის სახეს, ერთ-ერთის განხორციელებაც მიიჩნევა საკრებულოს საქმიანობაში ჩართვად. განსახილველ შემთხვევაში კომისიამ არ შეისწავლა გ. ქ-ის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების საკითხი. სასამართლომ მიუთითა კომისიის მითითებაზე, რომ საკრებულოს აპარატში არ არებობს ფრაქციის სხდომის ოქმები და შესაბამისად ფრაქცია არ ახორციელებდა საქმიანობას საკრებულოს ფარგლებს გარეთ. სასამართლომ მიუთითა აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს მიერ გაცემულ დოკუმენტზე, სადაც მითითებულია, რომ ი. ჯ-ი და ჯ. ბ-ი გაფრთხილებულ იქნენ, რომ შემდგომში მ. უ-ს არ მიაყენებდნენ არანაირ შეურაცხყოფას. სასამართლო სხდომაზე მოწვეულ მოწმეთა მიერ დადასტურებულ იქნა გარემოება მასზე, რომ ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 07.09.2015წ. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე საჭირო გახდა პატრულის გამოძახება. მოწმებმა დაადასტურეს, ასევე, რომ საპატრულო პოლიცია იმყოფებოდა საკრებულოს სხდომის მიმდინარეობის პერიოდში საკრებულოს მიმდებარე ტერიტორიაზე. მოსარჩელე, მოწმე მ. უ-ი და ი. გ-ი ადასტურებენ ფაქტს მასზე, რომ 2015 წლის 7 სექტემბერს ი. ჯ-ი და ჯ. ბ-ი არ აძლევდნენ უფლებას გ. ქ-ს შესულიყო საკრებულოს შენობაში და დასწრებოდა სხდომას. აღნიშნული გარემოება გახდა სიტუაციის დაძაბვისა და საპატრულო პოლიციის გამოძახების მიზეზი. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის სექტემბრის სხდომაზე მომხდარი გარემოება გავლენ

ნას ვერ მოახდენს გ. ქ-ის უფლებამოსილების საკითხის შეწყვეტაზე, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გამოეკვლია და შეესწავლა რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი მსგავს ფაქტებს 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის მაისამდე პერიოდში.

აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სადავო აქტის სასკ-ის 32.4 მუხლის მიხედვით ბათილად ცნობის და საქმის გარემოებების სრულად გამოკვლევის შემდეგ ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და გ. ქ-მა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.03.2018წ. გადაწყვეტილებით ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ქ-ის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.10.2015წ. №40 განკარგულება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გ. ქ-ი არ ესწრებოდა ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს 2014 წლის 17 ნოემბრიდან 2015 წლის 27 თებერვლის ჩათვლით. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 02.03.2015წ. სხდომაზე, დასწრების უწყისის თანახმად, გამოცხადდა და უწყისს ხელი მოაწერა საკრებულოს 9 ნევრმა, მათ შორის გ. ქ-მა, ი. გ-მა და მ. უ-მა. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 02.03.2015წ. №4 სხდომის ოქმის მიხედვით, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის 9 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 8 წევრი, მათ შორის, გ. ქ-ი, ი. გ-ი და მ. უ-ი. საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომაზე გასატანი საკითხები. საკრებულოს წევრებმა მ. უ-მა და ი. გ-მა განაცხადეს, რომ არ მიიღებდნენ კენჭისყრაში მონაწილეობას, არ დაესწრებდნენ საკრებულოს სხდომას და დატოვეს სხდომათა დარბაზი. საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეგლოთ ხელახალი რეგისტრაცია, ვინაიდან საკრებულოს სხდომის უწყისზე დაფიქსირებული იყო ყველა დეპუტატის ხელმოწერა, მაგრამ საკრებულოს ორმა დეპუტატმა – ი. გ-მა და მ. უ-მა პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომა, ხოლო დეპუტატი – გ. ქ-ი სხდომაზე საერთოდ არ გამოცხადდა. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 02.03.2015წ. სხდომაზე, დასწრების ახალი უწყისის თანახმად, გამოცხადდა და უწყისს ხელი მოაწერა საკრებულოს ექვსმა წევრმა, უწყისზე არ ფიქსირდება გ. ქ-ის, მ. უ-ის და ი. გ-ის

ხელმოწერა. სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ასახულია ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა (ე. ბ-ი, ზ. ოქ-ე, მ. ქ-ი, ა. კ-ი და ა. ტ-ი) მიერ 06.04.2015წ. შედგენილ აქტში.

სასამართლომ მიუთითა აგრეთვე, რომ გ. ქ-ი არ ესწრებოდა ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს 2015 წლის 3 აპრილიდან 2015 წლის 3 აგვისტოს ჩათვლით. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 07.09.2015წ. №11 სხდომის ოქმისა და ამავე სხდომაზე დასწრების აღრიცხვის თანახმად, სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 9 წევრი, მათ შორის, გ. ქ-ი. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 07.09.2015წ. №11 სხდომის ოქმისა და ამავე სხდომაზე დასწრების უწყისის თანახმად, სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ცხრავე წევრი, მათ შორის, გ. ქ-ი. 03.11.2015წ. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა (ნომრიდან ...) ...ის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს გ. ქ-ს (ნომერზე ...) სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით აცნობა, რომ 14.09.2015წ. 12:00 სთ. საკრებულოს აპარატის ოთახში ტარდებოდა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა, სადაც განხილვებოდა გ. ქ-ის, როგორც საკრებულოს წევრის მიერ 6 თვის განმავლობაში საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის საკითხი, რაზეც მოსაზრებების წარდგენა შეეძლო. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 14.09.2015წ. №12 რიგგარეშე სხდომის ოქმის თანახმად, სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე ა. ტ-ი, კომისიის წევრები – ე. ბ-ი და ზ. ო-ე. სხდომას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი გ. ქ-ი. სხდომაზე განსახილველ დღის წესრიგს შეადგენდა: ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ. ქ-ის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვა. დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ. ქ-ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში არმონაწილეობის შესახებ. კერძოდ, აღინიშნა, რომ საკრებულოს წევრი გ. ქ-ი საკრებულოს მუშაობაში არ მონაწილეობდა ზედიზედ 9 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, 2014 წლის 4 ნოემბრიდან 2015 წლის 3 სექტემბრის ჩათვლით. კომისიები, რომლის წევრიც გ. ქ-ია და ფრაქციის ოქმები ფიზიკურად არ არსებობს. ამასთან, საკრებულოს აპარატის მიერ წარდგენილ იქნა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ საკითხები რომლებიც განსახილველად გადა-

ცემული ჰქონდა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას 2014 წლის 2 ოქტომბრიდან 2015 წლის 3 სექტემბრის ჩათვლით, იმის გამო, რომ არ ტარდებოდა კომისიის სხდომები, განხილულია სხვა კომისიის მიერ. სასამართლომ მიუთითა საკრებულოს სხდომის ოქმზე, სადაც მითითებულია, რომ გ. ქ-მა მიუხედავად იმისა, რომ გაფრთხილებულ იქნა საპატიო მიზეზების წარდგენის შესახებ, არ წარადგინა ინფორმაცია და არც კომისიის სხდომაზე გამოცხადდა. კომისიამ ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით დადგენილად მიიჩნია, რომ ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გ. ქ-ი 9 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, 2014 წლის 4 ნოემბრიდან 2015 წლის 3 სექტემბრის ჩათვლით, არ მონაწილეობდა ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დასკვნის დამტკიცებისა და ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე წარდგენის შესახებ. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 14.09.2015წ. დასკვნის თანახმად, კომისიამ განიხილა საკითხი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში გ. ქ-ის არმონაწილეობის შესახებ და დადგინდა, რომ იგი ზედიზედ 9 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, 2014 წლის 4 ნოემბრიდან 2015 წლის 3 სექტემბრის ჩათვლით, არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში და არ წარადგინა გაცდენის საპატიო მიზეზი, რის გამოც არსებობს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 21.09.2015წ. №12 სხდომის ოქმის თანახმად, ბიურომ ერთხმად გადაწყვიტა „...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ. ქ-ის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ განკარგულების პროექტის შეტანა საკრებულოს 05.10.2015წ. სხდომის დღის წესრიგში პირველ საკითხად, მომხსენებლად განისაზღვრა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ა. ტ-ი. ბიუროს სხდომას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი გ. ქ-ი. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.10.2015წ. №12 სხდომის ოქმის თანახმად, დღის წესრიგში განისაზღვრა „...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ. ქ-ის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა, რომელთან დაკავშირებით, ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 9 წევრმა. კენჭისყრის შედეგად მომხრე აღმოჩნდა 6 წევრი, წინააღმდეგი – 3. კენჭისყრის შედეგის გათვალისწინებით მიღებულ იქნა განკარგულება „...ის მუნიციპალიტე-

ტის საკრებულოს წევრის გ. ქ-ის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.10.2015წ. №40 განკარგულებით საკრებულოს წევრს გ. ქ-ს შეუწყდა უფლებამოსილება ვადამდე 2015 წლის 6 ოქტომბრიდან.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ...ის სამმართველოს მე-5 განყოფილების დეტექტივის თანაშემწე გამომძიებლის მიერ შედგენილ ჯ. ბ-თან გასაუბრების შესახებ 07.09.2015წ. ოქმზე, რომლის მიხედვით, ჯ. ბ-მა განაცხადა, რომ მუშაობს სოფელ ...ის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, 07.09.2015წ. სამსახურში ყოფნისას მას და მისი გუნდის წარმომადგენლებს სიტყვიერი დაპირისპირება მოუვიდათ ...ის წარმომადგენლებთან. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა აგრეთვე ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ...ის სამმართველოს მე-5 განყოფილების დეტექტივის თანაშემწე გამომძიებლის მიერ შედგენილ ზეპირი გასაუბრების შესახებ 07.09.2015წ. ოქმზე, რომლის მიხედვით, ...ის მუნიციპალიტეტის ...ის ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელმა ი. ჯ-მა განაცხადა, რომ 07.09.2015წ. სამსახურში ყოფნისას საკითხის ერთად განხილვის შესახებ კანონიერ მოთხოვნაზე უარი განაცხადა ...ის წარმომადგენელმა, რაშიც ჩაერია მ. უ-ი და მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა, მანვე აღნიშნა, რომ დაახლოებით სამი თვით ადრე მ. უ-მა მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა. 17.04.2015წ. შპს „...ის“ მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის თანახმად, გ. ქ-ი სტაციონარში მოათავსეს 15.04.2015წ., ხოლო განერეს – 17.04.2015წ., დიაგნოზის სახით მიეთითა: გიდ. არასტაბილური სტენოკარდია, კორონაროგრაფია, კორონალური სტენტირება. სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ 31.08.2015წ. გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის თანახმად, გ. ქ-ი სტაციონარში მოათავსეს 25.08.2015წ., განერეს იმავე დღეს, დიაგნოზის სახით მიეთითა: გიდ. არასტაბილური სტენოკარდია, კორონაროგრაფია, კორონაროგრაფია-სტენტირება, არტერიული ჰიპერტენზია, გულის ქრონიკული უკმარისობა, დაენიშნა მკურნალობა და გაენია რეკომენდაცია.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომებს თვეში ერთხელ მაინც იწვევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. ამავე მუხლით გათვალისწინებულია საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წესი და პროცედურა. მითითებული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თა-



ნახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსი არის მისი კანონით განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი განვევა დაუშვებელია. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავისი მოვალეობების შესრულებისას შეზღუდული არ არის ამომრჩევლებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანების განაწესებითა და დავალებებით. აღნიშნული მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილია, რომ თავისუფალი მანდატი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ამომრჩევლებთან მუშაობისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან, მე-6 ნაწილის შესაბამისად კი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში. დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.10.2015წ. №40 განკარგულებით საკრებულოს წევრს გ. ქ-ს, 2015 წლის 6 ოქტომბრიდან, ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება იმ მიზეზით, რომ საკრებულოს მუშაობაში არ მონაწილეობდა ზედიზედ 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, 2014 წლის 4 ნოემბრიდან 2015 წლის 3 სექტემბრამდე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონმდებლობით საკრებულოს წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია არა საკრებულოს მუშაობაში ნებისმიერი მიზეზით მონაწილეობის მიუღებლობა, არამედ უნდა დასტურდებოდეს არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ვინაიდან მოსარჩელე საკრებულოს სხდომაზე მონაწილეობას არ იღებდა 2014 წლის ნოემბრიდან, ამიტომ უნდა დადგინდეს ამ პერიოდის დიან ექვსი თვის განმავლობაში მოსარჩელის მიერ საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობის მიზეზები. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქალაქო სამართლოს განმარტებას, რომ ...ის მუნიციპალიტეტის მორიგი

სხდომა ჩატარდა 06.04.2015წ. გ. ქ-ს 2015 წლის აპრილში ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, რაც დასტურდება შპს „...იდან“ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, პირის ავადმყოფობა, რაც შეუძლებელს ხდის საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობას ან მნიშვნელოვნად ართულებს მას, უპირობად უნდა იქნეს მიჩნეული საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიუძღობის საპატიო მიზეზად. ამასთან, სადავო ურთიერთობის სფეროში მოქმედი კანონით განსაზღვრული არ არის არასაპატიო მიზეზის დადასტურების წესი, რის გამოც საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს კანონიერების, პირის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას კანონიერების პრინციპის დაცვის, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღებისას მისი დასაბუთების აუცილებლობის თაობაზე (სზაკ-ის 5.2, 53.5 მუხ.) და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოწმის სახით დაკითხული საკრებულოს წევრების მიერ, მათ შორის, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ა. ტ-ის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ სხვადასხვა დროს და განსხვავებული წყაროებით ისინი ინფორმირებულნი იყვნენ გ. ქ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისიისათვის ცნობილი იყო გ. ქ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, კომისიამ საკითხი განიხილა საპატიო მიზეზის არსებობის ფაქტის გადამოწმების გარეშე, რაც სასამართლოს მოსაზრებით, ეწინააღმდეგება კანონიერებისა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად გადაწყვეტილების მიღების პრინციპებს. სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 06.04.2015წ. გამართულ საკრებულოს სხდომაზე გ. ქ-ის მიერ მონაწილეობის მიუძღობლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით – ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სადავო აქტის სასკ-ის 32.4 მუხლით ბათილად ცნობის საფუძვლები, ვინაიდან აღნიშნულ ნორმას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. განსახილველ შემთხვევაში საქმეში დაცული მტკიცებულებების და სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად სავსებით შე-

საძლებელია სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტა, რადგან დასტურდება სადავო პერიოდში გ. ქ-ის საკრებულოს სხდომაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სზაკ-ის 60<sup>1</sup>1 მუხლის თანახმად სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს ქმნიდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.03.2018წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას და აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ არის სათანადოდ დასაბუთებული. საქმის მასალებით და მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ გ. ქ-ი 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, მას გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი საკრებულოსთვის ოფიციალურად არ უცნობებია. გასაჩივრებული განკარგულების გამოცემამდე გ. ქ-ს ეცნობა, რომ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაზე განიხილებოდა მისი სამსახურიდან განთავისუფლების საკითხი, რითიც მას მიეცა შესაძლებლობა წარმოედგინა გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტები. გ. ქ-ი არ გამოცხადდა კომისიის სხდომაზე, რის შემდეგაც სხდომაზე განხილული იქნა 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მისი სამსახურში გამოუცხადებლობის საკითხი. მიჩნეული იქნა, რომ არ არსებობდა გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მხედველობაში იქნა მიღებული აგრეთვე მასზე დაკისრებული სამუშაოს შეუსრულებლობის გამო საკრებულოსთვის მიყენებული ზიანი, რაც გამოიხატა სხვა პირებისთვის მისი მოვალეობის დაკისრებასა და გ. ქ-ის სამსახურში გამოუცხადებლობის მთელი პერიოდის მანძილზე მისთვის ხელფასის დარიცხვაში. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიღებული იქნა განკარგულება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება გ. ქ-ის სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზების გამოკვლევის გარეშე გასაჩივრებული აქტის მიღების თაობაზე, ვინაიდან საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულება საკრებულოს არ გააჩნდა, ამგვარი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. სასამართლოს მიერ საკითხის განხილვისას გ. ქ-ის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაცია არ ადასტურებს სამსახურში გამოცხადების შეუძლებლობას, ვინაიდან სამედიცინო ცნობებში მითითებული არ არის სამსახურში გამოცხადების აკრძალვის ან სხვა მსგავსი რეკომენდაციის შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლის შესწავლის შედეგად თვლის, რომ ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისთვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 164.1 მუხლის თანახმად ახალგორის, ...ის, ...ის, თილვისა და აჭარის მუნიციპალიტეტებში 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგად შექმნილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათ შორის, გამგეობები და თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოები, უფლებამოსილებას ახორციელებენ აღნიშნულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებამდე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ქ-ი 2006 წლიდან იყო ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ამავდროულად, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მისი უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეწყდა, ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გასაჩივრებული 05.10.2015წ. №40 განკარგულებით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში არ მონაწილეობა იწვევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.07.2010წ. №3 დადგენილებით დამტკიცებული „...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების“ 13.4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესაძლებლობას უკეთეს საკრებულოს წევრი არასაპატიო მიზეზით, 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს საქმიანობაში. გასაჩივრებული აქტის თანახმად გ. ქ-ი 04.11.2014წ. – 03.09.2015წ. პერიოდში არასაპატიო მიზეზით არ მონაწილეობდა საკრებულოს საქმიანობაში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ქ-ის მიერ საქმეზე სასამართლოწარმოების დროს წარდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 17.04.2015წ. შპს „...ის“ მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ 31.08.2015წ. გაცემული ჯან-

მრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, ადასტურებდა გ. ქ-ის საპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობას. გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის დასტურად სასამართლომ მიუთითა აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს დოკუმენტზე, რომლითაც ი. ჯ.-ს და ჯ. ბ.-ს მიეცათ გაფრთხილება შემდგომში მ. უ-ისათვის შეურაცხყოფის მიყენების დაუშვებლობის შესახებ. სააპელაციო პალატამ მიუთითა აგრეთვე, რომ ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიისათვის სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილი იყო გ. ქ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, რის გამოც საკრებულო არ იყო უფლებამოსილი გ. ქ-ის სამსახურში გამოუცხადებლობა არასაპატიოდ მიეჩნია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა გ. ქ-ის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობის მიუღებლობის საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა დავის გადაწყვეტისათვის არარელევანტურ გარემოებებზე, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით სააპელაციო სასამართლოსთვის დაბრუნების საფუძველს ქმნის.

დავას არ იწვევს გასაჩივრებული აქტის ფორმალური კანონიერება, კერძოდ, მისი მიღება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საკრებულოს წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის საკრებულოს (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24.1 მუხ. „ბ.გ.“ ქვ.პ.). ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულო (...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.07.2010წ. №3 დადგენილებით დამტკიცებული „...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების“ 3.3 მუხლის „ე“ ქვ.პ.). დაცულია აგრეთვე ადმინისტრაციული წარმოების სახე და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ფორმა, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა განხორციელდა ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში, დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვით. 43.5 მუხლის შესაბამისად, თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით არკვევს გაცდენის მიზეზს. თუ დადასტურდა, რომ გაცდენის მიზეზი არასაპატიოა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ამზადებს დასკვნას და წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის/თანამდებობის პირისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ (ანალოგიური შინაარსის დებულებას შეიცავს „...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების“ 12.3 მუხ.). საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე საკრებულომ გადაწყვეტილება მიიღო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წარდგინების (დასკვნის) საფუძველზე („...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების“ 13.5 მუხ.). ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 164-ე მუხლის 5<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, ახალგორის, ...ის, ...ის, თიღვის და აჟარის მუნიციპალიტეტების საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. მუნიციპალიტეტის საკრებულო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს წევრთა შემადგენლობის 1/3-ისა (ანალოგიური შინაარსის დებულებას შეიცავს „...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების“ 93.3 მუხ.). 05.10.2015წ. საკრებულოს სხდომაზე ფარული კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობიდან – საკრებულოს 9 წევრიდან ხმათა უმრავლესობით (ექვსი ხმა სამის წინააღმდეგ) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ. ქ-ის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ.

სადავოა გასაჩივრებული აქტის – „...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ. ქ-ისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 05.10.2015წ. №40 განკარგულების მატერიალური კანონიერება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. ქ-ის სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა გამონეწეული იყო საპატიო მიზეზით, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არასწორად შეფასდა გასაჩივრებული აქტით.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები (2.1 მუხ.).

მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილებას ახორციელებს კანონიერების, საჯაროობის, კოლეგიურობის, დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აზრის გათვალისწინების, აგრეთვე მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით („...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების“ მე-4, 12.4 მუხ.). საკრებულოს წევრი არის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში არჩეული პირი, რომლის უფლებამოსილების ვადა იწყება საკრებულოს მიერ მისი უფლებამოსილების ცნობიდან და მთავრდება ახლად არჩეული საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-40 მუხ., დებულების მე-12 მუხ. 1-ლი და მე-2 ნაწ.). მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსი არის მისი კანონით განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესს და გარანტიებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი განვევა დაუშვებელია. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავისი მოვალეობების შესრულებისას შეზღუდული არ არის ამომრჩევლისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანების დანაწესებით და დავალებით. ამასთანავე, თავისუფალი მანდატი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ამომრჩეველთან მუშაობისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან (დებულების 12.4. მუხ.). მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახლარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტამდე (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 40.6 მუხ.). საკრებულოს წევრისათვის თავისუფალი მანდატის მინიჭება არ გულისხმობს მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შეუძლებლობას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობა (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხ. „ე“ ქვ.პ.). ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.07.2010წ. №3 დადგენილებით დამტკიცებული „...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება“ განსაზღვრავს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების

ვადამდე შეწყვეტის რამდენიმე საფუძველს, საკრებულოს წევრის არასაპატიო მიზეზით, 6 თვის განმავლობაში, საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობის მიუღებლობა ქმნის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველს (დებულების 13.4 მუხ. „ე“ ქვ.პ.). ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ. ქ-ის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველად მიეთითა 9 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში – 2014 წლის 4 ნოემბრიდან 2015 წლის 3 სექტემბრის ჩათვლით, ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში არმონაწილეობა, საკრებულოს მუშაობაში არმონაწილეობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულება საკრებულოს ან კომისიას გ. ქ-ის მიერ არ წარედგინა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ადგენს საკრებულოს წევრის მოვალეობებს, მათ შორის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღების ვალდებულებას (45.4 მუხ. „გ“ ქვ.პ.). ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 26.1 მუხლი, ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.07.2010წ. №3 დადგენილებით დამტკიცებული „...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების“ 7.4 მუხლი ადგენს საკრებულოს მორიგი სხდომის თვეში ერთხელ მონაწილეობის ვალდებულებას. საქმის მასალებით არ დგინდება 9 თვის განმავლობაში (2014 წლის 4 ნოემბრიდან 2015 წლის 3 სექტემბრის ჩათვლით) გ. ქ-ის სხდომებზე დასწრება, მის მიერ საკრებულოს გადანიშნულებების მიღებაში მონაწილეობა. საფუძველს არის მოკლებული სარჩელში მითითება 2014 წლის ნოემბრის სხდომის პროტესტის ნიშნად დატოვების და აღნიშნულის გამო შემდგომი პერიოდის სხდომებზე არ დასწრების შესახებ, საქმეში დაცული საკრებულოს სხდომის ოქმის თანახმად, 03.11.2014წ. სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა გ. ქ-ი, ყველა საკითხი ერთხმად იქნა მიღებული, პროტესტი, სხდომის მიტოვება, სხდომის ოქმის მიხედვით არ არის დაფიქსირებული. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მუშაობაში მონაწილეობა არის არა უფლება, არამედ ვალდებულება. აღნიშნულის მიუხედავად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ქ-ი არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომებს, კერძოდ, ის არ დასწრებია საკრებულოს 19.11.2014წ., 01.12.2014წ., 19.12.2014წ., 22.12.2014წ., 05.01.2015წ., 23.01.2015წ., 02.02.2015წ., 02.03.2015წ., 06.04.2015წ., 04.05.2015წ., 15.05.2015წ., 01.06.2015წ., 03.07.2015წ., 06.07.2015წ., 03.08.2015წ.



სხდომებს, ის არც საკრებულოს ბიუროს სხდომებს დასწრებია, ამასთანავე, საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ აღნიშნულ პერიოდამდე გ. ქ-ის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, კერძოდ, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ის სადავო პერიოდამდეც ხშირად აცდენდა სხდომებს, კერძოდ, ის არ დასწრებია საკრებულოს 12.03.2014წ., 07.04.2014წ., 15.04.2014წ., 05.05.2014წ., 07.07.2014წ., 04.08.2014წ., 18.08.2014წ., 06.10.2014წ., 20.10.2014წ. სხდომებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების შეუძლებლობა უნდა შეფასდეს გონივრული განსჯის შედეგად. შეფასებას საჭიროებს ვალდებულების შესრულების ობიექტურად შეუძლებლობის საკითხი. დასაშვებია, რომ დაკისრებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ობიექტურად არსებობდეს, უკეთეს ვალდებულების შესრულება შეუძლებელია პირისგან დამოუკიდებელი მიზეზით, ისეთი სხვა გარემო ფაქტორების ზემოქმედებით, რომლის შედეგად პირს არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ვალდებულების შეუსრულებლობა. ამგვარ ვითარებას განეკუთვნება მაგალითად ფორს-მაჟორული გარემოებები, პირის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც პირს ართმევს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების შესაძლებლობას ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება. დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა შესაძლებელია გამონეუული იყოს სუბიექტური ფაქტორებით, კერძოდ, პირის იმგვარი ქმედებით, რამაც შეუძლებელი გახადა მოვალეობის შესრულება. შესრულების შეუძლებლობის შეფასებისას მნიშვნელოვანია, რომ შესრულება შეუძლებელი იყოს აგრეთვე სხვა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირებისათვის. ვალდებულებათა შეუსრულებლობის დროს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, ვისაც ვალდებულების შესრულება ეკისრებოდა. განსახილველ შემთხვევაში გ. ქ-ის მიერ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის ობიექტურ გარემოებად სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული იქნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა არ არის დასაბუთებული. სააპელაციო პალატამ საქმის ხელახალი განხილვისას მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილების გზით შეფასება უნდა მისცეს გ. ქ-ის საქმიანობის განუხორციელებლობის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორს.

სააპელაციო პალატამ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითა კომისიის თავმჯდომარისგან მიღებული ინფორმაცია იმის

შესახებ, რომ კომისიის წევრებისთვის სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილი იყო გ. ქ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ კომისიისათვის ცნობილი იყო გ. ქ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მის მიერ არ გადამონმებულა საპატიო მიზეზის არსებობის ფაქტი, არ არის დასაბუთებული. გ. ქ-ს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, შრომისუუნარობის შესახებ არც საკრებულოსთვის და არც კომისიისათვის ოფიციალური დოკუმენტაცია არ წარუდგენია. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა შეაფასოს აღნიშნული ინფორმაციის მიღების წყარო და ინფორმაციის მიღების ფორმა, არაოფიციალური წყაროდან ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ზეპირი ფორმით მიღების შემთხვევაში უნდა შეფასდეს ამგვარი ინფორმაციის საკმარისობა მოვალეობათა შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევისთვის. შეფასებას საჭიროებს აგრეთვე კომისიის მიერ გ. ქ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი შესაძლებლობა, ვინაიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებად რიგს მიაკუთვნებს (მე-2 მუხ. „ბ“ ქვ.პ.). შეფასებას საჭიროებს გ. ქ-ის მიერ სასამართლო განხილვის დროს წარდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობათა შინაარსი, სააპელაციო პალატამ უნდა დაადგინოს აღნიშნული ცნობების მეშვეობით სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობა, აგრეთვე ავადმყოფობის/სტაციონარში მოთავსების პერიოდი, შრომისუუნარობის ხანგრძლივობა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 25.09.2007წ. №281/ნ ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესი“ ადგენს დასაქმებულთა დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვალდებულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს გ. ქ-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და განმარტებები შრომისუუნარობის შესახებ. გარკვევას საჭიროებს აგრეთვე შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენის საკითხი.

სზაკ-ის 53.5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, ხოლო 96.1 მუხლის მიხედვით, ადმი-

ნისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. სზაკ-ის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადანყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა. ამ ვალდებულების შესრულება ემსახურება მიღებული გადანყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას – ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს თუ რატომ, რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადანყვეტილება. გარდა ამისა, გადანყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადანყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში პირი მოკლებულია, დასაბუთებული აქტის გამოცემა ადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის გადანყვეტილებაში მოყვანილ ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, თუმცა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შრომისუუნარობის დადასტურების საფუძველია დადგენილი წესით გაცემული საავადმყოფო ფურცელი. დროებითი შრომისუუნარობის დადგენას ცილდება ადმინისტრაციის უფლებამოსილების ფარგლებს, შრომისუუნარობის, მისი მიმდინარეობისა და ხანგრძლივობის განსაზღვრა ხდება შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საავადმყოფო ფურცელი ან ცნობა) საფუძველზე, რომლის გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება სამედიცინო დაწესებულებების სერტიფიცირებული ექიმების მიერ, საავადმყოფო ფურცელი გაცივმა ფიზიკურ პირებზე, საავადმყოფო ფურცლის გაცივმის უფლება აქვთ სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც ეწევიან ავადმყოფების სტაციონარულ ან/და ამბულატორიულ მომსახურებას. საავადმყოფო ფურცლის გაცივმა ხდება შრომისუუნარობის დადგენის დღიდან შრომის უნარის აღდგენამდე, ის გაცივმა 10 კალენდარულ დღემდე, შემდგომში მისი გაგრძელება ხდება სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით (სა-

ქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 25.09.2007წ. №281/6 ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის“ მე-2, მე-4 მუხ.). მხოლოდ პაციენტს აქვს უფლება გადაწყვიტოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცემის საკითხი („პაციენტის შესახებ“ კანონის 21-ე მუხ.). საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 03.09.2015წ. №10 სხდომის ოქმით ირკვევა, რომ გ. ქ-ის საკრებულოს მუშაობაში არმონაწილეობის მიზეზის გამოსარკვევად განისაზღვრა ვადა, კომისიის სხდომის ჩატარება დაიგეგმა 14.09.2015წ., 12:00 საათზე, გ. ქ-ს ეთხოვა სხდომაზე გამოცხადება და საკრებულოს მუშაობაში არმონაწილეობის მიზეზების სხდომაზე წარმოდგენა. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ 03.09.2015წ. საკრებულოს აპარატის უფროსი დაუკავშირდა გ. ქ-ს, რომელსაც ეცნობა კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი და დრო, მიეცა წინადადება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარედგინა მოსაზრებები. გაფრთხილების მიუხედავად გ. ქ-მა არ წარადგინა საპატიო მიზეზით საკრებულოს საქმიანობაში არმონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულება და არც კომისიის სხდომაზე არ გამოცხადდა, მას არც რაიმე განმარტება წარუდგინა კომისიისთვის.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით არკვევს გაცდენის მიზეზს. თუ დადასტურდა, რომ გაცდენის მიზეზი არასაპატიოა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისია ამზადებს დასკვნას და წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის/თანამდებობის პირისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, ეს გადაწყვეტილება ძალაშია შესაბამისი ვადის (6 თვის) გასვლის ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ 14.09.2015წ. დასკვნით დადგენილად მიიჩნია, რომ ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გ. ქ-ი ზედიზედ 9 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, კერძოდ, 2014 წლის 4 ნოემბრიდან 2015 წლის 3 სექტემბრის ჩათვლით არ მონაწილეობდა ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში, მის მიერ არ ყოფილა წარდგენილი საკრებულოს მუშა-

ობაში არმონანილეობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი. გაურკვეველია თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით უარყო სააპელაციო პალატამ აღნიშნული გარემოება. სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სასკ-ის 17.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. ამდენად, საკრებულოს საქმიანობაში არმონანილეობის საპატიო მიზეზის, შრომისუუნარობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს. საქმეში არ არის დაცული აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. მოსარჩელეს არ წარუდგენია კომისიისათვის ან საკრებულოსათვის საკრებულოს საქმიანობაში არმონანილეობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულებები, სასამართლოსათვის წარდგენილი ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ადასტურებს სადავო პერიოდში 3 დღის განმავლობაში სტაციონარში ყოფნას და ვერ უარყოფს დასკვნას 9 თვის განმავლობაში გ. ქ-ის საკრებულოს საქმიანობაში მონანილეობის არმიღების შესახებ.

გ. ქ-ისათვის ცნობილი იყო (უნდა ყოფილიყო ცნობილი) ვალდებულების შეუსრულებლობის მოსალოდნელი შედეგი, – ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტა, ექვსი თვის განმავლობაში საკრებულოს საქმიანობაში მონანილეობის მიუღებლობის საფუძვლით. კომისიის შეთავაზების მიუხედავად გ. ქ-ს წარედგინა მისი მოვალეობის შეუსრულებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულებები, გ. ქ-მა კომისიას არ წარუდგინა არანაირი მტკიცებულება, უფრო მეტიც, იგი არ გამოცხადდა კომისიის სხდომაზე. ზოგადი წესის თანახმად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი თითოეული მხარე ამტკიცებს იმას, რაზეც მიუთითებს. ის გარემოება, რომ საკრებულოს საქმიანობაში მონანილეობის არმიღების საპატიო მიზეზი არ არის მონესრიგებული საკრებულოს შიდა რეგულაციით, არ ადასტურებს შრომისუუნარობის მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციაზე გადატანის ვალდებულებას. ადმინისტრაცია უფლებამოსილია ჰქონდეს თანამშრომლის მხრიდან კეთილსინდისიერი მიდგომის, სამსახურებრივი მოვლეობების შესრულების შეუძლებლობის, შრომისუუნარობის ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციის მისთვის მიწოდების მოლოდინი. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება შრომისუუნარობა მხოლოდ 3 დღის განმავლობაში, და-

ნარჩენი პერიოდის განმავლობაში საკრებულოს საქმიანობაში საპატიო მიზეზით მონაწილეობის მიუღებლობა არ დასტურდება. საკრებულოს მიერ სადავო აქტის მიღების მომენტისათვის მოსარჩელეს არ წარუდგენია საპატიო მიზეზის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია.

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ გ. ქ-ი საკრებულოს სხდომებში მონაწილეობას არ იღებდა 2014 წლის ნოემბრიდან. საპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 06.04.2015წ. საკრებულოს მორიგ სხდომაზე გ. ქ-ი არ მონაწილეობდა საპატიო მიზეზით, ვინაიდან 2015 წლის აპრილში მას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. აღნიშნულის დასადასტურებლად საპელაციო პალატა უთითებს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შპს „...ის“ გაცემულ ცნობაზე. 17.04.2015წ. ცნობის თანახმად, გ. ქ-ი სტაციონარში მოთავსდა 15.05.2015წ. და სტაციონარიდან გაენერა ორ დღეში – 17.04.2015წ.. შპს „...ის“ ექიმის 17.04.2015წ. ცნობის (ფორმა №IV-100/ა) თანახმად, გ. ქ-ი სტაციონარში მოთავსდა 15.04.2015წ., ხოლო გაენერა 17.04.2015წ., ცნობის თანახმად, პაციენტს მიცემული აქვს მედიკამენტური თერაპიის რეკომენდაცია, ცნობის მიხედვით, პაციენტს მიცემული აქვს სამკურნალო და არა შრომითი რეკომენდაცია. ცნობაში აღნიშნული პაციენტის ჩივილი ბოლო 2 კვირის განმავლობაში ფიზიკური დატვირთვის შემდეგ პერიოდულად ტკივილის და დისკომფორტის შეგრძნება, არ ადასტურებს 17.04.2015წ. ცნობის გაცემამდე შრომისუუნარობას, მით უფრო, რომ ცნობის გაცემამდე ორი კვირა არ მოიცავს საკრებულოს სხდომის თარიღს. ამდენად, შპს „...ის“ ცნობით არ დასტურდება 06.04.2015წ. სხდომის საპატიო მიზეზით გაცდენა. რაც შეეხება 31.08.2015წ. ცნობას, დასტურდება, რომ გ. ქ-ის სტაციონარში მოთავსების პერიოდი 1 დღეს შეადგენდა (25.08.2015წ. – 26.08.2015წ.), ცნობის მიხედვით პაციენტის სტაციონარიდან განერისას მისი მდგომარეობა სტაბილური იყო, ჩატარებული მკურნალობის შედეგად მდგომარეობა გაუმჯობესდა, პაციენტს ჩივილები არ აქვს. ორივე შემთხვევაში პაციენტს გაენია მხოლოდ სამკურნალო რეკომენდაციები, ცნობებიდან არ დასტურდება ცნობების გაცემამდე ან ცნობის გაცემის შემდეგ შრომისუუნარიანობის შეზღუდვა, საკრებულოს მუშაობის პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. ქ-ს ცნობები არც საკრებულოსთვის და არც კომისიისათვის არ წარუდგენია, ამდენად, საპელაციო პალატის განჩინებაში სზაკ-ის მე-5, 53-ე, 96-ე მუხლებზე მითითება არ ადასტურებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით საქმიანობის განხორციელებას, გადანყვეტილების საქმის გარემოებების გამოკვლევის, შეფასე-

ბისა და ურთიერთშეჯერების გარეშე გამოცემას.

გ. ქ-ს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტამდე ეკავა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა იმავდროულად ინვეს კომისიის თავმჯდომარეობის/წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 32-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი. კომისიები იქმნებიან მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, კონტროლის მიზნით (28-ე მუხ.), კომისიის თავმჯდომარე მოქმედებს კომისიის სახელით, ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე (37.2 მუხ.). მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ, ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა (41.1 მუხ.). მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები (ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, შესრულების ანგარიშის მოსმენა, შეფასება, სახსრების განკარგვა) მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (16.2 მუხ.). საქმის მასალებში არ მოიპოვება და ვერც მოსარჩელემ წარმოადგინა 9 თვის განმავლობაში მისი მონაწილეობით კომისიის მიერ რაიმე საკითხის განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მაშინ, როდესაც კომისიის თავმჯდომარე ანაზღაურებად თანამდებობათა რიცხვს განეკუთვნება, რის გამოც მოსარჩელე ყოველთვიურად იღებდა ანაზღაურებას. საქმეში არ მოიპოვება კომისიის და ფრაქციის ოქმები, ამასთანავე, საკრებულოს აპარატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ საკითხები, რომლებიც განსახილველად ჰქონდა გადაცემული საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას 2014 წლის 2 ოქტომბრიდან 2015 წლის 3 სექტემბრის ჩათვლით, იმის გამო, რომ არ ტარდებოდა კომისიის სხდომები, განხილულია სხვა კომისიის მიერ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს გ. ქ-ის საკრებულოში გამოუცხადებლობის შეფასებას ექვსთვიან პერიოდში, ვინაიდან უფლებამოსილების შეწყვეტის კანონიერების შემოწმებისათვის მნიშვნელოვანია კუმულატიურად ორი პირობის ერთდროულად არსებობა: 6 თვის განმავლობაში სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა და შეუსრულებლობის არასაპატიო მიზეზის არსე-

ბობა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 02.03.2015წ. სხდომაზე დასწრების უწყისის თანახმად, გ. ქ-ი გამოცხადდა საკრებულოში, ხელი მოაწერა დასწრების უწყისს, თუმცა სხდომაზე გ. ქ-ი არ გამოცხადდა, რაც დადასტურებულია საკრებულოს სხდომის ოქმებით. 02.03.2015წ. საკრებულოს სხდომაზე დასწრების ორი უწყისის შედგენა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ გ. ქ-მა ხელის მოწერის შემდგომ დატოვა საკრებულოს შენობა და იგი არ დასწრებია სხდომას, სხდომაზე დამსწრე პირთა რეგისტრაციის გავლის დროს აღმოჩნდა, რომ სხდომას არ ესწრებოდა უწყისზე ხელის მომწერი პირი – გ. ქ-ი, შეიქმნა ახალი უწყისის შედგენის აუცილებლობა და უწყისზე იმ პირთა ხელის მოწერა დაფიქსირდა, რომლებიც უშუალოდ ესწრებოდნენ საკრებულოს სხდომას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სხდომაში მონაწილეობად ვერ ჩაითვლება სხდომაზე დასწრების უწყისზე ხელმოწერა, სხდომაზე მონაწილეობის მიღებად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს მუშა პროცესში – დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთა განხილვაში მონაწილეობის მიღება, კენჭისყრაში მონაწილეობა, კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავის შეკავება, ან თუნდაც სხდომაზე განცხადების გაკეთება რაიმე გარემოების გამო სხდომის პროტესტის ნიშნად დატოვების შესახებ. დეპუტატების ი. გ-ისა და მ. უ-ისგან განსხვავებით, გ. ქ-ს არ განუცხადებია პროტესტის ნიშნად 02.03.2015წ. სხდომაზე არდასწრების შესახებ, ანუ არ დასტურდება საკრებულოს სხდომაზე არდასწრება პროტესტის ნიშნად. 02.03.2015წ. სხდომაზე არდასწრებასთან დაკავშირებით მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავს, რომ რეგისტრაციის გავლის შემდეგ ჩავიდა აფთიაქში წამლის საყიდლად, უკან დაბრუნებულს კი საკრებულოს შენობაში შესვლის უფლება არ მისცეს გამგებლის მოადგილე მ. ბ-მა, ...ის დირექტორმა ს. ბ-მა, გამგეობის სპეციალისტებმა ნ. ო-ემ და ვ. ქ-მა, რომლებმაც პოლიტიკური მოსაზრებებით მიაყენეს მოსარჩელეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და არ შეუშვეს საკრებულოს შენობაში. ხსენებული პირები დაკითხული იქნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით, მოწმეთა მიერ უარყოფილ იქნა მოსარჩელის მიერ გაჟღერებული გარემოება, მათ უარყვეს რაიმე სახის შელაპარაკება. სხვა რაიმე მტკიცებულებებით მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება არ დასტურდება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ დეპუტატებმა მ. უ-მა და ი. გ-მა დატოვეს 02.03.2014წ. საკრებულოს სხდომა პროტესტის ნიშნად, თუმცა 05.04.2016წ. სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად, მ. უ-ისათვის არ იყო ცნობილი სხდომაზე გ. ქ-ის არშეშვების ფაქტი, შესაბამისად, პროტესტის ნიშნად სხდომის დატოვება არ უკავშირდება გ. ქ-ის სხდომაზე არდაშვების მოტივს. სხდომიდან გამოსული მ. უ-



ი აღნიშნულ ფაქტს უშუალოდ არ შესწრებია და მოსარჩელის სხდო-  
მაზე არშეშვების შესახებ მოგვიანებით გ. ქ-ისგან გაიგო. იგივე და-  
ადასტურა ი. გ-მა. საქალაქო სასამართლოში საქმეზე დაკითხულ-  
მა სხვა მოწმეებმა განმარტეს, რომ გ. ქ-მა სხდომამდე წასვლა მო-  
იმიზეზა სხვა საქმეზე წასვლის საჭიროების გამო. შესაბამისად,  
საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მოსაზრებები  
02.03.2015წ. სხდომაზე მისი არდაშვების, ამის გამო დეპუტატების  
პროტესტის ნიშნად სხდომის მიტოვების ფაქტი. სააპელაციო პა-  
ლატამ აღნიშნული გარემოებების, მოწმეთა ჩვენებების შეფასე-  
ბის გარეშე გადაწყვიტა დავა. გ. ქ-ს 02.03.2015წ. სხდომაზე არდაშ-  
ვების თაობაზე არც იმავე დღეს და არც შემდგომ პერიოდში რაიმე  
განცხადება, პროტესტი აღნიშნულთან დაკავშირებით არ განუც-  
ხადებია. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელის აღნიშ-  
ნული განცხადება არ გაიზიარა და მიუთითა, რომ კანონით დადგე-  
ნილი წესით ვერ დასტურდება მოსარჩელისათვის საკრებულოს შე-  
ნობაში შეშვების აკრძალვის ფაქტი. სააპელაციო პალატამ დაპი-  
რისპირების დამადასტურებელ გარემოებად მიიჩნია სხვა დეპუ-  
ტატისათვის შეურაცხყოფის მიყენება. „...ის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს დებულების“ 14.3 მუხლით დადგენილია საკრებულოს  
წევრის ვალდებულება დაუყოვნებლივ აცნობოს საკრებულოს თავ-  
მჯდომარეს მოვალეობათა შესრულების ხელისშემშლელი გარემო-  
ებების შესახებ. საქმის მასალებით არ დასტურდება გ. ქ-ის მიმარ-  
თვა სამართალდამცავი ორგანოებისადმი ან საკრებულოს თავ-  
მჯდომარისადმი, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პი-  
რობების შექმნის უზრუნველყოფის მოთხოვნით. ამასთანავე, საქ-  
მის მასალები, რომლებიც შეეხება საკრებულოს სხვა წევრის (მ. უ-  
ის) მიმართ 07.09.2015წ. სხდომაზე განხორციელებულ ქმედებას,  
არ ადასტურებს გ. ქ-ის სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულე-  
ბის შეუძლებლობას. გარდა ამისა, უფლებამოსილების ვადაზე ად-  
რე შეწყვეტის თაობაზე წარმოება დაიწყო 03.09.2015წ., შესაბამი-  
სად, 07.09.2015წ. ინციდენტი საქმის შედეგზე გავლენას ვერ მო-  
ახდენდა.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, აგრეთვე ...ის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.07.2010წ. №3 დადგენილებით  
დამტკიცებული „...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულე-  
ბით“ დადგენილი საკრებულოს წევრის ვალდებულებები, გარდა  
უშუალოდ საკრებულოს შენობაში საქმიანობისა, მოიცავს აგრეთ-  
ვე მოსახლეობასთან შეხვედრის ვალდებულებას. დადგენილების  
თანახმად საკრებულოს წევრი ვალდებულია საკრებულოს თავ-  
მჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, სამ თვე-  
ში ერთხელ მაინც, მოაწყოს შეხვედრები თვითმმართველი ერთე-

ულის მოსახლეობასთან. საკრებულოს წევრის მოსახლეობასთან შეხვედრა შეიძლება გაიმართოს წინასწარ შედგენილი დღის წესრიგით ან მის გარეშე. საკრებულოს წევრის მიერ მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საკრებულოს დარბაზი, სხვა შენობა ან შეხვედრა ჩატარდეს ღია ცის ქვეშ. საკრებულოს წევრის მიერ მოსახლეობასთან შეხვედრის დღე, ადგილი, საათები, აგრეთვე დღის წესრიგი ქვეყნდება საკრებულოს აპარატის მიერ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე მაინც. საკრებულოს წევრის მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი, მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმს ხელს აწერს საკრებულოს წევრი, ოქმი საკრებულოს თავმჯდომარის ვიზირების შემდეგ ინახება საკრებულოს აპარატში („...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების“ 130-ე მუხ.). საქმეში არ მოიპოვება გ. ქ-ის მიერ სადავო პერიოდში ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით წინადადებების დასმის, სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავების დამდგენი მტკიცებულებები. დავის გადაწყვეტა საჭიროებს სადავო პერიოდში ამგვარი შეხვედრების ორგანიზების და ჩატარების საკითხის გარკვევას. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.07.2010წ. №3 დადგენილებით დამტკიცებული „...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებით“ დადგენილია საკრებულოს წევრისათვის დაკისრებული მოვალეობების პირადად შესრულების ვალდებულება, დაუშვებელია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა, საკრებულოს წევრი თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს უშუალოდ (12.5 მუხ.). ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმებია: ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა; ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირება; გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა; დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა; ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა; ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმები. მოცემული სახის საქმიანობები ერთობლიობაში და ცალ-ცალკე წარმოადგენს საკრებულოს წევრის მუშაობის საქმიანობის სახეს. ხსენებული ნორმიდან გ. ქ-ის მიერ რომელიმეს განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია საქმის მასალებში არ მოიპოვება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო

თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისთვის.

სსკ-ის მე-9 მუხლის, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სსკ-ის 55.3 მუხლის თანახმად, სასამართლო ხარჯის ორივე მხარის გათავისუფლების შემთხვევაში ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს – აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეებს არ ეკისრებათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ...ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.03.2018წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)